გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად

# ილორი

E-mail: roland_jalagania@yahoo.com

№141 (200) 18-25 ოქტომბერი 2011 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს" ორგანო 30 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



## გაზეთ „ილორის" მთავარ რედაქტორს ბატონ როლანდ ჯალაღანიას



გაზეთის შემოქმედებით კოლექტივსა და მის მკითხველებს გულითადად ვულოცავ მეორასე ნომრის გამოსვლის იუბილეს!

თავისი არსებობის მანძილზე „ილორი" მნიშვნელოვან შემეცნებით ფენომენად იქცა საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების უახლეს ისტორიაში, რადგან ობიექტური ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს თანამედროვე პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ პროცესებზე. იგი ასევე მკითხველთა საიმედო მეგზურია ეროვნული და მსოფლიო ისტორიის ლაბირინთებში.

გაზეთმა ფეხი აიდგა რთულ მორალურ-ფსიქოლოგიურ პირობებში, რომელიც საქართველოში შეიქმნა სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს" ჩამოყალიბების გამო.

1999 წლის 5 მარტს, ფოთში, სახალხო მოძრაობის პირველ ყრილობაზე გაჟღერდა ის საკითხები, რომლებიც მრავალი ათწლეულის განმავლობაში იყო ტაბუდადებული და მათთან შეხება თითქმის სახელმწიფო დანაშაულის ტოლფასი გახლდათ. ჩვენ პირველებმა განვაცხადეთ ხმამაღლა, რომ საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას სრულიადაც არ აღელვებს სამეგრელოს მოსახლეობის გაუსაძლისი მდგომარეობა, კატეგორიულად დავგმეთ სამეგრელოში სახელისუფლებო ბანდფორმირებების მიერ განსაკუთრებული სისასტიკით ჩატარებული სადამსჯელო ოპერაციები, რომლებმაც ათასობით უდანაშაულო ადამიანი იმსხვერპლა, და მოვითხოვეთ ამ არაადამიანური აქციის ორგანიზატორთა და შემსრულებელთა სათანადოდ დასჯა. ყრილობაზე პირველად ითქვა, რომ ქართულ ენასთან ერთად არსებობს უნიკალური ენობრივი ფენომენი – სრულფასოვანი მეგრული ენა, რომელიც სათანადო პატივს და ზრუნვას მოითხოვს, და მოვითხოვეთ, რომ ქართველი ერის ერთიანობის განმტკიცებისა და მის შემადგენელ ნაწილთა შორის გაუცხოების არდაშვების მიზნით საშუალო სკოლებში შემოღებულიყო მეგრული და სვანური ენების საფუძვლების სწავლება. ყრილობამ მოსთხოვა ხელისუფლებას, რომ შემუშავებულიყო სამეგრელოს სოციალურ-ეკონომიკური, სამეცნიერო-საგანმანათლებლო და კულტურული განვითარების სახელმწიფო პროგრამა.

რა თქმა უნდა, შევარდნაძის ანტიეროვნულმა ხელისუფლებამ სამეგრელოს საზოგადოებრიობის არცერთი ეს მოთხოვნა არ შეასრულა და გააჩაღა ბინძური პროპაგანდისტური კამპანია, სადაც ბრალს გვდებდნენ სეპარატიზმში, სამშობლოს ღალატში, კონსტიტუციური წყობილების ხელყოფაში, ხელისუფლების ხელში ჩაგდების მცდელობაში და სხვა ცოდვებში.

ტელევიზია და პრესა, განსაკუთრებით მეგრული წარმოშობის სულმოკლე ანგარებიანი პოლიტიკოსები, მეცნიერები და ჟურნალისტები „ზემოდან" კარნახით „გვამხელდნენ" სეპარატისტულ მისწრაფებებში, ამტკიცებდნენ, რომ მეგრული ენა, როგორც ასეთი, ბუნებაში არ არსებობს, რომ მისი სასწავლო პროგრამაში შეტანა სისულელეა, რომ ხელისუფლება დღესა და ღამეს ასწორებს სამეგრელოს მოსახლეობაზე ზრუნვით, რომ სულ რაღაც ორ-სამ წელიწადში სამეგრელო უძლიერესი ეკონომიკის მქონე აყვავებულ კუთხედ გადაიქცევა და სხვა. სწორედ ამ ბინძურ პროვოკაციულ-ისტერიულ ფონზე უშიშრად დაიწყო მოღვაწეობა სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს" ბეჭდვითმა ორგანომ – გაზეთმა „ილორმა".

სწორედ სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს", მისი აქტივის, გაზეთ "ილორის" დამსახურებაა ის, რომ ხელისუფლება მეტ ყურადღებას აქცევს სამეგრელოს კულტურასა და ხელოვნებას, ფოლკლორს, თუმცა ეს ღონისძიებები უფრო წინასაარჩევნო პიარს წააგავს, ვიდრე საქართველოს ამ უძველესი და ულამაზესი კუთხისა და მისი ხალხისადმი უანგარო ზრუნვას. მაგრამ, როგორც ამბობენ: "ყვავს რომ კაკალი გააგდებინო, ისიც საქმეა"!

წლების განმავლობაში გაზეთში იბეჭდებოდა ასეულობით საინტერესო მასალა როგორც საქართველოში არსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობის ანალიზით, ასევე ხელისუფლების საშინაო და საგარეო პოლიტიკის ობიექტური შეფასებით. მკითხველთა ყურადღებას იპყრობდა სამეგრელოს ისტორიის, ენის, კულტურის, ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების ამსახველი პუბლიკაციები, სახალხო ფოლკლორის ნიმუშები, სამეგრელოს გამოჩენილ შვილთა ბიოგრაფიები, მეგრელ ავტორთა მხატვრული ნაწარმოებები.

გაზეთი პოპულარული გახდა არა მხოლოდ სამეგრელოში, არამედ საქართველოს მკითხველთა ფართო აუდიტორიაშიც, განსაკუთრებით იმ ადამიანებს შორის, რომელთაც გული შესტკივათ ქართველი ერის და ქართული სახელმწიფოებრიობის ერთიანობაზე, მრავალფეროვან ქართულ კულტურაზე.

გაზეთის მეორასე ნომრის გამოსვლის დღეს გისურვებთ, რომ კვლავაც ძველებური შემართებით გააგრძელოთ ბრძოლა ყოველგვარი სიმახინჯის წინააღმდეგ, ობიექტურად გააშუქოთ ისტორიული და თანამედროვე პროცესები, მოვლენები და ფაქტები, პრინციპულად დაიცვათ ჩვენი ხალხის ეროვნული ინტერესები, გაუფრთხილდეთ მის სოციო-კულტურულ თავისებურებებს და ტრადიციულ სულიერ ღირებულებებს.

ამავე დროს, ბატონო როლანდ, გულითადად გილოცავთ დაბადებიდან 70 წლის იუბილეს, გისურვებთ ჯანმრთელობას და ბედნიერებას, რათა მომავალშიც ენერგიულად იღვწოდეთ სამშობლოსა და მშობელი ხალხის საკეთილდღეოდ!

თვით გაზეთის სახელწოდება გვავალდებულებს გვახსოვდეს, რომ ქვეყნის ხელისუფლების დანაშაულებრივი პოლიტიკის გამო ჩვენ ფაქტიურად წარმოვადგენთ გაყოფილ ერს და ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რათა ავაღორძინოთ აფხაზ ხალხთან ტრადიციული კეთილნათესაური ურთიერთობები და აღვადგინოთ ერთიანი საარსებო, ეკონომიკური და კულტურული სივრცე.

მეოცე საუკუნის 90-იანი წლებიდან საქართველოს ხელისუფლების ბუნება ოდნავაც არ შეცვლილა, ასევე უცვლელია მისი დამოკიდებულება ქართველი ხალხის საჭიროებებისადმი. ამიტომ, ჩვენ გველის სერიოზული გამოცდები, უაღრესად ძნელი, მაგრამ ასევე უაღრესად საინტერესო და აუცილებელი სამუშაო, რათა სათავე დაედოს ქვეყნის აღორძინებისა და მშობლიური ხალხის კეთილდღეობის ამაღლების საქმეს.

ილორის წმინდა გიორგის მადლი გფარვიდეთ!

პატივისცემით,
სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს"
თავმჯდომარე
**ალექსანდრე ჭაჭია**

## გაზეთ „ილორის" რედაქციას!

ბატონო მთავარო რედაქტორო,

გილოცავთ თქვენი გაზეთის მე-200 ნომრის გამოსვლას.

მე გახლავართ ქართველი კაცი – ნიკოლოზ თოლორაია, 75 წელია რაც მოსკოვში ვცხოვრობ, აქ დავამთავრე უმაღლესი სასწავლებელი, ვიყავი მოსკოვის დაცვის მონაწილე, ვმეთაურობდი პარტიზანთა რაზმს და ვებრძოდი ოკუპანტებს ბრიანსკის, ორიოლის, სმოლენსკის მიდამოებში, ასევე ვიბრძოდი ჩრდილოეთ კავკასიაშიც. სსრკ საგარეო საქმეთა სამინისტროში ვმუშაობდი მაშინ, როცა მინისტრი ვიაჩესლავ მოლოტოვი იყო. ვასრულებდი იოსებ სტალინის პირად დავალებებს.

შემდეგ ვმუშაობდი მოსკოვის ერთ-ერთი გამომცემლობის დირექტორად, მოგვიანებით კი გადამიყვანეს მოსკოვის სპორტული გაზეთის რედაქტორად. გამოცემული მაქვს წიგნები და ბროშურები. ამჟამად ვიმყოფები დამსახურებულ პენსიაზე. რამდენიმე ხნის წინ საქართველოდან ჩამოსულმა ნათესავებმა ჩამომიტანეს გაზეთ "ილორის" რამდენიმე ნომერი და მას შემდეგ თქვენი გაზეთის ერთგული მკითხველი გავხდი.

დიდი სამამულო ომის მონაწილეებიდან სულ რამდენიმე კაციღა დავრჩით. ყოველ წელს ვიკრიბებით ხოლმე წითელ მოედანზე, იქ, სადაც იოსებ სტალინმა გამარჯვების აღლუმი ჩაიბარა, ვიგონებთ გარდასულ დღეებს, პატივს მივაგებთ ომში დაღუპული თანამებრძოლების ხსოვნას...

სამწუხაროა, რომ, რუსეთის ხელისუფლებისაგან განსხვავებით, საქართველოს ხელისუფლება ღირსეულ პატივს აღარ მიაგებს დიდი სამამულო ომის ვეტერანებს. მიზერული შეღავათების გაუქმებაზე მეტად შეურაცხმყოფელია უმადურობა იმ ხალხისადმი, რომლებიც საკუთარი სიცოცხლის ფასად იცავდნენ სამშობლოს, მათი დაუფასებლობა კი პატივისა და ღირსების აყრის ტოლფასია. მაგრამ, ჩვენ კარგად ვხედავთ, თუ როგორი რუდუნებითა და მოწიწებით ინახავენ და როგორ პატივს მიაგებენ დიდი სამამულო ომის გმირთა სახელებს გაზეთი "ილორი" და სახალხო მოძრაობა "სამეგრელო".

ამისათვის დიდ მადლობას მოგიძღვნით და გისურვებთ, რომ კვლავაც გმირული შემართებით ებრძოლოთ იმ ბნელ ძალებს, რომლებიც საქართველოს ისტორიის ყალბად გადაწერას ცდილობენ!

პატივისცემით,

**ნიკოლოზ თოლორაია,**
მოსკოვი.

## გაზეთ "ილორის" მთავარ რედაქტორს ბატონ როლანდ ჯალაღანიას

კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდა, კარგ გაზეთს კი – კარგი მკითხველი. "ილორი" კარგი გაზეთია და შესაბამისად, მკითხველიც ინტერესით ეცნობა მის ყოველ ნომერს. აქ არ არის იაფფასიანი სკანდალი და სენსაცია, წვრილ-წვრილი ამბები და მსხვილი შრიფტით აწყობილი მყვირალა სათაურები. "ილორი" გონიერია, ჭკვიანი და დარბაისელია... იგი ვერ ურიგდება სიყალბესა და სიცრუეს, არ უყვარს უმწიფარი აზრები და დაუფიქრებელი გამონათქვამები. "ილორს" სიმართლის გზით სიარული უყვარს. აქამდე ასე იყო და მწამს, მომავალშიც ასე იქნება. პრინციპი – "მოყვარეს პირში უძრახე", – ერთადერთი ზნეობრივი პრინციპია, რომელიც თავის დროზე ილიამ უანდერძა ქართულ პუბლიცისტიკას. "ილორი" ილიას გზის მიმდევარია და ამიტომ აფასებს მას ქართველი მკითხველი. ბატონო როლანდ, თქვენი ჟურნალისტური მოღვაწეობა სიმართლის ერთგულებით არის განათებული. ათეული წლების განმავლობაში ამ დიდ საქმეს ემსახურებით და მიხარია, რომ შესაძლებლობა მაქვს სულითა და გულით მოგილოცოთ "ილორის" საიუბილეო ნომრის გამოცემა. როგორც იტყვიან: „ეს ორასი და სხვა მრავალი!"

უღრმესი პატივისცემით, მარად თქვენი
**თემურ ქორიძე.**

გილოცავთ გაზეთ "ილორის" მეორასე საიუბილეო ნომრის გამოსვლას, რაც იმის იმედს უნერგავს ქართველ ხალხს, რომ მიუხედავად ხელისუფლების მიერ შექმნილი მრავალი ხელოვნური წინაღობისა, მართალი სიტყვა მაინც ქუხს საქართველოში და მისი ერთერთი უშიშარი დამცველია სწორედ გაზეთი "ილორი". უამრავი არასასიკეთო ძვრა მოხდა საქართველოში უკანასკნელი 18 წლის მანძილზე, ნადგურდება ზნეობა და სულიერება, სუსტდება განათლების სისტემა და ჩრდილშია მოქცეული ტრადიციული ქართული კულტურა. ხელისუფლებამ მოახდინა მასმედიის ექსპროპრიაცია, რომელიც დღეს ანგაჟირებულ ჟურნალისტთა პირით ცდილობს შავი თეთრად მოგვაჩვენოს და უზნეოდ აცხადებს, რომ 2008 წლის აგვისტოს ომში საქართველომ გაიმარჯვა, მაშინ, როცა დამატებით დაიკარგა ქართული ტერიტორიები, გაჩნდა ლტოლვილთა ახალი ტალღა, უიმედობამ დაისადგურა ლტოლვილებში, რომელთაც ჯერ კიდევ ჰქონდათ მშობლიურ კუთხეებში დაბრუნების იმედი. საბედნიეროდ, საქართველოში ჯერ კიდევ გამოდის გაზეთები, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ ხალხისათვის სიმართლის მისატანად. სწორედ ასეთი გაზეთი გახლავთ "ილორი"!

კვლავაც გამარჯვების გზით გევლოთ!

პატივისცემით,

**ზაურ გახარია**

ილორი

# სამძიმარი აფხაზეთის ბრძოლებში დაღუპულთა აფხაზ და ქართველ მშობლებს

**„წავიდე მეც იქ მივიდე, სამძიმარ ვუთხრა შვილისა.“**

14 აგვისტო 1992 წელი – 27 სექტემბერი 1993 წელი. ცრემლის, სისხლის და მოურჩენელი ტკივილების მთესველი დღეებია სრულიად საქართველოში. მას შემდეგ მატულობენ საქართველოში ძაძებით მოსიარულენი – შვილდაღუპული მშობლები, ობლები, ქვრივები. საიბედუროდ ჩვენდა, ამ უბედურებამ ფართოდ შემოაღო ჩემი ოჯახის კარები. წავიდნენ და ვეღარ დაბრუნდნენ ჩემი ირაკლი და მამუკა... 21 წლის ირაკლის (1992 წლის ოქტომბერი) დარჩა 3 წლის და 5 თვის ტყუპი ქალ-ვაჟი. მამუკა უშვილძიროდ დაიღუპა 28 წლის ასაკში (1993 წლის ივლისს).

სამძიმარს გითვლით ჩვენსავით გაუბედურებულო აფხაზო დედებო და მამებო. იქნება ჩვენმა შეცდენილმა შვილებმა ერთმანეთსაც კი ესროლეს, რაზეც ხელს ითბობდნენ და ითბობენ **„დიდი ძმები“** და ბევრი მათსავით გადაგვარებული უცხონი.

**„წავიდე მეც იქ მივიდე სამძიმარ ვუთხრა შვილისა, იქნება ვეფხის დედაი ჩემზედ მწარედა სტირისა“.**

მას შემდეგ წლები გავიდა... დავდივართ მოურჩენელი იარებით, ერთნაირად ჩაგვაცვეს ძაძები. იმ უბედურების დროს ბევრი შემთხვევა იყო იმისა, თუ როგორ გადაარჩინეს აფხაზებმა ქართველები და ქართველებმა აფხაზები – გარდაუვალ სიკვდილს. იყვნენ და არიან ამის თვითმხილველნი. მსმენია, თუ როგორ აპატიოსნებდით დაღუპული ქართველების ცხედრებს და მიწას აბარებდით. ამბობენ, რომ დღესაც არ აკლებთ მზრუნველობას მათ საფლავებს! ბევრს ცდილობენ მავანნი, ამოძირკვონ საუკუნეების წინ ჩამოყალიბებული ურთიერთობები. მაგრამ ვერაფერს დააკლებენ იმ შერეული ოჯახების არსებობას, რომლებიც საუკუნეების მანძილზე იქმნებოდა და დღესაც იქმნება!

რატომ? იყო კი ამ უბედურებების არსებობის საჭიროება? არა და არა!

ეს ყოველივე ხომ ვიღაცეების ბინძურ თავებში მომწიფებული უბინძურესი პოლიტიკის ნაყოფია! იმ პოლიტიკისა, რომელსაც საფუძველი ასეული წლების წინ ჩაეყარა. მიზანმიმართულად მიმდინარეობდა აფხაზებსა და ქართველებს შორის შუღლის, მტრობის და ურთიერთის მიმართ გაუცხოების თესვა! შედეგმაც, გვიან, მაგრამ მაინც არ დააყოვნა. მივიღეთ ის, რაც აფხაზებისათვისაც და ქართველებისათვისაც მომაკვდინებელია. გადამთიელების მიერ ჩათესილ მტრობას ჩვენ, აფხაზებმაც და ქართველებმაც, დიდი მონდომებით შევუწყვეთ ხელი.

1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმი დაეცა. მაგრამ იგი დაეცა მხოლოდ ქართველებისათვის? თქვენ გამარჯვებას ზეიმობდით, ჩვენ დამარცხებას განვიცდიდით. მაგრამ აქ გამარჯვებულია მხოლოდ **„მასონები“** და მათთან ერთად ბევრი უცხო ჯიში. მათ ხომ სხვის უბედურობებზე ააგეს თავიანთი ბედნიერება? რა მივიღეთ? მივიღეთ ის, რომ ჩვენ გაუბედურებულმა მშობლებმა უნდა გავუზარდოთ და ვზრდით კიდევაც მათ შვილებს. ოღონდ ისე უნდა გავზარდოთ, რომ მათ ერთმანეთის მიმართ მტრობა არ ჩაიდონ გულში! რითაც ვალს ვიხდით მათი ხსოვნისა და ქვეყნის წინაშე. 19 წელია საქართველოში დათარეშობს სიკვდილის მსახვრალი ცელი. დღე არ გავა, არ გავიგო ინფორმაცია ვინმეს სიკვდილის შესახებ, რომელსაც თითქოს მშვიდად ვისმენთ. ვაი, ამისთანა სიმშვიდეს! დუმილით შევხვდით ს. გირგვლიანის, ბ. რობაქიძის, ზ. ვაზაგაშვილის, გ, შარაძის და ვინ იცის კიდევ რომელი ერთის მკვლელობას!

უფალო მუხლმოდრეკილი გევედრებით, შეგვინდე და გვაკმარე ეს სისხლი და ცრემლი!

დროა საქართველოში დაისადგუროს მშვიდობამ და სიხარულმა!

დროა საქართველო დაადგეს მშვიდობიანი აღმშენებლობის გზას! იმ გზას, რომელიც უნდა გავიყვანოთ ქართველებმა და ყველა იმან, ვისაც საქართველო უყვარს!

უყვარს არა სათავისოდ, არამედ საზოგადოდ!

მშვიდობა თქვენდა ქართველო მშობლებო, შვილდაღუპულო აფხაზო დედებო და მამებო!

პატივისცემით,

**ანზორ დანელია**

*(გაგრძელება მე-6 გვერდზე)*

# სიმართლე სინათლეს ჰბადებს...

დღეს რაც საქართველოში ხდება, გვარწმუნებს იმაში, რომ ღვთის გარეშე გამორიცხულია რაიმე მოხდეს. უფალმა ადამიანს ცხოველებისაგან განსხვავებით გონი მისცა; რომლის განვითარების საფუძველზე უნდა ჩამოყალიბდეს პიროვნებად და მართოს თავი კანონზომიერად დაწერილი თუ დაუწერელი კანონების ჩარჩოებში...

დაწერილი კანონის დარღვევისას მართლმსაჯულებასთან მოგიწევს პასუხის გაცემა, ხოლო დაუწერელი კანონის დარღვევისას – უმძიმეს შედეგთან გვექნება საქმე. ამ საკითხზე საუბარს არ გავაგრძელებ, რადგანაც თუ ღრმად დავფიქრდებით ყოველივე ნათელი გახდება.

კოსმოპოლიტიზმი (გლობალიზაცია) რასაც გულისხმობს ეს ჯერ კიდევ 1906 წელს, ვაჟა-ფშაველას შესანიშნავად აქვს ახსნილი. ამჟამად ამ მიმართულებით **„ფარული ხელის“** (მასონების) ანტიღვთიური შემოტევების შედეგად განსაკუთრებულ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა კაცობრიობა სულიერების სფეროში.

ფაქტია, ტექნიკური პროგრესი თვალსაჩინოა, მაგრამ ისიც ნათელია, თუ როგორ სიცრუისა და სიგახრწნილის ჭაობშია ჩაფლული კაცობრიობა, უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა – კაცობრიობის გარკვეული ნაწილი, რომელიც, ჭეშმარიტი, უფლის უარმყოფელია და უდიდესი ფინანსური მდგომარეობით ზურგამაგრებულნი ცდილობენ სხვადასხვა ერებმა დაივიწყონ, უფრო მეტიც, შეურაცხყონ თავიანთი ზნე-ჩვეულებები, ისტორიულად ჩამოყალიბებული ფასეულობები, რომელიც უფლის სიყვარულით არის გაპოხიერებული და გზა მისცენ უზნეობას ათასი ფორმით გამოხატულს. ახლა იკითხავს მავანი: – რატომ უნდათო ეს ყოველივე?

პასუხი აქ ერთადერთია: გაუზნევებული ხალხის დამორჩილება – დამონება ძალზე ადვილია. მონას კი როგორც უნდათ ისე იხმარენ, მაპატიეთ და ამ სიტყვის პირდაპირი თუ არაპირდაპირი მნიშვნელობით, რომ დაიკმაყოფილონ თავიანთი სადისტური მოთხოვნილებანი, რომელიც მხოლოდ ულმერთოებს შეიძლება ახასიათებდეთ.

ცნობილია, რომ მრავალფეროვნება ჰარმონიულობის აუცილებელ მხარეს წარმოადგენს; ჰარმონიულობა კიდევ უფლის განსაკუთრებული წყალობაა და ეს ყველაფერშია.

ახლა, მეგობრებო, ერთი წუთით დავფიქრდეთ ღრმად და წარმოვიდგინოთ, მსოფლიოში ყველა, რომ ერთ ენაზე ლაპარაკობდეს, ერთნაირი წესი თუ სხვა რამ ჰქონდეთ, როგორი იქნებოდა ცხოვრება? და არაა მასზე პასუხის გაცემა რთული,– ერთობ უინტერესო, მოსაწყენი და საბოლოოდ დამღუპველი.

რაც არ უნდა დაუჯერებლად მოგვეჩვენოს, ზუსტად, ქვეყნიერების დასასრულისაკენ მიაქანებს ის ანტიღვთიური ძალები, რომლებიც კაცობრიობის მართვას ცდილობენ; იმათ ვისაც მსოფლიოს ბატონობა სურთ, ზუსტად ზემოთ აღნიშნულ მეთოდებს იყენებენ დემოკრატიის ნიღბით და აწყობენ სხვადასხვა სახელმწიფოებში გადატრიალებებს და ასე შემდეგ, დიდი ფინანსების და, რა თქმა უნდა, კიდევ ძალის წყალობით.

ახლა მოკლედ შევეხოთ, საბჭოთა სივრცე თუ როგორ ჩამოყალიბდა, დაინგრა და რა ხდება დღეს – რა მომავალი ელის.

რუსეთში რევოლუცია (დიდ ოქტომბრისას რომ ეძახიან) მოახდინა მასონების მიერ მართულმა ადამიანთა ჯგუფმა, რომლებმაც განსაკუთრებული სისასტიკე გამოიჩინეს ყოველგვარი ღირებულის მიმართ; დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადეს მართლმადიდებლობას. რაც სასულიერო პირთა ხოცვა-ჟლეტასა და ეკლესიების განადგურებაში გამოიხატებოდა; არ ინდობდნენ არავის ვინც კი ეღობებოდათ: აწინაურებდნენ ისეთ ადამიანებს, რომლებსაც ზნეობრიობასთან არავითარი საერთო ჰქონდათ და ა.შ.

ასეთ რთულ ვითარებაში ღმერთს არ მიუტოვებია რუსი ხალხი, რადგანაც მათ დაიმსახურეს უფლის სიყვარული და ის ქართველის ძალისხმევაში გამოიხატა. ამ დიდ ქართველს დღეს საქართველოში, განსაკუთრებულად, ებრძვიან...

საბჭოთა იმპერია დაიმსხვრა ისევ მასონების ხელით; რადგან არ ხორციელდებოდა მათი გეგმა სწრაფად და მოქნილად. დიდი ანალიზი არ უნდა იმას, რომ საბჭოთა იმპერიის მსხვრევაში ერთ-ერთი დიდი როლი საქართველომ შეასრულა (9 აპრილმა დაუდო სათავე).

ამ ვითარებაში მოვიდა ეროვნული ხელისუფლება. საქართველო გახდა დამოუკიდებელი ქვეყანა და დაიწყო აღმშენებლობითი მუშაობა ღვთიური კაცის ზვიად გამსახურდიას მეთაურობით. მაგრამ ეს ოქროს ხანა დიდ ხანს არ გაგრძელებულა; ისევ და ისევ მასონების დაპროგრამებით მოღალატე, ე. წ. ოპოზიციონერების მეშვეობით განხორციელდა სახელმწიფო გადატრიალება.

მაგრამ აქ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ხალხის ინერტიულობა: ახლაც ჩამესმის ყურში პრეზიდენტ ზ. გამსახურდიას განუწყვეტელი რადიომიმართვები თხოვნით, მისულიყვნენ სასახლესთან ქვეყნის დამოუკიდებლობის დასაცავად... ხალხი თავის საქმეს აკეთებდა საქვეყნო საქმეებისთვის არ იცლიდნენ და დაისაჯნენ კიდევაც. მართალია, მერმე, – ურემი რომ გადაბრუნდა, – მიხვდნენ... საპროტესტო ტალღამ მოიცვა მთელი საქართველო, მაგრამ პუტჩისტებმა, მოღალატე ქართველებმა, სისხლში ჩაახშვეს ყოველივე.

ჩამოიყვანეს ედუარდ შევარდნაძე, რომელმაც დამქაშებთან ერთად დაიწყო ქვეყნის დაშლა-დაქუცმაცება; ხალხის ყვლეფა და ძარცვა, კუთხეების ერთმანეთზე გადაკიდება და ა.შ.

ახლა, დღევანდელი გადასახედიდან რომ ვუყურებ, დაბეჯითებით შეიძლება ვთქვა, რომ ჩამოაყალიბეს ცრუ ოპოზიციური პარტიები, რომლებსაც სურვილისამებრ მართავდნენ და მართავენ დღესაც...

მხედველობაში არ ვღებულობ იმ არაფრის მთქმელ ოპოზიციურ ძალებს, რომლებიც რეალურად ფაქტიური ხელისუფლებისათვის დიდ საფრთხეს არ წარმოადგენდნენ და – წარმოადგენს დღესაც.

ყოფილ საბჭოთა სივრცეში ყველაზე უფრო მეტად, უფრო მეტიც, განსაკუთრებულად, საქართველო დაისაჯა. სამეგრელო ხუთგზის ააოხრეს ე. შევარდნაძის ბანდფორმირებებმა, რომელსაც მან ერთხელ **„საქართველოს ხერხემალი“** უწოდა და სწორედ მის გადატეხვას ისახავდნენ მიზნად.

მიუხედავად ასეთი სისასტიკისა, მასონების გეგმა: სწრაფად მოეხდინათ ქართველების სულიერი დეგრადირება მაინც ვერ მოხერხდა; ვერ მოხერხდა მართლმადიდებლობის დაკნინება, პირიქით, გაძლიერდა კიდეც; ამიტომაც დღის წესრიგში დადგა **„ბებერი“** ძალების (ე. შევარდნაძე) ახლით ჩანაცვლება და მასონებმა, რომლის დასაყრდენსაც ქართული გვარის საეჭვო წარმოშობის ადამიანები წარმოადგენენ, შედარებით უმტკივნეულოდ შეძლეს ყოველივე ეს და მას **„ვარდების“** რევოლუცია უწოდეს. აქედან იწყება საქართველოს არნახული ტრაგედია; ახალი ეტაპი სამშობლოს მიმართ გამოვლენილი განსაკუთრებული ღალატისა, რომელსაც ზოგი შეგნებულად; ზოგი ანგარებით, ზოგიც კიდევ გაურკვევლობის გამო ზურგს უმაგრებდა და უმაგრებს კიდეც. და ამაში ე.წ. ოპოზიციურ ძალებს ლომის წილი მიუძღვით (ერთი ორი პარტიის გამოკლებით).

ამ **„ოპოზიციურ ძალებმა“**, როგორც ყოველთვის ორთქლის გამოშვების ფუნქცია შეასრულეს მხოლოდ და ისინი ყველაზე დიდ მოღალატეებად უნდა ჩაითვალონ და ასეც შევლენ საქართველოს ისტორიაში.

ხალხი, მასა, არასოდეს არ წარმოადგენს საქონელს. მას გათვითცნობიერება, მართვა სჭირდება; ეს კი სწორად უნდა წარმართოს ერის მოჭირნახულე ღირსეულმა ადამიანებმა. და მას ნურც ოპოზიციას დავარქმევთ და ნურც პოზიციას. სამშობლოს მოყვარულ ხალხს დაბეჯითებით შემიძლია ვუთხრა: უფალი ყველასთან, ყველგან და ყველაფერშია!

მინდა შევეხო ე.წ. 9 აპრილის აქციას, რომელიც 2009 წელს გაიმართა. მთელი პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ ეს იყო კარგად დადგმული სპექტაკლი ხალხში დაგროვილი მძლავრი საპროტესტო მუხტის ჩასაკლავად; მოუსყიდველთა გამოსავლენად და ა.შ. ეს ფუნქცია 9 აპრილის აქციამ, რომელმაც შეურაცხყო, ნამდვილი 1989 წლის 9 აპრილის დამსახურება, – ბრწყინვალედ შეასრულა...

ახლა იკითხავს მკითხველი, მაშ რა მოხდაო 2007 წლის 7 ნოემბრის აქციის ბარბაროსულად დარბევის შემდგომო და ვპასუხობ: უფალს ხალხი არ მიუტოვებია, რომელიც გამოფხიზლდა და არ დაუშვა კიდევ ერთი, მორიგი **„თამაშის გამარჯვება“**. ე. ი. ხალხის დამარცხება, რომლისთვისაც ე.წ. ოპოზიციის უმეტესმა ლიდერებმა გასწირეს იგი (აღნიშნული სამწუხარო ჭეშმარიტება იპოდრომის აქციამაც ნათელჰყო).

მაშ რა გვეშველება? ეს რა ხდება, ღმერთო? ნუთუ გამოსავალი არ არსებობს?

რა თქმა უნდა არსებობს და ეს ღვთის სიყვარულშია. თითოეულმა მოქალაქემ უნდა გაითავისოს, რომ სამშობლოს განსაცდელში ყოფნა საბედისწერო რამ არის მათთვის,– მომავლისათვის. იმ ხალხმა, რომელსაც მეტი შესაძლებლობა გააჩნია მატერიალურად,– არა აქვს მნიშვნელობა პოზიციაა თუ ოპოზიცია,– ყოველი ღონე უნდა იხმაროს ღიად თუ ფარულად თავისი წვლილი შეიტანოს ყველა იმ საკითხში, რომელიც ქვეყნის, სამშობლოს გადარჩენას შეუწყობს ხელს.

ფაქტია, რომ ქვეყანას მართავს უცხო ქვეყნის მიერ ხელდასმული ადამიანები, რომლებსაც უნდათ თუ არ უნდათ, ყველაფერი უნდა აკეთონ ისე, როგორც ამას უკარნახებენ. ამიტომ განსაკუთრებით მცდარი იყო აქციების მთავარი მოთხოვნა მიხეილ სააკაშვილის გადადგომის შესახებ. რახან ვახსენე მ. სააკაშვილი, ორიოდე სიტყვით მოგახსენებთ ერთ რამეს: – ყველაფერში დაუსაბუთებლად არ უნდა აძაგო ის... ყოველი სიტყვა ჭეშმარიტებაზე დაყრდნობით უნდა გამოიჭედოს. მაშინ აქვს მხოლოდ და მხოლოდ ფასი მას.

24 თებერვალს კინოს სახლში შედგა ეროვნული კრების ჩატარების საინიციატივო ჯგუფის შეკრება (დარბაზი სავსე იყო), რაც აკურთხეს ფეხზე ადგომით. მონაწილეებმა საუფლო ლოცვა **„მამაო ჩვენო“** შეასრულეს. ეს ყველაფერი ისე კარგად მოხდა გულს აგიჩქროლებდა კაცს... გამოვიდნენ, ცნობილი, ჭეშმარიტი პატრიოტი ადამიანები, მათი აზრი ერთი იყო – როგორ ეშველათ ქვეყნისათვის...

შეკრებაზე უამრავი პრესისა და ტელევიზიების წარმომადგენლები იყო, მაგრამ საოცრება ის გახლდათ, რომ ეს ღონისძიება არსად არ გაშუქებულა. მაშინ როდესაც იმავე დღეს ჭადრაკის სასახლეში ჩატარებულ შეკრებას, – რომელსაც ატარებდა ხელისუფლების მიერ მართული პარტიები,– მწვანე შუქი მისცა როგორც პრესამ, ასევე ტელევიზიამ.

ასეთ მძიმე ვითარებაში, ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, თითოეულმა ადამიანმა გამოიჩინოს უნდა განსაკუთრებული, მოქალაქეობრივი მიდგომა და, – არჩევნები იქნება ეს თუ სხვა რამ,– ხმა არ უნდა მისცეს (მხარი არ უნდა დაუჭიროს) ისეთ პირს, ვინც არ იმსახურებს მას. ქვეყნის მომავალი თითოეულ ჩვენგანზეა დამოკიდებული და ამიტომ გავითავისოთ ერთი ჭეშმარიტება: **„სიმართლე სინათლეს ჰბადებს!..“**

ასე რომ, ჩემო ძვირფასო თანამემამულენო, ჩვენი მომავალი ჩვენს ხელთაა, მომავალი კი გაპარტახებულ – გამოჰომოსექსუალურებულ ქვეყანაში უპერსპექტივოა, უფრო მეტიც – ამაზრზენი!..

**ალექსანდრე (ჯემალ) ჯღარკავა**

**P.S მასმედია რომ სიმართლის ამსახველი პუბლიკაციებით, რომ დაინტერესებულიყო, შეიძლებოდა 2011 წლის 26 მაისს ტრაგედია არ მომხდარიყო...**

**სამწუხაროა, მაგრამ ნახევარ სიმართლით პრესა და ტელევიზია ქვეყანას ცუდ სამსახურს უწევენ მხოლოდ და მხოლოდ.**

**სიმართლე, სიმართლე და სიმართლე თუკი გვინდა გამოვჭედოთ სამშობლოს ნათელი და ღირსეული მომავალი.**

# დუ იუ სპიკ ინგლიშ?

გაურკვეველი ჯილაგისა და მოდგმის მქონე მასონ-ბოლშევიკთა ნაშიერები მიხეილ სააკაშვილისა და მისი გუნდის სულიერი მამა-მოძღვრები და იდეოლოგები **რომ** ბრძანდებიან, დღესავით ნათელია. საიდანღაც მოვლენილი მანქურთები ფეხდაფეხ მიჰყვებიან მასწავლებელთა ნაკვალევს და მთელი სიზუსტით იმეორებენ ადამიანების სისხლის ხვრეპით ვერდამცხრალი მონსტრისაგან ჩადენილ-გაკეთებულს! საქართველოსა და ქართველების სადღეისო ყოფა ნათქვამის პირუთვნელი დასტურია და, შესადარებლად, ცალკეულ მოვლენათა ჩამოთვლას აზრი არა აქვს. მხოლოდ უჯიშო და უსქესო არსებისგან ოდესღაც წამოსროლილზე შევჩერდებით, ლოზუნგად გადაქცეული, უკიდეგანო საბჭოეთის უკიდურესად მივარდნილ დასახლებებშიც რომ თვალსაჩინო ადგილზე ჰქონდათ გამოფენილი.

სწავლა, სწავლა და სწავლა! დაიბარა წითელმა ბელადმა. და მთელი საბჭოეთი მერხებს მიუსხდა. ქართველებს ნამდვილად არ გვჭირდებოდა ცოდნის თაობაზე ჩიჩინი. ღმერთისგან კურთხეულებს, შინაგანად და ბუნებრივად სწავლამოწყურებულებს, რაოდენობრივად და პროცენტულად, მსოფლიო პოზიციები გვეკავა. ასე გაგრძელდა 1992 წლის 6 იანვრამდე... ეროვნული ხელისუფლების დამხობით, ხელისუფლებას იარაღის ძალით დაუფლებული შევარდნაძის რეჟიმის უმძიმესმა თორმეტწლიანმა პერიოდმა, ყველა დანარჩენ დარგთან ერთად, განათლებასაც სავალალო დაღი დაასვა და იგი თანდათან გამოუსადეგარი გახადა განათლებული ადამიანებისათვისაც კი. განსაკუთრებით, 2003 წლის ნოემბრიდან გაუფასურდა სწავლა საქართველოში. ნასწავლები და განათლებულები, უსწავლელებისა და ხეპრე-უვიცების სასაცილოდ და აბუჩად ასაგდებებად იქცნენ და, რაც მთავარია, სააკაშვილმა და მისმა **"კომანდამ"** ისინი უმუშევრებად აქციეს და შეგნებულად გასწირეს შიმშილით სიკვდილისათვის.

ამ უდიდესი დანაშაულის ჩამდენმა, **"ჩვიდმეტ ენაზე მოლაპარაკე"** მიხეილმა უნიჭიერეს ქართველებს შარი მოგვდო, უტვინოები და შტერები ხართ, დღემდე მხოლოდ მშობლიურ და რუსულ ენებზე ლაპარაკობთ, რაც არავის სჭირდება; ამიტომაც არა ხართ არსებობისა და გამრავლების ღირსნი, ბევრს უცხოეთში გაგლალავთ, აქ დარჩენილებს კი შიმშილით ამოგხდით სულსო. მაგრამ ოკეანის გაღმა-გამოღმელმა **"ზედამხედველებმა"** ცოტათი დააშოშმინეს ქართველების ერთბაშად ბოლოს მომღები, მართლაც პრეზიდენტად თავდაგულებული სატრაპი და დაკისრებული დავალების უფრო ეშმაკურ-შეფარული, რბილი მეთოდებით შესრულება ურჩიეს.

და მიხეილმაც, უმძიმეს სიდუხჭირეში, წარმოუდგენელ სიღატაკეში ჩაცვენილ მოსახლეობას, სულიერი მამიკოს ზემოხსენებული ლოზუნგით შეფუთული, ადვილად მოსანელებელი საკენკი გადმოუყარა. ერთობ **"უვნებელი"** ექსპერიმენტის განსახორციელებლად თბილისი დაითქვა. მისი გახმოვანება და **"საქმედ"** ქცევა, ქსეროქსზე გადაღებულ სააკაშვილის ასლსა და არავისგან არჩეულ **"მერს"** გიგი უგულავას დაეკისრა. უიმედო და სასოწარკვეთილი ადამიანების მორიგი გასაცურებელ-მოსატყუებელი და **"იმედის ნაპერწკლის"** გამჩენი ფანდი, არც თუ ძნელად შესასრულებელი მოიგონეს. ყოველგვარი გადასახადისა თუ სხვა რამ ხელშემშლელი წინააღმდეგობის გარეშე, სრულიად უსასყიდლოდ, ყველასათვის ხელმისაწვდომად... **"ნაციონალურმა"** ხელისუფლებამ, საბოლოოდ განწირულ ადამიანებს საოცნებო-სანატრელი **"სამუშაოს საშოვნელი"** მარტივი საშუალება შესთავაზა: მყუდრო და მშვიდ გარემოში, **"სულ რაღაც სამ თვეში ინგლისურისა და კომპიუტერის დაუფლებით, სამშვიდობოს გასვლა"!..** და რაც მთავარია, სამ თვეში **"ინგლისურნასწავლსა"** და ერთ თვეში კომპიუტერს დაუფლებულების დიდ ნაწილს, მერია **"სამსახურით უზრუნველყოფის გარანტიას"** აძლევდათ!..

თბილისის სხვადასხვა უბნებში მოსახლეობასთან გამართულ სამარცხვინო შეხვედრებზე იმედდაკარგულ ადამიანებს გიგი უგულავამ პირადად დაუდასტურა **"თავის გადასარჩენი გზისა თუ საშუალების სასწაულთმოქმედება"**. მერე **"განმარტება-საუბრები საქმედ აქცია"** და მერიაში, გამგეობებში და სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებში ოცდაჩვიდმეტი სასწავლო ცენტრი აამოქმედა. **"მკაცრი გასაუბრებით"** შერჩეულ ოთხმოცდაათ მასწავლებელს სამოცლარიანი ხელფასი დაუნიშნა და მორიგი ქოსატყუილობანას გათამაშებაც დაიწყო.

2011 წლის დასაწყისში, ახალი ფარსის სულისჩამდგმელმა და განმახორციელებელმა მერმა კიდევ ერთხელ ჩაგვწიხლა და შეურაცხგვყო – **"რუსთავი-2"**-ზე გამოსვლისას ჩვეული უტიფრობით განაცხადა: ადამიანებს ასაკის გამო კი არა, კომპიუტერისა და ინგლისურის უცოდინარობის გამო ეუბნებიან უარს სამუშაოზე მიღებაზეო. დარწმუნებული ვარ, ჩვენი კურსების ამოქმედება, ამ **"უმსგავსოებას და უკანონობას"** ბოლოს მოუღებს და გათავხედებულ დამსაქმებლებს **"ჩიხში მოვამწყვდევო"**. პატიოსანი ადამიანების აბუჩად აგდების ზღვარს გადასულმა ცინიკოსმა, ყველაზე **"საიმედო და გასახარი"**, ბოლოსთვის მოიტოვა და კურსებზე **"განსწავლულ-განათლებულთა"** დიდ ნაწილს, მით უფრო **"წითელდიპლომიანებს"**, სამუშაოთი უზრუნველყოფა აღუთქვა...

უგულავას მიერ უმუშევარი ადამიანების **"დასასაქმებელი ერთადერთი უტყუარი და ნაღდი წამლისა თუ გასაღების აღმოჩენა"** გაზეთ **"ასავალ-დასავალში"** საკმაოდ **"გასაგებად"** განგვიმარტა თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის უფროსმა ზვიად არჩუაძემ. შეფის **"გამაოგნებელი გამოსავლის მიგნებით"** შთაგონებულმა და კმაყოფილმა, სიტყვა-სიტყვით გაიმეორა, **"საბოლოოდ დაგვარწმუნა და დაგვაიმედა"**, რომ ტრაგედია და უბედურება სამუშაოს არარსებობა კი არა, კომპიუტერზე მუშაობისა და ინგლისურის უცოდინარობა ყოფილა!..

**"ძალიან ბევრ ადამინს ინგლისურისა და კომპიუტერის ბარიერი აქვს. სწორედ ამის გამო ვერ შოულობენ ისინი დღევანდელ დროში სამსახურს. კომპიუტერისა და ინგლისურის შესწავლა ბევრ ნიჭიერ ადამიანს დასაქმების საშუალებას მისცემს. წარმატებულ სტუდენტებს სამსახურის შოვნაში თავად დავეხმარებით",** – გვამცნო გიგის ცრუპენტელა ხელქვეითმა. თუმცა, მარტო ამას არ დასჯერდა ბატონი არჩუაძე და თავისდაუნებურად, კიდევ ერთი მაგარი ტყუილით **"გაამაგრა"** გიგის წამოწყება: **"სასწავლო კურსები საღამოს, სამუშაო საათების დასრულების შემდეგ დაიწყებაო".**

არ იქნებოდა ურიგო, ზვიად არჩუაძეს, საკუთარი პიროვნებით დაეწყო ხალხის **"დაიმედება-დამშვიდება".** თავად რა ცოდნის პატრონი ბრძანდება და როგორ დაბრძანდა დასახელებული სამსახურის ხელმძღვანელის სკამზე? მისი გარეგნობისა და გამომეტყველების შემხედვარეს, დანჯღრეული ქართულით ლაპარაკის მოსმენისას, აშკარად ჩანს და იგრძნობა, რომ არაფერი გაეგება კომპიუტერისა და ინგლისური ენა რომ არსებობს, ალბათ გიგის წამოწყების შემდეგ შეიტყო!..

გვეგონა, თბილისელთა ყოფაზე **"მოუღლელი ფიქრით დამაშვრალი"** მერის **"მიგნება"** მარტოოდენ უმუშევარ თანაქალაქელებზე იყო გათვლილ-გათვალისწინებული, მარტო **"მათ გადარჩენასა და ამქვეყნად მობრუნებას თუ გულისხმობდა".** მაგრამ აღმოჩნდა, **"გამოსავალი"** ორდანიშნულებიანი ყოფილა – მერეღა ჩავწვდი გიგის **"ჩანაფიქრის სიღრმესა და ნიუანსს".**

გასაკვირი არ არის, რომ ამა თუ იმ სამუშაოთი დასაქმებულ პიროვნებას, საღამოს საათებში, **"კურსებზე განსწავლის შემდეგ"**, თანამდებობრივად წინსვლა-დაწინაურების ჭია შეუჩნდეს და უფრო რბილ სავარძელში გადამჯდარმა და მაღალხელფასდანიშნულმა, ყოფილი სამუშაო, უმუშევარ თანაკურსელს დაუთმოს. აი, სად არის ჩამარხული მერის **"ეშმაკური მოულოდნელი გასახარის მიძღვნის ძირითადი იდეა".** ამისი მიღწევა კი ძალზე ადვილია – მხოლოდ გიგის კურსების გავლა და **"ყველანაირ სამუშაოზე მოწყობისა და პროფესიონალიზმის დამადასტურებელი ყოვლისშემძლე"** სერტიფიკატის ხელქონაა საჭირო.

ეს ყველაფერი არ გახსენებთ, არც თუ დიდი ხნის წინათ, მიხეილ სააკაშვილისგან გადმოსროლილ მოქალაქეთა დასაქმების პროგრამას? უმუშევრობის **"დაშრობის ის ჯადოსნური"** გეგმაც ხომ სამთვიანი იყო და მასში ჩაბმული ყველა ადამიანი **"ნაღდი დასაქმებით გახლდათ გარანტირებულ-უზრუნველყოფილი".** გიგის კურსებისაგან განსხვავებით, მიხეილის პროგრამა უფრო დასახარბებელი იყო. ამა თუ იმ ფირმა-კომპანიასა თუ **"საწარმოში"**, ნებისმიერი ხელობისა თუ სპეციალობის **"დაუფლების მსურველებს",** დატერორებული ბიზნესმენები და მეწარმეები, **"მომავალ თანამშრომლებს"**, სამი თვის განმავლობაში **"სიამოვნებით უხდიდნენ ხელფასს და მერე, თავგადაკლულები, სხვაგან არსად უშვებდნენ, სამუშაოდ თავისთან იტოვებდნენ".** თქმა არ უნდა, მაშინ **"ხელობას დაუფლებულთა"** უდიდესი ნაწილი, დღემდე უმუშევარია.

მართალია, გიგი და მისი ამქარი **"სასწაულმოქმედ კურსებზე განსწავლულთა"** უმეტესობას სამუშაოზე მოწყობას ჰპირდება, მაგრამ ეს ისევე მარტივი რიგითი ტყუილია, როგორც, ერთ დროს, თავად გიგის სტიქაროსნობა, მერე – ფილოსოფოსობა და 30 მაისის **"არჩევნების"** ჩამტარებელი, სამშობლოსა და ერის მოღალატე, რამდენიმე ათეულ ლარად სახელ და სულგაყიდული, სიებმოფრიალე დიაცებისაგან არჩეული მერობა. გადაშალოს გიგიმ გაზეთ **"სიტყვა და საქმის"** ბოლო ნომერი და ვითომც ვაკანტური სამუშაოების შეთავაზების განცხადებები გულდასმით ჩაიკითხოს: **"დამსაქმებელნი"**, სამუშაოდ, სააკაშვილისაგან დაწესებული ოცდაათ წლამდე ასაკის ადამიანებს **"იწვევენ"!..**

რაც შეეხება გიგი კურსებზე სამ თვეში **"ნასწავლი ინგლისურით"** იმ სამსახურში დასაქმებას, სადაც მისი საფუძვლიანი ცოდნაა აუცილებელი, ასეთი კანდიდატი, გამორჩეულად ნიჭიერი თუ არა, ენების შესწავლის სააკაშვილისნაირი უნარი მაინც უნდა ჰქონდეს და მისნაირ კოჭლ ამერიკულ ინგლისურს მაინც უნდა ფლობდეს. ესეც არ იყოს, ინგლისურად **"ალაპარაკებული"** მარტო ამას არ უნდა დასჯერდეს და მუდმივად, ყოველწლიურად უნდა სრულჰყოს **"ნასწავლ-შეთვისებული",** თორემ სამ თვეში ფართი-ფურთით თავში ჩაფრენილი, სამ თვეშივე ამოუფრინდება!

საინტერესოა, ბატონი უგულავა თუ ლაპარაკობს შექსპირის ენაზე? და თუ არა, უეჭველია, მერიაში გახსნილ კურსებზე **"შეივსებს დანაკლისს".** თორემ, ის კი ცნობილია, რომ გერმანიაში **"განსწავლული",** თურმე ისე **"სხლავს და არაკრაკებს"** გოეთეს ენაზე, რომ თვით აუღელვებელი გერმანელებიც კი **"განცვიფრებულები არიან მისი გერმანულით"!**

არანაკლებ ინტერესდასაცხრობია დევნილთა უსტაბაშად დანიშნული კობა სუბელიანის ინგლისურის ცოდნის პროცენტული მონაცემების შეტყობა. შეიძლება, სასურველ ზღვრამდე მისაღწევად ბევრიც არ აკლდეს და სამთვიანი კურსების ჩათავებით შეძლოს და აინაზღაუროს **"ჩავარდნა".** სხვამხრივ, გიგის შოფერყოფილი და ეხლა გამინისტრებული კობა, თურმე, გერმანულად, რაღაცნაირად **"ახერხებს საუბარს".** არც არის გასაკვირი. მძღოლის მოვალეობის შესრულებისას, გიგი ნამდვილად არ დაიზარებდა და დანიშნულების ადგილამდე მისვლამდე, **"ნიჭიერსა და მკვირცხლ"** ხელისბიჭს, დროს, მხოლოდ ბიუჯეტიდან ფულის მოპარვის ლაპარაკში არ დააკარგვინებდა და მოთმინებით **"აალაპარაკებდა"** შილერის ენაზე.

ისიც საინტერესოა, რა განათლებისანი არიან და ინგლისურის ცოდნის რა **"ბაგაჟით"** შეუძლიათ თავის მოწონება **"მიშა მაგარია"**-ს ჰიმნის შემქმნელ **"მომღერალ"** მინისტრ **გიორგი ხაჩიძეს**; **"სუპერგზების დამგებსა"** და **"ლაფატკით"** ფულის მხვეტავ გამინისტრებულ **რამაზ ნიკოლაიშვილს;** მიხეილისგან, ახალგაზრდებისათვის ბუჩქებში **"საქმიანობის"** მეთოდის პროპაგანდისტს, კომკავშირის ცეკას სახელგადაკეთებულ სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრ ლადო ვარძელაშვილს (სინამდვილეში აქოფოვი ყოფილა, მერე – აკოფაშვილი და ა.შ.); სხვა დანარჩენ მინისტრებსა და სახელისუფლო მაღალჩინოსნებს; ფულის საშოვნელად პარლამენტში შერეკილ უვიცსა და უენო მასას.

ორგზის **"ეროვნულ გმირად"** შერაცხულ, **"წარმატებულსა"** და დიდი ფულის მომხვეჭელ დავით კირკიტაძეს კი თავი ქუდში აქვს. ბრიტანეთში **"სასწავლებლად"** გაგზავნილმა, გაზეთებიდან თავმომწონედ გვამცნო, **"ინგლისურის უმოკლეს დროში დაუფლებით, პირდაღებული და გაოგნებული იქაური სპეციალისტების"** შესახებ. ჰოდა, ამის მერე, ვიღას უნდა გაუკვირდეს ახალგაზრდა გუბერნატორის დიკენსის ენაზე საუბარი და მისი ქმნილებების **"ორიგინალში ჩაბულბულება"**?

ბრიტანეთში ორთვიანი **"სწავლის"** დროს ინგლისურს **"დაუფლებული"** ქვემო ქართლის გუბერნატორისაგან განსხვავებით, სააკაშვილის ბოლო **"საოცრება-აღმოჩენა"** ვერა ქობალიამ ინგლისური, კანადაში პურის ცხობა-გაყიდვასთან ერთად **"შეისწავლა"** და დანჯღრეული ქართულისაგან განსხვავებით, ალბათ შედარებით უკეთესად საუბრობს კანადურ-ამერიკული ინგლისურით. ზედმეტად თამამი და დაუდგენელი განათლების 28 წლის გოგოს, მიხეილმა, ალბათ, სწორედ ამის გამო არგუნა უპირატესობა და ძალზედ საპასუხისმგებლო სფეროს – ქვეყნის ეკონომიკის (თანაც **"მდგრადის"**) მინისტრის პორტფელი უბოძა. მართალია, ვერა დღემდე ვერ გარკვეულა იმაში, რომ მის სამინისტროს არა **"ეკონომიური"**, არამედ **"ეკონომიკური განვითარების..."** ჰქვია; რომ ვერც თანაშემწეებისგან დაწერილ ფურცლებში ჩაუხედავად ვერ წარმოუთქვამს ორიოდ მარტივი წინადადება, მაგრამ მინისტრის თანამდებობის დასაკავებლად, ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, მიხეილის მოწონება, თორემ ქალბატონ ვერას წინამორბედები რითი განსხვავდებოდნენ მისგან? ალბათ, მხოლოდ სქესით...

შეიძლება საქართველოს ეკონომიკის **"მხსნელად"** მოვლენილ ვერას **"ინგლისურთან"**, ცოტა უხერხული იყოს ქვეყნის **"ხერხემალ"** ივანე მერაბიშვილის ინგლისურის შედარება, მაგრამ მის ინტელექტსა და ცოდნა-განათლებაში დაეჭვებულ ავყიათა დასადუმებლად, ბოლო უნდა მოეღოს გაუთავებელ ქილიკსა და ქირქილს. დიახ, ბატონი მერაბიშვილი, ასე თუ ისე, რაღაცნაირად ახერხებს უცხოელ ჟურნალისტებთან და მაღალი რანგის სტუმრებთან, ქვეყანაში არსებულ მდგომარეობაზე **"ინგლისურად"** ლაპარაკს. დასტურად, თუნდაც რუსეთთან კაპიტულაციაგამოცხადებული ომის შემდგომი ვითარების გასაშუქებლად ჩამოსულ ინგლისელ ჟურნალისტთან, წეროვანში, **"ინგლისურად საუბრის"** ტელესიუჟეტი კმარა.

ვფიქრობთ, შსს-ს თავკაცის ბრიტანელთა ენაზე **"ალაპარაკება"**, მისი მოადგილის, ინგლისური ენის სპეციალისტ ეკატერინა ზღულაძის ჯაფა-ღვწისა და მცდელობის შედეგი უნდა იყოს. სააკაშვილის დაჟინებული ქადაგება-მოწოდება ინგლისურის შესწავლის თაობაზე, ივანე მერაბიშვილმა, გიგის კურსების გვერდის ავლით, ძალზე უბრალოდ და მარტივად, ასე ვთქვათ, შინაურ წრეში მოაგვარა. გვჯერა, ბატონი მერაბიშვილი ხელიდან არ გაუშვებს ამ უნიკალურ შესაძლებლობას და ქალბატონ ზღულაძის **"ცოდნა-პროფესიონალიზმის"** ხელთმქონე, მრავალათასიან კოლექტივს, გურგენ დონაძის ტელევიზიით აზიარებს თეკერეისა და ჰემინგუეს ენას. ამით, იმავდროულად, სხვა პრობლემაც მოგვარდება – **"შინ განსწავლული"** პოლიციელები და სამინისტროს თანამშრომლები, გიგის კურსებზე **"განსწავლაში"** აღარ შეეცილებიან რიგით თბილესელებს.

ივანე მერაბიშვილისგან მიგნებული, ინგლისური ენის ე.წ. **"შინ სწავლის"** მეთოდის გამოყენების არანაკლები შანსი აქვს მიხეილ სააკაშვილის კიდევ ერთ **"სასწაულ აღმოჩენას"** – ქურდების, პატიმრებისა და ციხეების მინისტრ ხათუნა კალმახელიძეს. მისი ოთხი ენის უნიკალური ცოდნითა და რამდენიმე უცხოური დიპლომით აღფრთოვანებული მიხეილის შემყურენი, ხათუნა მინისტრს ნამდვილად ვერ მოვუწონებთ **"უდიდესი სარგებლობისა და სიკეთის მომტანი"** შესაძლებლობების **"გამოუყენებლობას".** თუმცა, შეიძლება პატიმრების გაუსაძლისი და არაადამიანური პირობებისადმი არაადამიანური გულცივობით მაყურებელ, უამრავი პატიმრის უმძიმესი სენით დაავადების, მათი სადისტური წამებითა და არნახულად გახშირებული თვითმკვლელობების მომსწრე შეუბრალებელ დიაცს, დიდი სამზადისი ჰქონდეს გაჩაღებული მიხეილის გულის მოსაგებად და შექების მოსაპოვებლად...

გელა ჯიღაური

*(დასასრული შემდეგ ნომერში)*

ილორი

ეროვნული ბიბლიოთეკა



სერგეი კრემლიოვი

# ბერია XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი

ვასილი ოსიპის ძე კლიუჩევსკიმ ინტელიგენცია შემდეგი კლასიფიკაციით გამოაცალკევა:

**"1) ქაღალდზე მეოცნებე უინიციატივო ადამიანები, რომლებიც აღიზარდნენ ჟურნალ-გაზეთთა ღირებულებებზე. 2) სექტანტები, ჩაკირული მსოფლმხედველობით, რომელთაც დამოუკიდებლად აზროვნების უნარი არ გააჩნიათ. 3) ხეზე ანათალი ნაფოტები, რომლებიც მდინარეთა დინებებს ბრმად მიჰყვებიან, ერთიდაიგივე დაზეპირებული სიტყვებითა და უცვლელი მადით".**

კლიუჩევსკი შეისწავლიდა და აკვირდებოდა რუსულ საზოგადოებას ჯერ კიდევ პეტრე პირველის დროიდან და დღევანდელი დღისათვისაც კი გასაოცარი სიტყვებით დაასკვნიდა:

**"...ამაყი რუსი ინტელიგენტი ფრიად უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა: ის, რაც მან იცოდა, სრულიად გამოუსადეგარი აღმოჩნდა, ხოლო ის, რაც საჭირო იყო, მან არ იცოდა. მან იცოდა ამაღლებული ლეგენდა სამყაროს ზნეობრივი დაცემისა და მოსკოვის მესამე რომად გადაქცევის შესახებ, მაგრამ საჭირო იყო არტილერიის, ფორტიფიკაციების, სამთო საწარმოების და მედიცინის ცოდნა, რათა მესამე რომი გადაერჩინათ დაცემული სამყაროსაგან... განათლებულმა რუსმა ადამიანმა იცოდა რუსული სინამდვილის თაობაზე, ის, რაც ხდებოდა, მაგრამ რა უნდა გაეკეთებინა, ეს უკვე აღარ იცოდა..."**

მას შემდეგ, რაც ეს სიმართლის შემცველი მწარე სიტყვები დაიწერა, საკმაოდ დიდი დრო გავიდა და რუსეთში გამოჩნდა დიდად განათლებული ადამიანების მთელი პლეადა, რომელთაც ძალიან კარგად უწყოდათ რუსული სინამდვილის თაობაზე და ისიც კარგად იცოდნენ, თუ რა უნდოდა რუსეთს და რა უნდა გაეკეთებინათ მათ რუსეთისათვის...

რა უნდა გაეკეთებინათ!

ისინი დარწმუნებულნი იყვნენ და ენდობოდნენ სახელმწიფოს და საკუთარ თავს, იმიტომ, რომ ჰქონდათ არტილერიის, ფორტიფიკაციების, სამთო საწარმოების და მედიცინის ცოდნა, იყენებდნენ ამ ცოდნას და აკეთებდნენ საქმეს! ისინი იყვნენ საქმის ხალხი, მათ უყვარდათ საკუთარი საქმე და ეხერხებოდათ მისი კეთება! სტალინისა და ბერიას ეპოქა კი მათ ყველა პირობას უქმნიდა წარმატებით მუშაობისათვის... მაგრამ, რაში სჭირდებოდა ყოველივე ეს გაზულუქებულ პარტოკრატიას, რომელსაც საკუთარი კეთილდღეობისა და კუჭის გარდა არაფერი ანაღვლებდა?

საბჭოთა პარტოკრატიასა და **"შემოქმედებით ინტელიგენციას"** ერთმანეთთან ანათესავებდა უსაქმურობა და ცარიელი სიტყვების ბრახაბრუხი. საბჭოთა პარტოკრატიასა და გენერალიტეტს კი ერთმანეთთან ანათესავებდა იმის ჰიპერტროფირებული თვითდაჯერებულობა, რომ მხოლოდ მათ იციან, თუ როგორ უნდა მართონ ვეებერთელა ეს სახელმწიფო.

ეს კი სასიკვდილო საფრთხეს წარმოადგენდა.

უეჭველია, რომ სტალინისა და ბერიას სამშობლოში იყო უამრავი შესანიშნავი პარტიული და საბჭოთა მუშაკი – თუნდაც საბჭოთა კავშირის ორგზის გმირები ალექსი თევდორეს ძე ფედოროვ-ჩერნიგოვი და სიდორ არტემის ძე კოვპაკი რად ღირდნენ! აღარაფერს ვამბობ ომის წლებში ჩამოყალიბებულ მეურნე ხელმძღვანელთა შესანიშნავ კოჰორტაზე, რომელთა ბუნებრივი ლიდერიც თავად ლავრენტი ბერია გახლდათ. და იყვნენ ახალი არმიის აღმშენებლობაში ჩაბმული წესიერი, უმწიკვლო გენერლები და მარშლები – თუნდაც იგივე კონსტანტინე კონსტანტინეს ძე როკოსოვსკი! და იყვნენ ჭეშმარიტების ერთგული მეცნიერები... ხელოვნების ერთგული შემოქმედები, რომლებიც ამაღლებულ ნაწარმოებებს ქმნიდნენ...

სწორედ მათი შრომის წყალობით მიიწევდა საქმე წინ, რომელიც წლითიწლობით ვითარდებოდა და ახალ სიმაღლეებზე ადიოდა. მართლაც შესანიშნავი პერსპექტივა ისახებოდა და 1952 წლისათვის საბჭოთა კავშირში ძალიან ბევრი რამ იყო გაკეთებული.

გენერლებმა გორდოვმა და რიბალჩენკომ თავად აირჩიეს საკუთარი ბედი და ვერ მოესწრნენ 1952 წლის საბჭოთა კავშირის ხილვას. 1952 წლისათვის კი ქვეყანას ხარისხობრივად სულ სხვა სახე ჰქონდა. ამ წელს ქვეყანამ აწარმოვა 34,4 მილიონი ტონა ფოლადი, ნაცვლად 1945 წელს წარმოებული 12,3 მილიონი ტონისა; ქვანახშირი – 300 მილიონი ტონა, ნაცვლად 149 მილიონი ტონისა, გამომუშავებულ იქნა 119 მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერგია, ნაცვლად 43,3 მილიარდი კილოვატსაათისა.

ბავშვთა სიკვდილიანობა 1950 წელს ორჯერ შემცირდა 1940 წელთან შედარებით, ექიმთა რიცხვი 1940 წელს შეადგენდა 155 ათასს, 1950 წელს კი – 265 ათასს.

1945 წელს ქვეყანამ აწარმოვა 292 ათასი ტონა მცენარეული ზეთი და 117 ათასი ტონა ცხოველური ცხიმი. 1950 წლისათვის კი (როცა დახვრიტეს გორდოვი და რიბალჩენკო), ეს ციფრები, შესაბამისად შეადგენდნენ 819 ათასს და 336 ათასს. 1950 წელს წარმოებული იქნა 2 მილიონ 523 ათასი ტონა შაქარი, ნაცვლად 1940 წელს წარმოებული 465 ათასი ტონისა.

ძვირფასო მკითხველო, ეს ხომ ნამდვილი გმირობაა!

მაგრამ, ყოველივე ეს იქმნებოდა არა ვიღაც ძია სემისათვის, არა ოლიგარქებისათვის, არამედ საკუთარი მოხმარებისათვის. ამიტომაც იზრდებოდა ყველაფერი, თითქმის დაუჯერებელი ტემპებით.

მაგრამ ყველაფერ ამას სჭირდებოდა ორგანიზაცია.

და, სტალინის პარტია უწევდა ორგანიზებას.

პარტოკრატთა პარტია ამით სარგებლობდა.

სამშობლო?

სამშობლო ჯერჯერობით წინ მიიწევდა...

ერთ-ერთი ანტისტალინური (ესე იგი – ანტიბერიულიც) მითი ასეთია: ჩვენ ჩამოვრჩით ელექტრონული გამოთვლითი ტექნიკის წარმოებაში იმიტომ, რომ კიბერნეტიკა აღიარებული იყო ცრუ მეცნიერებად. მაგრამ საბჭოთა მეცნიერების ისეთი გამოჩენილი უცხოელი მკვლევარი, როგორიცაა ლორენ გრეჰემი, აღიარებდა, რომ **"საბჭოთა იდიასინკრაზია კიბერნეტიკის მიმართ გაზვიადებული იყო საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთ".**

რა თქმა უნდა!

ჩვენი მკითხველი უკვე გაეცნო ბერიასადმი პარშინის მიერ გაგზავნილ წერილს საბჭოთა კავშირში ელექტროგამომთვლელის მანქანების შექმნაზე ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ. ახლა კი, მოვახდენთ იმის ილუსტრირებას, თუ როგორ ფასდებოდა ყოველივე ეს უცხოელი დამკვირვებლების მიერ... თავის წიგნში **"მე – მათემატიკოსი"**, მსოფლიო **"კიბერნეტიკის მამა"** ნორბერტ ვაინერი წერდა:

**"ჩემი კვლევები... გამოჩენილ რუს სპეციალისტებთან მჭიდრო კავშირში მიმდინარეობდა... ხინჩინი და კოლმოგოროვი, ორი შედარებით გამოჩენილი რუსი სპეციალისტი... მუშაობდნენ იგივე სფეროში, რომელშიც მე... ლამის ოცი წელი ჩვენ ერთმანეთს ქუსლზე ვაბიჯებდით ფეხს...**

**და მე არა ვარ დარწმუნებული, რომ კოლმოგოროვმა დამოუკიდებლად არ მიაკვლია... ამ მეთოდების ჩემთვის ცნობილ შესაძლებლობებს... სავარაუდოა, რომ მან ვერ მოახერხა თავისი ნაშრომების გამოქვეყნება ღია პრესაში...**

**როცა მე დავიწყე მუშაობა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სამინისტროსათვის... წამოიჭრა საკითხი: ხომ არ აინტერესებდა ვინმეს საზღვარგარეთ პრობლემები, რომლებზედაც მე ვმუშაობდი... მე მაშინ ვუპასუხე, რომ თუ დღეს მსოფლიოში ვინმე მუშაობს ამ პრობლემებზე, ეს იქნება რუსეთში მოღვაწე მეცნიერი კოლგომოროვი..."**

ლუზინის მოწაფე კოლმოგოროვი 36 წლის ასაკში, 1939 წელს, აკადემიკოსი გახდა, 1941 წელს სტალინური პრემიის ლაურეატობა მიიღო და სტალინის სიცოცხლეშივე დაჯილდოვდა ორი ლენინის ორდენით და შრომის წითელი დროშის ორდენით. ალექსანდრე ხინჩინიც 1939 წელს გახდა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მაგრამ იგი მაშინ 45 წლის იყო. 1941 წელს ხინჩინმა სტალინური პრემია მიიღო, 1953 წელს კი ლენინის ორდენი.

სერგეი ვლადიმერის ძე ლებედევმა, რომელმაც შექმნა პირველი სწრაფმომქმედი ელექტრონული მანქანა (БЭСМ) და მისი მოდიფიკაცია, 1934 წელს, როცა 32 წლის ასაკის იყო, გამოუშვა უკვე თავისი მეორე წიგნი **"ელექტრონული სისტემების პარალელური მუშაობის მდგრადობა".** იგი 1946-1951 წლებში ხელმძღვანელობდა უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის ელექტროტექნიკის ინსტიტუტს, 1951 წელს კი დანიშნეს ზუსტი მექანიკის ინსტიტუტის დირექტორად, სადაც იქმნებოდა БЭСМ-1, БЭСМ-4, БЭСМ-6 და ელექტროგამოთვლითი მანქანების სხვა პიონერები. დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის მესამე გამოცემის მეოთხე ტომში, სადაც განთავსებულია სტატია БЭСМ სისტემების ელექტრულ გამოთვლით მანქანებზე, ზოგიერთი ნაწილი დაწერილია თვით ლებედევის მიერ. ეს იყო 1971 წელს. მაგრამ რუსეთის დიდი ენციკლოპედიის მეოთხე ტომში, რომელიც გამოიცა 2006 წელს, ამ მანქანებზე ერთი სიტყვაც კი არ არის ნათქვამი. ალბათ იმიტომ, რომ არ გამოაშკარავდეს სიმართლე – 1953 წელს საბჭოთა კავშირს უკვე ჰქონდა თავისი გამოთვლითი ტექნიკა, ხოლო **"ტირანი"** სტალინი სულაც არ დევნიდა და არ ავიწროვებდა საბჭოთა კიბერნეტიკოსებს და გზას არ უკეტავდა ტექნიკურ პროგრესს.

ასე რომ, ჩვენს გამოთვლით ტექნიკას უკვე 1940 წელს ჰყავდა საკუთარი იდეოლოგები და საკუთარი შემოქმედები. ამის თაობაზე კარგად დაწერა სერგო ბერიამ:

**"მე მოვუთხრობდი ჩემს დღევანდელ კოლეგებს, რომ მაშინ ინსტიტუტში ბევრად მეტი გამოთვლითი ტექნიკა მქონდა, ვიდრე ეს დღეს არის! თერთმეტი! მართალია, ისინი მოცულობით დიდები იყვნენ, რადგან პირველ თაობას ეკუთვნოდნენ, მაგრამ ჩვენ ისინი გვქონდა! სამამულო ნაწარმი იყო... საოცარია, რომ ყველაფერი ეს დავიწყებას მიეცა, ტექნიკის ძირითადი შემქმნელები კი კიევსა და ხარკოვში მუშაობდნენ.. პროფესორი ლებედევი, სხვა მეცნიერთა მთელი წყება მუშაობდა ამ დარგში...**

**მაშინ პარტია ნამდვილად ავიწროვებდა ცრუმეცნიერება – კიბერნეტიკას... პარტიის ცკ, მისი აპარატი, ხშირად ძალიან შორს იდგა რეალობისაგან...**

**მათი ყბედობა ჩვენ ხელს არ გვიშლიდა, იმიტომ, რომ ისეთ მნიშვნელოვან საქმეებთან, როგორიც იყო ბირთვული და სარაკეტე პროექტები, პარტიულ მუშაკებს ახლოს არავინ აკარებდა. სხვა დარგებში, სადაც ისინი ერეოდნენ, რა თქმა უნდა, საქმეები ბევრად ცუდად მიდიოდა... სტალინს კი საქმე აინტერესებდა. პარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატის ფასი მას კარგად ესმოდა... ეს ხალხი მას მხოლოდ ტოტალური კონტროლისათვის სჭირდებოდა..."**

მე მკითხველს ვთხოვ, რომ ეს შეფასება შეუდაროს პარტიის ცეკას ანტიბერიასეულ პლენუმზე საშუალო მანქანათმშენებლობის ახლადდანიშნული მინისტრის ვიაჩესლავ მალიშევის გამოსვლას:

**"ბერიას მუშაობის სტილი იყო დიქტატორული, ანტიპარტიული.**

**რაც შეეხება პარტიულობას. მე ვმუშაობდი სამამულო ომის დროს, ვხელმძღვანელობდი ტანკების წარმოების სფეროს... აქ არსად ჩანდა პარტიის ხელი. იგი მიგვანიშნებდა, რომ პარტიულმა სტრუქტურებმა ხელი უნდა შეგვიწყონ (ვის, ბერიას თუ საბჭოთა კავშირს? – ს.კ.)... ხან ამის გაკეთებას გვაიძულებდა, ხან იმისა.**

**არასოდეს მიმართავდა პარტორგანიზაციას დახმარებისათვის. იგი პარტიის საოლქო კომიტეტის მდივნებს დისპეტჩერებად მიჩნევდა..."**

სხვა რა ფუნქცია უნდა შეესრულებინათ ამ გაგანია ომის დროს საოლქო კომიტეტების მდივნებს, თუ არა სსრკ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დისპეტჩერის მოვალეობა? ქარხანა ურალმაშის მოწინავე ხარატმა ანა ლოპატინსკაიამ გეგმა 300 (!) პროცენტით შეასრულა... როცა მას ჰკითხეს, თუ როგორ მიაღწია ასეთ შედეგს, მან უპასუხა: **"ფეხის წვერებზე დგომით".** ანა ტანდაბალი ქალი იყო და ჩარხს რომ მისწვდომოდა, ფეხის წვერებზე უწევდა დგომა. და როგორ გგონიათ, ასეთი ხალხისათვის საოლქო კომიტეტების მდივნებს **"ბელადობა"** და **"აგიტატორობა"** უნდა გაეწიათ, თუ დისპეტჩერული ფუნქციების შესრულებით დახმარებოდნენ?

უფრო უპრიანი იქნებოდა, რომ ამ თხუთმეტი წლის გოგონას წინ, რომელიც ფეხის წვერებზე იდგა გამარჯვებისათვის, ისინი მუხლებზე დამდგარიყვნენ!

მალიშევი ინჟინერი იყო. და იგივე 1941 წელს, იგი, ურალმაშის ხელმძღვანელობისაგან მკაცრად მოითხოვდნენ, რომ ჩარხების სადგარის მონტაჟისათვის საჭირო დრო – 48 საათი, მათ სამ-ხუთ საათამდე შეემცირებინათ... თითქმის ათჯერ! რა იყო ეს – ხელმძღვანელის კაპრიზი თუ უმეცრების გამოვლინება? არა! მალიშევის სისასტიკეს არ დაუფრთხია ურალმაშელები. პირიქით, ყველა იგრძნო, თუ როგორ სჭირდებოდა ფრონტს ტანკები. და ტანკები რამდენიმე დღეში გამზადდა.

აი, ზუსტად ასე მკაცრად მოითხოვდა – თუ ამის საჭიროება წარმოიქმნებოდა – ბერია. საბოლოო ჯამში ფრონტმა ზურგისაგან მიიღო ყველაფერი ის, რაც საჭირო იყო გამარჯვებისათვის. სწორედ ამაში გამოიხატებოდა ბერიასა და ანას პარტიულობა, იმიტომ, რომ ისინი სტალინის პარტიის წევრები იყვნენ.

ხოლო გენერლები გორდოვი და რიბალჩენკოვი, მიუხედავად მათი წუწუნისა ხალხის მძიმე მდგომარეობის შესახებ, პარტოკრატიის პარტიის წევრები იყვნენ, და ხრუშჩოვის პარტიაში გადადიოდნენ ახლა მალიშევის ტიპის ადამიანები.

სამწუხაროდ...

აი, კიდევ ერთი ბრალდება ბერიას **"არაპარტიულობის"** თაობაზე, რომელიც წერილობით გამოხატა ბერიას დაპატიმრების შემდეგ სსრკ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველმა მ.ტ. პომაზნიოვმა. მან აუხსნა მალენკოვსა და ხრუშჩოვს, რომ, რახან არ მიეცა საშუალება **"სიტყვა ეთქვა ცეკას პლენუმზე"**, მას სურდა დაეზუსტებინა ამ **"პირწავარდნილი ინტრიგანის, მზაკვარ და პროვოკატორ"** ბერიას დახასიათება, შემდეგი სიტყვებით:

**"...7. ბერია აგდებულად ეპყრობოდა პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ამ დარგის მუშაკებსა და ღონისძიებებს. იგი ნერგავდა უპატივცემულობას ცეკას აპარატისადმი. საზოგადოებრივ ორგანიზაციებში მონაწილეობას უსაქმურობად თვლიდა. როცა მიმდინარეობდა პარტიის კრება, ან სხდომა და დარეკავდა ბერია, წამსვე სკანდალს მოგვიწყობდა ხოლმე. იგი ხშირად იმეორებდა, რომ ყველა კრება და სხდომა მხოლოდ უსაქმურებისთვისაა".**

უდავოა, რომ ბერიას ამგვარი საქციელი და მისი შეფასებები მხოლოდ აღტაცების გამომწვევია. ომის დროს სოციალიზმის აგიტაცია კი არა, მისი დაცვა იყო საჭირო. ომის შემდეგაც ეს ცარიელი **"აგიტაციური ბრახაბრუხი"**, მით უმეტეს, არავის სჭირდებოდა. სოციალიზმს აგიტაცია კი არა, აღმშენებლობა სჭირდებოდა! და ქვეყანამ 1952 წლისათვის უამრავი რამის გაკეთება შესძლო...

მართლაც, რამდენი რამის გაკეთება შევძელით მაშინ! და რამდენი რამ გაკეთდა ბერიას ორგანიზაციული ნიჭის წყალობით, რომელიც მოხერხებულად იყენებდა **"ადამიანურ ფაქტორს"!** ახლა ხშირად წერენ ბერია-მალენკოვის ტექნოკრატიულ ტანდემზე. მაგრამ არავითარი **"ტანდემი"** არ ყოფილა და თუ აპარატის მუშაკი მალენკოვი და საქმიანი, ჭკვიანი ბერია კიდევაც ისხდნენ ერთ ველოსიპედზე, პედალებს მხოლოდ ბერია ატრიალებდა, მალენკოვი კი, უკეთეს შემთხვევაში, არ ამუხრუჭებდა ველოსიპედს.

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიყვარულის ნოსტალგია

მოხუცმა სიგარეტს დახედა.

– ოო, ეს რანაირია, სადაურია?

– ქართულია.

– ფილტრიანია?

– დიახ.

– არა, გმადლობთ, მე ამას ვერ მოვწევ, თქვენს მეუღლეს შეუნახეთ... მე უბრალო პრიმას ვეწევი, ან ბელამორკას, ან სულაც მახორკას.

– აიღეთ, ძალიან გთხოვთ.

– რადგან ძალიან მთხოვთ, მაშინ მხოლოდ ერთი კოლოფი.

– ივან პეტროვიჩ, თუ შეიძლება მე თქვენ არაყს გიყიდით.

– არაყს?

– კი, არაყს.

– ნამდვილს თუ სამაგონს?

– ნამდვილს.

– რაში დავიმსახურე? – გაუკვირდა.

– თქვენ გეტყობათ, რომ პატიოსანი ადამიანი ბრძანდებით, ვიცი, რომ დამეხმარებით. იქ, საქართველოში ერთი მოხუცი ქალი დამეხმარა... მე აქ არავის არ ვიცნობ.

მოხუცი წამით ჩაფიქრდა.

– ჩემთან ვერ წაგიყვან, რადგან ჩემთვისაც არ არის ადგილი, თან მანდ ათასნაირი ჯურის ადამიანი იკრიბება... შენ კარგი გოგონა ხარ... მაშინ იცი რა ვქნათ? არ გვინდა ბილეშები, მანიასთან მივიდეთ, ცოტა დალევაც უყვარს. მარტოხელა ქალია, ხახვი, ნიორი და კარტოფილი ყოველთვის აქვს, შეიძლება სელიოტკაც ჰქონდეს.

– თუ გინდათ, სელიოტკასაც ვიყიდი.

– არა, ეგ უკვე მეტისმეტი იქნება.

– ძალიან გთხოვთ.

– ეჰ, რას იზამ, თუ ასე გულით გინდათ...

ცოტა ხანში ერთ ბარაკს მიადგნენ. მოხუცმა ტომარა შესასვლელის კუთხეში დაადგო.

– ჯანდაბას ეს ტელეგრეიკები, ლეიბი მე არა მაქვს და საბანი... მანია! მანიუშა! – დაუძახა.

კარები ჭრიალით შეაღო.

– ვინ ხარ? – მოესმათ ქალის ჩახლეჩილი ხმა.

– მე ვარ, მოვედი არყით, სელიოტკით და ლამაზი გოგონათი.

– აი-აი მუჟიჩოკ, რა დროს შენი გოგონაა.

– ვიხუმრე, მანიუშა!

– შემოდი, შეუძლოდ ვარ და ჩავწექი.

ვიწრო და ბნელ მიწურში შევიდნენ.

მიწურს ერთადერთი პატარა სარკმელი ჰქონდა. ხნიერი ქალი ლოგინში იწვა, ცალი თვალი შეხვეული ჰქონდა, სტუმრების დანახვაზე კრუსუნით ძლივს წამოჯდა.

– რა მოგივიდა? – ვანიამ ხორაგი მაგიდაზე დადო.

– ეს რა, არაყია?

– ფშენიჩნი.

– როდის აქეთ სვამდი ფშენიჩნის? – გაიკვირვა ქალმა.

– აგერ, გოგონა გაგვიმასპინძლდა.

მანიამ ტანიას ცნობისმოყვარულად ახედა:

– დიდი მადლობა, დაბრძანდით, ვერა ვარ კარგად მოწყობილი, მაგრამ რა ვქნა, უარესადაც ცხოვრობენ.

ტანია ნახევრადდანგრეულ სკამზე ჩამოჯდა, ვანიაც იქვე ძონძებისგან შეკრულ პატარა დასაჯდომზე დაცუცქდა.

მანია ტანსრული ფართოსახიანი ქალია, ჟარგონებით საუბრობს, ხშირად იგინება, მაგრამ ეტყობა, რომ კეთილია. მისი საუბარი ღიმილს იწვევს.

– ტოლიკ ატკინულსია და ვოტ ი მორდუ ნაბილ! ყველაფერი ვალიას ბრალია, მე რა შუაში ვარ, რაც მე მათთვის სიკეთე მიკეთებია. ამისი ღირსი ვიყავი? უსინდისოები! ეგ არაფერია, მე მათ ვუჩვენებ სეირს, კუვალდის ერთი მოქნევით უზარმაზარ პალოს მიწაში ვარჭობ! ათი წელი ზამზე პუტეიცად მიმუშავია და ამათ ვერ მოვერევი? – ტანიას ბოდიში მოუხადა, – თუ შეიძლება ერთი წუთით გარეთ გადით, ჩავიცვამ, მერე კარტოფილს მოვხარშავ და პერაშკებს გავაკეთებ.

გარეთ გავიდნენ. ცოტა ხანში შემოვიდნენ. მანია უკვე მაგიდას უჯდა, არაყი გაეხსნა.

– ეხ, რა არის ეს ცხოვრება, ტანჯვაა. მე რომ შენი ხნის ვიყავი კულტურის სახლში ცეკვის მასწავლებლად ვმუშაობდი, თან ვმღეროდი, ჩემზე უკეთ ჩასტუშკებს ვინ მღეროდა, მითუმეტეს აკორდეონთან ერთად. – ერთი კუპლეტი ჩესტუჩკა წაიმღერა, – გავთხოვდი, ქმარი დაიჭირეს, მერე მეც დამიჭირეს. ქმარი ციხეში ჭლექით მომიკვდა. აქვე მარხია, ორას მეტრში, – არაყი გადაჰკრა, – თქვენ არ სვამთ? – ჰკითხა ტანიას.

– არა, დეიდა მანია, არ ვსვამ.

– აქ ზეკის სანახავად ჩამოხვიდოდი.

– დიახ.

– შენი რა არის?

– ქმარი.

– რომელ ზონაშია?

საუბარში ვანია ჩაერთო.

– არ იცის და უნდა დაეხმარო, სადღაც აქ არის, ან პირველში იქნება, ან მეორეში, ან მესამეში.

– ახლა მე ზონის უფროსთან ვერ მივალ, მაგრამ ვევეეჩნიკ ჯარისკაცებს დაველაპარაკები, რაც მე მათთვის პერაშკები მიჭმევია... ახლოს არ მიუშვებენ, შეიძლება შორიდან ნახოს.

– ვერ დაელაპარაკება?

– შორიდან კი.

– როდის მიხვალ?

– ან დილით უნდა მივიდეთ, ან საღამოს, როცა ზეკები სამუშაოდ მიჰყავთ და მოჰყავთ... – ტანიას შეხედა, – მომიყევი, როდის ჩასვეს და რატომ.

ტანიამ თხრობა დაასრულა თუ არა, მანიამ არაყი გადაჰკრა და აცრემლებული თვალები პირსახოცით მოიწმინდა.

– ერთი-ორი დღე მაცალე, სინიაკი გამივიდეს. აქ დარჩი ჩემთან, – კუთხეში გაიხედა, – აი იმ პატარა საწოლზე დაწვები. კარგი იქნება თუ პერაშკების გაკეთებაში დამეხმარები.

– დაგეხმარებით, დეიდა მანია, მე ნებისმიერ სამუშაოზე თანახმა ვარ, ოღონდ ჩემს მეუღლეს შემახვედრა... ესე იგი, ახლოს არ მიუშვებენო...

– იგი კალიუჩაია პროვოლკას იქით იქნება, ჩვენ აქეთ, ზეკებს ვევეეჩნიკებთან ერთად ქოფაკი ავჩარკებიც ყარაულობენ.

– წერილი რომ გადავცე?

– მოვახერხებთ, გადაცემით როგორ გადასცემ, უნდა გადაუგდო.

ტანიამ შვებით ამოისუნთქა. ერთი სული ჰქონდა, როდის გადაუვლიდა მანიას თვალზე სილურჯე.

სარეცხს რეცხავდა, მიწურს ალაგებდა, საჭმელს ამზადებდა. მანიას ხელს არაფერზე აკიდინებდა, ოღონდ მალე მორჩენილიყო.

ვანია ყოველდღე აკითხავდა, ანუგეშებდა.

მეოთხე დღეს მანია დილაუთენია ადგა და კარტოფილის ღვეზელები ქვაბში ჩაალაგა.

– ადექი, ტანია, პირველი ბრიგადა ვნახოთ.

რამდენიმე წუთში გზის გასაყართან იდგნენ, სადაც ორი წითელსამხრეებიანი ჯარისკაცი იდგა ავტომატებით და ძაღლებით.

– ბიჭებო, გინდათ პერაშკები? – ჰკითხა მათ ტანიამ.

– ოო, მანია დეიდა, როგორ არ გვინდა, დაგელაპარაკებთ, ოღონდ პერედაჩის გარეშე.

– პერედაჩა არა, მარტო წერილი.

– ვნახოთ.

ჯარისკაცებმა თითო ღვეზელი აიღეს.

– კიდევ, კიდევ მიირთვით.

– უფროსმა რომ დაგვინახოს...

– აიღეთ, ჩქარა, სანამ ცხელია! – რამდენიმე ცალი ძალით ააღებინა და ტანიას თვალით ანიშნა გორაკზე ასულიყო, პატარა გამხმარი ბუჩქის უკან ჩაცუცქულიყო და პატიმრებისთვის იქიდან ეცქირა.

საცაა პატიმრებს გზაზე გამოიყვანდნენ.

მავთულხლართებს შორის ბადრაგები გარბოდნენ და გამორბოდნენ ძაღლებით.

შორს შავი სილუეტი გამოჩნდა... პატიმართა ნაკადი მოდიოდა... შავი ქურთუკებით და შავი ქუდებით.

პატიმრები სევდიან სიმღერას მღეროდნენ:

**«Где же ты моя добрая мама,**
**грустная невеста одинокая,**
**в каждую ночь мне снится колыбельная,**
**мама всегда печальная была»**

ჩაიარეს.

ყველა პატიმარი გორაკისკენ იყურებოდა.

ბადრაგების ყვირილზე სამხედრო მანქანიდან რამდენიმე ავტომატიანი გადმოხტა.

– ამხანაგო სერჟანტო! მეორე ნაკადი მოდის, გზა გაამაგრეთ!

– არის ამხანაგო კაპიტან!

ძაღლების ყეფა.

ბადრაგების ყვირილი და შეძახილები.

მეორე ნაკადმაც ჩაიარა.

ტანიამ ვერც მანდ მოჰკრა თვალი მამუკას.

მესამემაც ჩაიარა. არც იქ იყო.

დაბრუნებისას მანია ამშვიდებდა: ნუ ღელავ, ხვალ მორიგ ნაკადს დავხვდებით, ზეგ კიდევ სხვას, ნუ გეშინია, აუცილებლად ვიპოვითო.

კარტოფილი მოხარშეს, ის-ისაა სუფრას უნდა მისხდომოდნენ, რომ კარები გაიღო და მიწურში უხეში გარეგნობის შავკურტაკიანი მამაკაცი შემოვიდა.

მანია ადგა.

– რა გინდა? რატომ მოხვედი?

– ტოლიკმა გამომგზავნა.

– შერიგება უნდა? არავითარ შემთხვევაში!

– ვალიას მისამართი გამოართვიო.

– მე იმ კახპასთან რა საქმე მაქვს? ბოლოს არც მახსოვს სად ვნახე, რა ვიცი სად არის, ვისთან წაეთრა.

მამაკაცმა ტანიას შეხედა.

– ეს ვინ არის?

– ჩემი დისშვილია.

– კარგი დისშვილი გყოლია, სამაგონი მოვიტანო?

– არა.

– რატომ?

– ხომ გითხარი, დისშვილია-მეთქი!

– მერე რაა, რომ დისშვილია, არ შეიძლება?

– გაეთრიე აქედან!

– რაა, ცელაჩკაა?

– ახლა მოვა მისი ქმარი და გაჩვენებს ცელაჩკას! – კუთხეში მიყუდებულ უროს ხელი დაავლო, – ხედავ ამას, თავს გაგიხეთქავ! ვონ ატ სიუდა! იობ ტვოიუ მატ! – ჯიკავით გააგდო.

ტანია შეშინებული იყურებოდა.

– ვინ იყო? რა უნდოდა? როგორ ელაპარაკებოდი, არ გეშინოდა?

– ამისი, ამ ფრაერის? ასეთები ბევრი დამიფრენია, არ არიან მუჟიკები და იმიტომ, აი მაგალითად ჩვენი ვანია ავიღოთ, ყველა პატივს სცემს და უყვარს, ნაღდი კაცია და იმიტომ. ეგ მაკლია ეს ფრაირი თავზე დავისვა, მასეთებს ციხეში უნიტაზს კბილის ჯაგრისით ახეხინებენ. ვოტ სუკა ბლიად! ხედავ რა გამიბედა?.. მიმაგრებაშია ეს სულელი. ის ტოლიკი კი, რომელმაც თვალზე სინიაკი დამადო, ჩვენს მეზობლად ცხოვრობდა, ჩემს ქმართან ერთად ჩავარდა. ზონაში ჩხუბი მოსვლიათ, ჩემს მეუღლეს შვიდი წელი დაუმატეს, იმას კი სამი. არადა ამ კაზიოლის ბრალი იყო. კიდევ აქეთ არიან შარზე, პაშლი ანი ნა ტრი ბუკვი!

ტანიამ გაიცინა.

– ვალია ვინაა?

– ვინ არის და ბლიადი და სუკა, სხვა ვინ იქნება? ერთ დროს ტოლიკთან დადიოდა.

ამ დროს მიწურში ვანია შემოვიდა.

– რა კარგია, რომ მობრძანდით, – გაუხარდა ტანიას. სკამი დაუდგა და თვითონ ლოგინზე ჩამოჯდა, – ერთად ვივახშმოთ.

მოხუცი ჩამოჯდა თუ არა, იკითხა:

– რა ჰქენით?

– ვერ ვნახეთ, ხვალაც გავალთ, ზეგაც, სამი კოლონიიდან ერთში უეჭველად იქნება, – უთხრა მანიამ.

მეორე დღესაც ვერ ნახეს.

ვერც მესამე დღეს.

ვანიამ ურჩია ისევ პირველში წასულიყვნენ, რადგან ეტაპით ჩამოყვანილები მხოლოდ იქ მიჰყავთ, შეიძლება იმ დღეს სამუშაოდ არ გაიყვანეს და ლაგერში დატოვეს, სხვა ბუროვკა მე არ ვიციო.

დაეთანხმნენ.

ისევ პატიმართა სევდიანი სიმღერა დედაზე და საცოლეზე.

რამდენიმე ნაკადმა რომ გაიარა, პატიმართა ერთი ჯგუფიდან ხმა გაისმა:

– ტანია! ტანია!

პატიმრის დაძახებაზე ბადრაგები ალრიალდნენ, ძაღლები აყეფდნენ.

– მამუკა! – ტანიამ გორაკიდან ხელი დაუქნია, – აქ ვარ, მამუკა!

ერთ-ერთი ბადრაგი მანიას მივარდა:

– თუ გინდა, რომ ამ ძაღლს შენი თავი არ დავაგლეჯინო, გაიყვანე ეს სუკა და მოშორდით აქედან! – ქეჩოში ხელი სწვდა და წაათრია.

– ხელი გამიშვი, მივდივარ... მე ხომ მიცნობთ, თქვენი უფროსიც მიცნობს...

– ჩქარა გაეთრიეთ აქედან! – დაუღრიალა, – თქვენს გამო მე რატომ უნდა მომხვდეს?

ტანიამ პატარა გორაკი ჩამოირბინა და მანიას მოეხვია.

ორივე გზიდან გადაიყვანეს.

მამუკა და ტანია შორიდან კარგა ხანს უყურებდნენ ერთმანეთს.

ანაზდად გაისმა სირენა.

ისევ მოცვივდნენ ბადრაგები ავტომატებით და ძაღლებით. პატიმრები ერთ ადგილას შეკრიბეს.

– ვინ დაუძახა იმ სუკას? – იკითხა ჩინოსანმა ბადრაგმა.

ხმა არავინ ამოიღო.

პატიმართა სევდიანი სახეები.

ჩინოსანმა ბრძანა პატიმრები უკან გაებრუნებინათ.

– ასე მოგიხდებათ! ერთი დაძახებისთვის ყველას ბურში ხომ არ ჩაგყრით! ორი კილომეტრი იქით! ორი კილომეტრიც აქეთ! ჭკუა რომ ისწავლოთ! ნა რუბონ გვიან მოგიწევთ!

ერთმა პატიმარმა სიმღერა წამოიწყო, ისევ ის სევდიანი სიმღერა, სხვებიც აყვნენ:

– Где же ты моя добрая мама...

პატიმრები გააბრუნეს.

– მადლობა ღმერთს, არ დაგვიჭირეს, დღეს ძალიან ცუდი დაცვა იყო, – უთხრა დაბრუნებისას ტანიას მანიამ, – ხვალ სხვები იქნებიან, ისინიც კარგი ძაღლები არიან, მაგრამ ამათ მაინც სჯობიან.

– რატომ გააბრუნეს უკან?

– ეჰ, შენ არ იცი ამათი სადისტური წესი, მამუკას გამო, შენ რომ დაგიძახა იმიტომ... მთელი დღე მუშაობით დაღლილებს ორი-სამი საათი წინ და უკან ატარებენ, მერე ზონაში მიიყვანენ, ლაგერში.

– რანაირი სისასტიკეა.

– ნამდვილი ჯოჯოხეთია.

ტანიას თვალები ცრემლებით აევსო.

– ეგ არაფერი, მთავარია რომ ვიპოვეთ, ახლა კარგად მოვიფიქროთ, შეხვედრით მასთან ვერავინ შეგახვედრებს. ერთი სამაგონი მინდა ჯარისკაცებისთვის, პავიდლოიან პერაშკებსაც გავაკეთებ, ძალიან უყვართ. ყველას დავურიგებ და ვთხოვ... ადრე უკეთესი ხალხი იყო, პატიმრებისთვის პერედაჩებიც კი გამიგზავნია.

– მეშინია, მანია დეიდა, იქნებ ივან პეტროვიჩს დავეკითხოთ, როგორ მოვიქცეთ?

– დაველოდოთ.

ვანია მალე მოვიდა.

– ძალიან ცუდია, რომ ასე მოხდა. კარგია, რომ არაფერი გკითხეს. რომ გკითხონ, აქ ვინ გყავთო, არავინ-თქო. ასეა საჭირო. – უთხრა ტანიას.

– ივან პეტროვიჩ, როგორ მოვიქცეთ?

– სიმართლე რომ გაიგონ, შეიძლება შენს მამუკას პრობლემები შეექმნას.

– მართალს გეუბნება, მოუსმინე, – უთხრა მანიამ, – ამ კაცს დიდი გამოცდილება აქვს. ზეკებში ბევრი სტუკაჩია, შეიძლება ხვალ მამუკა არც გაიყვანონ სამუშაოდ და ლაგერში დატოვონ.

ტანიას სახეზე ფერი ეცვალა.

– გამოდის რომ ხვალ ვერ ვნახავ.

– რამდენიმე დღე დავიცადოთ, – უთხრა ვანიამ.

ტანიამ თავი ჩაკიდა, თითქოს გაიბუტა.

– დამიჯერე, ასეა საჭირო, უნდა მოითმინო, ორი და სამი დღე არაფერს წყვეტს. მანამდე მოვიფიქრებ, გავიგებ, ვინ არის მანდ.

– სად?

– იმ ზონაში... თუმცა რა აზრი აქვს...

ერთხანს სიჩუმე. ბოლოს მანიამ ქვეშაგიდან ნახევარი ბოთლი თვითნახადი არაყი გამოიღო.

– ეს რაა, მანიუშა?

– მაინც ავღნიშნოთ.

– თუ აღნიშვნაა, აღნიშვნა იყოს.

სუფრის გაშლას შეუდგნენ თუ არა, კარები შუახნის ტანსრულმა ქალმა შემოაღო.

– ახ ტი სუკა! აქ რა გინდა? – შემოსვლისთანავე მიახალა მანიამ.

– ის აქ იყო?

– იყო.

**ნარო კოლხელი**
**(ნარიმან იაშაღაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ორი შეკითხვა ბატონ თენგიზ სიგუას!

გაგრძელება მე-2 გვ-დან.

ბ-ნო თენგიზ! 1999 წლის ივლისში გაზეთ **„ასავალ-დასავალი“ №** 28-ში დაიბეჭდა თქვენთან ინტერვიუ სათაურით: თენგიზ სიგუა საქართველოში **„ნიუნბერგის პროცესის“** მოწყობას აპირებს.

თქვენ ამბობთ: – რატომ წავაგეთ აფხაზეთის ომი? ბურუსით მოცული ომი, რომელიც არცთუ ისე შორეული წარსულია? – წაგების მიზეზებს გულმოდგინედ მალავენ, მაგრამ დრო თავისას იზამს და როცა ჩვენთანაც გამართება **„ნიუნბერგის პროცესი“**, ყველაფერი გაირკვევა.

ბ-ნო თენგიზ! აფხაზეთში ომის წაგებიდან 27 სექტემბერს სრულდება 19 წელი. დრომ ვერაფერი იმოქმედა?... ვინ არიან ისინი, წაგების მიზეზებს, რომ მალავენ? რატომ იყო ბურუსით მოცული ომი?... თქვენ ბრძანებთ, ჯერ მასალებს ვამზადებო. 1999 წლიდან გავიდა 12 წელი, და თქვენ ვერ შეაგროვეთ მასალები? ხომ არ გადაიფიქრეთ ან, ხომ არ შეუერთდით იმ ადმიანების რიცხვს, რომლებიც მალავენ ომის წაგების მიზეზებს?...

ბ-ნო თენგიზ! ინტერვიუში ბევრი საინტერესო კითხვებია დასმული და პასუხებიც კარგადაა გაცემული, მაგრამ, მინდა ერთ კითხვაზე გავამახვილო თქვენი ყურადღება.

– როგორ აგებინებთ პასუხს დამნაშავეთ?

– სამართლებრივი გზით, არსებული კანონების საფუძველზე?

ე. შევარდნაძის გარდა ყველას აქვს პროკურატურისათვის ჩვენება მიცემული. პროკურატურამ კი 6 თვის განმავლობაში, უბრალოდ, **„შეურაცხყოფა“** არ მიაყენა შევარდნაძეს, ვერ ნახეთ ქლინტონს რა უქნეს? ჩვენთან კი გამოდის, რომ პრეზიდენტი კანონგარეშეა, კანონზე მაღლა დგას.

პირადად ე. შევარდნაძის, ასევე მის მიერ შექმნილი ანტიხალხური, ანტისახელმწიფოებრივი რეჟიმის გასამართლება დიდად შეუწყობს ხელს ქვეყნის სულიერ და ფიზიკურ გამთლიანებას, იმ უმძიმეს დანაშაულობათა დამღუპველი შედეგების აღმოფხვრას და ა.შ. ბრალდებები ბევრია და მძიმე.

**(ამონარიდი გამოხმაურებიდან).**

რატომ ეპატია ე. შევარდნაძეს ხალხის დახოცვა, ტერიტორიების გაყიდვა, ეკონომიკის განადგურება, თავისი ხალხის გაძარცვა, ერის მორალურად და ზნეობრივად მოსპობა. ეს ხომ აშკარა სამშობლოს ღალატია? ისმება კითხვა – რამ შეუშალა ხელი მის გასამართლებას? სად იყავით თქვენ, როგორც მთავრობის თავმჯდომარე? დუმდით? ერის მოძღვარიც დუმდა? 19 წლის შემდეგაც დუმილს ამჯობინებთ?! მოაწყვეთ **„ნიუნბერგის პროცესი“**, მთელი საქართველო მხარს დაგიჭერთ! შეასრულეთ დანაპირები!

ბ-ნო თენგიზ! 1999 წლია მაისში, გაზეთი **„იბერია სპექტრი“** მიმართავს ერს და საქართველოს პარლამენტს, სახელდობრ – პარლამენტის საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტს. ამ მიმართვამ ჩვენი ქვეყნის საზოგადოებაში, შეიძლება ითქვას, უზარმაზარი ინტერესი გამოიწვია. მას მოჰყვა დიდი გამოხმაურებები. მთელი საქართველო მოითხოვდა ე. შევარდნაძის გასამართლებას. ფაქტობრივად ეს იყო საყოველთაო რეფერენდუმი. მიმართვის სათაური ასეთია;

**„პრეზიდენტ ე. შევარდნაძის მიმართ აუცილებელია აღიძრას სისხლის სამართლის საქმე“.** ამ მიმართვაში მთელი ნუსხაა ბრალდებების, ერი ამ მიმართვას გამოეხმაურა, საჭიროდ თვლიდა და მოითხოვდა მის გასამართლებას. საინტერესოა, ვინ ან რამ შეუშალა ხელი შევარდნაძის გასამართლებას? რატომ და ვის მიერ იქნა უგულვებელყოფილი ხალხის მოთხოვნა? ვის, საქართველოს თუ გარე სახელმწიფოებს არ აწყობდათ მისი გასამართლება? ქვეყნის და ხალხის მოღალატე, უამრავი ბრალდებების მქონე შევარდნაძე, იმ რეზიდენციაში უნდა იჯდეს თუ... **„კურორტზე“**?

სათქმელი ბევრია, თქვენ ყველაფერი იცით! მოაწყვეთ აღნიშნული პროცესი!

თავისთავად ამოტივტივდება მის **„ბრწყინვალე“** ბიოგრაფია! მოახდინეთ სენსაცია და შედით ისტორიაში როგორც კაცური კაცი!

**პატივისცემით,**
**ამირან ნორაკიძე.**
**აფხაზეთის ომში შვილდაღუპული, 80 წლის მარტოხელა კაცი!**

## დამატებითი განმარტება

ე.შევარდნაძემ ჯერ შვილები დაგვიხოცა {აფხაზეთის ომში), მერე გაგვძარცვა (მეანაბრეებთან ერთად). სააკაშვილმა საარსებო წაგვართვა. თუ გვაძლევენ მიზერულ კომპენსაციას, რომელიც ჩაგვითვალეს მეორე სახელმწიფო პენსიად, სამაგიეროდ ჩვენი შრომის პენსია და სტაჟზე დანამატი წაგვართვეს. სად ხდება მსგავსი რამ, რომელ სახელმწიფოში?

ე.შევარდნაძე მაშინ რომ გასამართლებულიყო, თქვენის აზრით სააკაშვილი გახდებოდა პრეზიდენტი? ან გვეყოლებოდა პარლამენტის ის შემადგენლობა, რომელიც დღესაა? რიგითი პარლამენტარის ხელფასი იყო 750 ლარი. დღეს 2500 ლარია დანამატებისა და პრემიების გარეშე. ანალიზი თქვენ გააკეთეთ. ხალხზე ზრუნავენ თუ თავიანთ თავზე?

შვილდაღუპულები და პენსიონერები 1999 წლიდან ვიბრძვით. ვერც წინა და ვერც ეხლანდელ ხელისუფლებასთან სამართალი ვერ ვპოვეთ! ბრძოლა გრძელდება! არსებობს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში უგზო-უკვლოდ დაკარგულ მებრძოლთა მოძიებისა და მათი ოჯახების წევრთა უფლებების დაცვის სახელმწიფო კომისია. ასევე არსებობს ამ კომისიისათვის დებულება, სადაც მითითებულია რა უნდა გააკეთოს კომისიამ. ასევე არსებობს ევროსაბჭოდან მოთხოვნები, სადაც ნათქვამია დაღუპულ და დაკარგულ პირთა ოჯახების პრობლემების მოგვარებაზე. ვინმე ზრუნავს ჩვენზე? სახელმწიფო კომისია რამდენი წელია უმოქმედოა, 19 წელი სრულდება და ბაბუშერას მიწას მიბარებულები ჯერაც არ გადმოუსვენებიათ.

სხვა მოკვლევა მოძიებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. კომისია ფინანსდება ბიუჯეტიდან ყოველწლიურად, სად და ვის ჯიბეებში მიდის 100 ათასები, არავინ იძიებს. ჩვენ არ ვიცით, თორემ მათ იციან! წინააღმდეგ შემთხვევაში კონტროლის პალატა არ შეწყვეტდა საქმის შესწავლას!

ჩვენთვის, უმრავლესობა შვილდაღუპულებისათვის გაუგებარია, რისთვის ან ვისთვის არსებობს სახელმწიფო კომისია? რაც შეეხება კომისიის წევრ თანამდებობების პირებს, ჩემის გაგებით, ვერ გაამართლეს ვერც მორალურად და ვერც ზნეობრივად, თავიანთი უმოქმედობებიდან გამომდინარე. რაც შეეხება ადამიანის უფლებების დაცვას, საქართველოში არ არსებობენ ადამიანის უფლებების დამცველები, თვით სახალხო დამცველის ჩათვლით.

**“აფხაზეთში დაღუპულები შევარდნაძის მიერ მიზანმიმართული ქმედების, ხოლო სამაჩაბლოში დაღუპულები სააკაშვილის მიზანმიმართული ქმედების შედეგი!“** – ეს გია ყარყარაშვილის სიტყვებია.

**ამირან ნორაკიძე**

## ჭაბუკები დარჩნენ მარად

ამა წლის 11ივლისს, №162 გაზეთ **„ახალი თაობა“**-ში (გვ.11) გამოქვეყნდა **„ინტერ პრესნიუსი“**-ის ინტერვიუ ზურაბ აჩბას სახელობის ორგანიზაციის **„მსოფლიო ძალადობის გარეშე“** თავმჯდომარესთან, სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორ, ქალბატონ **დალილა ფილიასთან.**

ჩემი წერილი მინდა დავიწყო ინტერვიუს სათაურით – **„ჩვენ ერთი პატარა მდინარე გვყოფს“.** ღრმად პატივცემულო ქალბატონო დალილა, ჩვენ პატარა მდინარე კი არ გვყოფს, არამედ ჩვენს შორის აღმართულია ის უდიდესი წინაღობა, რასაც დიდი ბინძური პოლიტიკა ჰქვია, რომელსაც საფუძველი ცარისტული რეჟიმის მიერ ჩაეყარა და დღესაც გრძელდება! ერთ ადგილზე თქვენ შესანიშნავად პასუხობთ: **„აფხაზები და ქართველები თანამეზობლობისთვის და თანაცხოვრებისათვის ვართ შექმნილები. სულ, რომ არაფერი არ გავაკეთოთ, ეს ჩაკეტილი კარები ოდესმე თავისით, ბუნებრივად გაიღება, რადგანაც ჩვენ მეზობლები (მარტო ?) ვართ. რაც უფრო ადრე ვიპოვით ურთიერთ მისაღებ, ადამიანურ და კე თილგანწყობილ ტონს ურთიერთობებში, მით მალე დაიწყება ეს პროცესი“.** მაგრამ თქვენ არაფერს ამბობთ, რომ ჩვენს შორის დღესაც არსებობს ნათესაური კავშირები, შერეული ოჯახები, ნათელ-მირონი, ძუძუმტეობა. ეს ყოველივე ხომ ათადან-ბაბადან მოდის. იმ დრომდე, ვიდრე ჩვენს შორის არ ჩადგებოდა ის ძალა, რომელმაც ოდესღაც, ერთმანეთის სიყვარულში მცხოვრები ადამიანები დღეს ამ მდგომარეობამდე მიგვიყვანა. ეს ის ძალებია, რომელთაც დიდი სურვილი ჰკლავთ იმისა, რომ რაც შეიძლება მეტი აფხაზი და ქართველი აღგავონ პირისაგან მიწისა, რათა უპრობლემოდ იგდონ ხელთ წალკოტად ქცეული საქართველო, აფხაზეთითურთ! ამ ძალებში ვინც შედის, თქვენ კარგად მოგეხსენებათ. ისინი დღესაც მრავლად ცხოვრობენ თქვენსა და ჩვენს გვერდით! ხომ არ დადგა დრო, რათა ხალხმა იცოდეს ის ჭეშმარიტი ისტორია, რომელსაც წლების მანძილზე საგულდაგულოდ უმალავდნენ საზოგადოებას? თქვენ ბრძანებთ, რომ აფხაზი და ქართველი ახალგაზრდები ერთმანეთს არ იცნობენ.

რატომ? თუ გვინდა ჭეშმარიტებას თვალებში ჩავხედოთ, ამისათვის საჭიროა, მხოლოდ ჩვენი, ქართველებისა და აფხაზების ხშირი შეხვედრები, ყოველივე მესამე სუბიექტის გარეშე!

სადაც იქნება ერთმანეთისადმი მხოლოდ, რამდენადაც მწარე არ უნდა იყოს, დაუნდობელი, შეულამაზებელი სიმართლის თქმა! თუნდაც ის, რომ მუდამ იყო აფხაზებისათვის ქართველების მტრის ხატად წარმოჩენა! პირიქით კი არასოდეს! იქნება კამათი. ჭეშმატიტება ხომ კამათში იბადება! ყოველივე ეს უნდა მოხდეს ხალხის, სახალხო დიპლომატიის, უხუცესთა მეშვეობით. აქ არ უნდა ჩაერიოს არავითარი პოლიტიკა! ამ საქმეში ლომის წილი უნდა ჩავდოთ ჩვენ, ჭეშმარიტმა (და არა სულგაყიდულმა!) ქართველებმა და აფხაზებმა!

თქვენ შეშფოთებას გამოთქვამთ იმის გამო, რომ პატარა ერისთვის ასიმილაცია ძალიან საშიშია. და მართალიც ბრძანდებით. მე, პირადად, როდესაც მიწევდა აფხაზეთში ყოფნა, ეს იქნებოდა მივლინება, თუ დასვენება, ადგილობრივ მოსახლეობასთან (გარდა ქართული წარმომავლობისა. თუმცა მათშიც ერიენ ისეთებიც) ურთიერთობა მიწევდა რუსულ ენაზე! ეს ხდებოდა ჩემს ახალგაზრდობაში. ახლა უკვე 76 წლის გახლავართ! ის რისიც ძალიან გეშინიათ, უკვე დიდი ხანია დაწყებულია და ღრმადაც აქვს ფესვები გადგმული! ქართველებთან ასიმილირების საფრთხე აფხაზებს არასოდეს არ ემუქრებოდა!

ეხლა რაც შეეხება იმ ძალზედ მტკივნეულ თემას, რასაც ომი ჰქვია! ეს არის ტრაგედია მემილიონედ ხარისხში! როგორც არ უნდა დაძაბულიყო ურთიერთობა აფხაზებსა და ქართველებს შორის, არავითარ შემთხვევაში არ უნდა მომხდარიყო ის, რაც მოხდა. 1992 წლის 14 აგვისტოს აფხაზეთში არ შემოჭრილა არც შაჰ-აბასი, არც მურვან ყრუ, არც თემურ ლენგი, არც აღა მაჰმად ხანი. აფხაზეთში, თავისივე ქვეყანაში (მაშინ ასე იყო!) შემოიჭრა ჩემი სისხლი და ხორცი. რამაც გამოიწვია ენით აუწერელი უბედურება. დაინგრა ქალაქები და სოფლები. და რაც ყველაზე მთავარია, იქითაც და აქეთაც დაიღუპა უამრავი ადამიანი. მათ შორის საჯიშე ახალგაზრდები. აქ ხაზგასმით მინდა ავღნიშნო, კიდევ ერთხელ იმ პათოლოგიური ზიზღის გამოვლენა, რომელსაც ჩადიოდა ეგრეთ წოდებული **„ბაგრამიანის“** ბატალიონი!!! მართალია იყო ომი, მაგრამ ომსაც გააჩნია თავის დაწერილი და დაუწერელი კანონები, რომელთა დაცვა ყოველთვის ხდებოდა! უფალი ყველას მიუზღავს თავისი წილი ცოდვებისათვის! ამ ეგრეთ-წოდებულ ომს ხომ სარჩულად დაედო, ვითომდა სასომხეთისაკენ მიმავალი ეშელონების ძარცვა(?) და ამ ეშელონების დამცავი ღონისძიება(?). ისმის კითხვა-რად უნდა ეშელონების დაცვას ტანკები? **„ბეტერეები“? „ჰაუბიცები“?** რა ეშელონებს ეს ტექნიკა ესკორტირებას გაუწევდა? და ყოველივე ამის შემოქმედი, ე.შევარდნაძე, ქ. თბილისში, კრწანისში, მშვიდად განცხრომით ატარებს თავის წუთისოფელს!

1999 წლის 5-10 მაისის №270, ხოლო განმეორებით 19-25 მაისის **„იბერია-სპექტრში“** დაიბეჭდა მიმართვა ერისა და პარლამენტისადმი, შევარდნაძის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ. ეს საკითხი დღესაც აქტუალურია, ვინაიდან მას და მის ამფსონებს აქაც და საზღვარგარეთაც, ჩადენილი აქვთ საუკუნის დანაშაული! ამიტომ ისინი უნდა გასამართლდნენ! სამართლიანობამ უნდა იზეიმოს ბოროტებაზე!

ეხლა მინდა გავაკეთო პატარა მიმოხილვის მაგვარი ამ ენით აუწერელი ბოროტებების შემოქმედებზე! 2001 წლის 4-10 ივნისის გაზეთ **„კვირის პალიტრა“**-ში, პროფესორი დოდონა კიზირია ინტერვიუში ამბობს: **„შევარდნაძე-ბეიკერი შეთანხმებულები იყვნენ. ყველა მოგებიდან(!) შევარდნაძე დაზარალებული არ დარჩენილა. ამ ჯგუფის წევრები არიან ე.შევარდნაძე, ჯეიმს ბეიკერი, ჯორჯ ბუში (უფროსი) და სხვა. ეს ის ბუშია, რომელმაც ზვიად გამსახურდიას დინების წინააღმდეგ ცურვა დაუწუნა! ასე, რომ ყველამ საქართველოს განადგურებისათვის თავისი წილი მიიღო! აშშ-ის პოლიტიკური ისტებლიშმენტის ნაწილი, რომელიც კავკასიაზე მუშაობდა, გადატრიალებას (1991-1992 წწ) შეხვდა უაღრესად დადებითად და ტრაბახობდა, ახლა საქართველოს სათავეში ჩვენი კაცი ზისო. ეს მითხრა, თეთრ სახლთან დაახლოებულმა, ცნობილმა პიროვნებამ და დასძინა, ახლა იქ პროცესები ჩვენი სურვილისამებრ წარიმართებაო“.** თავიანთი ბინძური ზრახვების განსახორციელებლად და საზარბაზნე ხორცად გამოიყენეს ჩვენი შვილები, დედები, მამები, დები და ახლობლები! აქედან გამომდინარე, საქართველოს ყველა ჭეშმარიტ მოქალაქეს მიაჩნია, რომ საქართველოს გაუბედურებისათვის, ე.შევარდნაძე, მიუხედავად თავისი 86 წლის ასაკისა უნდა გასამართლდეს (არ არის აუცილებელი მისი გისოსებს მიღმა მოთავსება) და ქვეყანას უნდა ეუწყოს მისი და მისი დამქაშების მიერ ქვეყნის წინაშე ჩადენილი უდიდესი დანაშაულის შესახებ!

ქალბატონო დალილა, თქვენ თურმე ხშირად გიწევთ **„დედათა მოძრაობასთან“** შეხვედრა, რასაც მივესალმები! ერთ-ერთი შეხვედრის დროს თქვენთან ყოფილა შაოსანი, ქალბატონი ესმა ჯიკირბა, რომელსაც სოფელ აძიუბჟაში მთლიანად გაუნადგურეს ოჯახი. მოუკლეს დედა, მამა, და, ბებია, ბაბუა, გადაუწვეს სახლი, და რაც ყველაზე საშინელია (!) მოუკლეს ორი (!) შვილი! მე ჩემი თავი მეგონა ყველაზე უბედური კაცი ამ ქვეყანაზე. მეც ხომ ორი (!) შვილი დავკარგე! ეს ადამიანი ჩემზე ბევრად უბედური ყოფილა! ქედს ვიხრი მისი და ყველა დაღუპულის ჭირისუფლის წინაშე, პატიების თხოვნით! გასული წლის 29 სექტემბრის №35 **„საერთო გაზეთში“** გამოვაქვეყნე მიმართვა, წერილი – **„სამძიმარი აფხაზეთის ბრძოლებში და ღუპულთა აფხაზ და ქართველ მშობლებს“.** აღნიშნულ წერილში ვამბობდი, რომ მომავალი თაობა უნდა აღიზარდოს ისე, ვითარცა იზრდებოდნენ საუკნეების მანძილზე, ერთმანეთის სიყვარულით და პატივისცემით, ჩვენი დიდი წინაპრები!

ქალბატონო დალილა! მოგმართავთ თხოვნით, დაიწყოთ მოძრაობა, აფხაზებსა და ქართველებს შორის ჩატეხილი ხიდის აღსადგენად. თქვენი ხმალი და ჩემი კისერი! ყველა ღონე ვიხმაროთ ერთობლივად ამ მოძრაობის დასაწყებად! გვფარავდეს მამაზეციერი ამ საშვილიშვილო, კეთილ საქმეში!

უფლის იმედით და დიდი პატივისცემით, მალე შეხვედრამდე

**ანზორი დანელია**

## ეს ლოცვა ეძღვნება დაღუპულთა სულების მოხსენებას !

„ღმერთო მაღალო და ღმერთო ძლიერო, შეისმინე ლოცვა ესე მონისა შენისა აღვლენილი ომში დაღუპულთა სულის საოხად.

აცხონე სული სამშობლოსათვის გარდაცვლილ მეომართა და მშვიდობიან მოქალაქეთა, რომლებმაც დასდეს თავი თვისი ტარიგად სამშობლო ქვეყნისა, დასთხიეს სისხლი თვისი მშობლიური მიწისათვის, მშვიდობისათვის, იომეს და მოკვდნენ სიცოცხლისათვის.

მსხვერპლი ესე იყოს ზვარაკი უკეთესი მერმისისა. დაუმკვიდრე ნათელი მათ სულებს.

შემწედ ეყავ და აკურთხე დანატოვარი მათი. დიდება სახელსა მათსა „წმიდასა“ და ცხოველისმყოფელიყოს სამართალი უფლისა მათსა ზედა.

ლოცვა, სიტყვა და საქმე ომში აღვლენილი ომში დაღუპულთა სახელზე აღვლენილი მიეგებოს და შეეწიოს მათ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ“ !

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერთმანეთისაკენ სწრაფვა სეპარატიზმი არაა...

**ინტერვიუ გაზეთ "ილორის" მთავარ რედაქტორთან როლანდ ჯალაღანიასთან, რომელიც დაიბეჭდა გაზეთში "საქართველო და მსოფლიო".**

ჩვენ უკვე ვწერდით იმის თაობაზე, რომ 2011 წლის 28 სექტემბერს ენგურის ხიდზე შედგა ქართველი და აფხაზი ენათმეცნიერების, საზოგადო მოღვაწეებისა და ჟურნალისტების შეხვედრა, რომელიც მიეძღვნა საქართველოსა და აფხაზეთის მეგრულენოვანი მოსახლეობის კულტურისა და მეგრული ენის განვითარებაზე მომუშავე კულტურული თანასაზოგადოების შექმნის საკითხებს.

აღნიშნული თანასაზოგადოება იმუშავებს შემდეგი მიმართულებებით:

**ფოლკლორისტიკა** – ხალხური შემოქმედების ნიმუშების მოძიება და პოპულარიზაცია (ანდაზები, გამოცანები, სიმღერები, ზღაპრები, თქმულებები და სხვა, სამეგრელოში ახალი მასალების მოსაძიებლად ფოლკლორისტული ექსპედიციის ჩამოყალიბება).

**ლიტერატურული ენა** – იმ პოეტებისა და მწერლების გაერთიანება, რომლებიც მეგრულ ენაზე ქმნიან ნაწარმოებებს.

**ლინგვისტიკა** – მეგრული ენის ფუნდამენტური კვლევა მეცნიერულ ჭრილში.

**განათლება** – საქართველოსა და აფხაზეთის სკოლების დაწყებით კლასებში მეგრული ენის მოკლე კურსის სწავლება.

**მასობრივი ინფორმაციის საშუალებები** – ინტერნეტ-რესურსების შექმნა, მეგრულენოვანი გაზეთის გამოცემა და სატელევიზიო გადაცემების ორგანიზება მეგრულ ენაზე.

**უფლებრივი მხარე** –საქართველოს და აფხაზეთის მეგრულენოვანი მოსახლეობის უფლებების დაცვა.

აღნიშნულ შეხვედრაზე გადაწყდა ქართულ-აფხაზური ერთობლივი საორგანიზაციო კომიტეტის შექმნის საკითხი, რომელიც იმუშავებს კოლხურ კულტურასა და მეგრულ ენასთან დაკავშირებული საერთაშორისო კონფერენციის მოწყობის საკითხებზე.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ გაზეთ **"ილორის"** მთავარი რედაქტორი **როლანდ ჯალაღანია,** სახალხო მოძრაობა **"სამეგრელოს"** ზუგდიდის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარე **ზურაბ კვარაცხელია,** საქინფორმის სპეციალური კორესპონდენტი სამეგრელოში **ლადო ქირია,** ცნობილი ქართველი ენათმეცნიერი **კუკური ფიფია.**

მათ აფხაზეთში მასპინძლობდნენ გაზეთ **"ГАЛ"**-ის მთავარი რედაქტორი **ნუგზარ სალაყაია,** გაზეთის თანამშრომლები **მაყვალა ჩხოლარია, ნარგიზა ბასარია, სლავიკ ცაავა,** პოეტი **თენგიზ ფეტელავა,** პოეტი **ნუგზარ შამუგია** და სხვები.

ამასთან დაკავშირებით რამდენიმე შეკითხვა დავუსვით გაზეთ **"ილორის"** მთავარ რედაქტორს ბატონ **როლანდ ჯალაღანიას.**

**– ბატონო როლანდ, რა იყო აფხაზ კოლეგებთან თქვენი შეხვედრის მთავარი მიზანი და რა კონკრეტულ შედეგებს ელოდებით მათგან ინტენსიური კონტაქტების გაღრმავებისგან?**

– ამ შეხვედრის მთავარი მიზანი ჩვენ უკვე გავაჟღერეთ. გარდა იმისა, რომ არ უნდა დაიკარგოს თუნდაც პირადი კონტაქტები იმ აფხაზებთან, რომლებიც ჯერ შევარდნაძის ძალისხმევით ჩამოგვაშორეს, ახლა კი, სააკაშვილის ძალისხმევით ცდილობენ, რომ საერთოდ დაგვავიწყონ. ამას რომ თავი გავანებოთ, მე უამრავი მეგობარი მყავს აფხაზეთში, რომლებიც შეძლებისდაგვარად მეხმაურებიან. ნუთუ ეს არ იყო საკმარისი, რომ სიამოვნებით წავსულიყავი აფხაზების ინიციატივით გამართულ ღონისძიებაზე? არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ორ ათეულზე მეტი აფხაზური ოჯახი ჯალაღონიების გვარს ატარებს, რომელთაც დიდად ეამაყებათ, რომ მე, მათი მოგვარე, ვარ გაზეთ **"ილორის"** მთავარი რედაქტორი, რომელიც ქართული მედიასივრცის ერთადერთი წარმომადგენელია თავად აფხაზებს რომ გადააქვთ აფხაზეთში. **"ილორი"** კი მხოლოდ საქართველოს ურლვევობაზე აკეთებს აქცენტს. სწორედ ეს გახლდათ იმის მიზეზი, რომ მოწვევის მიღებისთანავე დაუფიქრებლად გავქანდი აფხაზეთში და დიდი ხნის მონატრებულ ხალხს შევხვდი. რაც შეეხება მოსალოდნელ შედეგებს, ის, რომ შეიქმნება საქართველოსა და აფხაზეთის მეგრულენოვანი მოსახლეობის კულტურისა და მეგრული ენის განვითარებაზე მომუშავე კულტურული თანასაზოგადოება, უკვე თავისთავად გახლავთ იმის იმედისმომცემი შედეგი, რომ აფხაზეთი და აფხაზები საბოლოოდ არ არიან ჩვენთვის დაკარგულები! იყო კიდევ ერთი კონკრეტული შედეგი – გაზეთ **"ილორის"** რედკოლეგიის წევრად ავირჩიეთ გაზეთ **"ГАЛ"**-ის მთავარი რედაქტორი, აფხაზი ეროვნების ნუგზარ სალაყაია, ხოლო თქვენი მონა-მორჩილი გახდა **"ГАЛ"**-ის რედკოლეგიის წევრი. დამისახელეთ მსგავსი რამ, მას შემდეგ, რაც აფხაზეთთან ომი დამთავრდა. ვერ დამისახელებთ...ასევე, ვაპირებთ, რომ შევქმნათ ქართულ-აფხაზური ერთობლივი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც რეგისტრაციას გაივლის აფხაზეთსა და სამეგრელოში და იმუშავებს საქართველოსა და აფხაზეთის მეგრულენოვანი მოსახლეობის კულტურისა და მეგრული ენის განვითარებაზე. ან იქნებ ამის ანალოგიური რომელიმე ღონისძიება დამისახელოთ? ტყუილად ნუ დაიძაბებით, ასეთი რამ დღემდე ბუნებაში არ არსებობდა, რადგან საქართველოს ხელისუფლება ყოველნაირად ცდილობს, რომ კავშირი გაწყვიტოს ურთიერთობები, რათა არც სტრუქტურებს შორის აღსდგეს რაიმე კავშირები და არც ხალხებს შორის. მე უკვე დავიმკვიდრე **"არმენოფობის"** სახელი ჩემი მკვეთრი საგაზეთო ინტერვიუების გამო, თუმცა არავის წამოუყენებია ბრალდება, რომ ტყუილი ვთქვი. ახლაც იგივე უნდა ვთქვა – აფხაზეთის დაკარგვაში ბინძური სომხური ხელი ურევია, რადგან მათი რიცხვი ომამდე აფხაზეთში 16 ათასი თუ იქნებოდა, ახლა კი 80 ათასი არიან. მე უკვე ვთქვი, რომ აფხაზმა მასპინძლებმა შესანიშნავი სუფრა გაგვიშალეს. არადა, ქართული სუფრა მართლაც რომ დიდებული დიპლომატიური არენაა. რაც მე იქ აფხაზ მასპინძლებს ჭიქით ხელში ვუთხარი სადღეგრძელოდ, იგივე რომ ტრიბუნიდან მეთქვა ჭიქის გარეშე, ამას შეიძლებოდა ახალი ომი მოჰყოლოდა. უპირველესად გავაფრთხილე, რომ სომხების ნდობა არ შეიძლება-მეთქი. ისინი თავჩაღუნულები მუშაობენ და მათ არავინ არაფერს ეკითხებაო – მიპასუხეს. შევახსენე, რომ გამათხოვრებულ-გაუბედურებული, თურქეთიდან გამოყრილი სომხები ასევე მორიდებულად შემოვიდნენ ჯავახეთში, ახლა კი ამ ძირძველ ქართულ მიწას გვედავებიან. თქვენც ასე დაგემართებათ, სომხები თქვენს შვილებს ეტყვიან, რომ აფხაზეთს ჩვენ იარაღით ვიცავდით და ამიტომ, ეს სომხური მიწააო. თავები ჩაღუნეს, ალბათ ჩემი სიტყვების მწარე სიმართლე იგრძნეს. სწორედ სომხური ფული ტრიალებს მსოფლიოში სხვადასხვა ქვეყნების მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის ასაღიარებლად. უტყუარი წყარო არსებობს, რომ საამისოდ სომხებს 90 მილიონი დოლარი აქვთ აკრებილი. ისე კი სჯობდა, რომ ეს ფული აფხაზებისთვის მოეხმარებინათ, მაგრამ მათ გეგმებში არ შედის აფხაზების კეთილდღეობა და ისინი გასაჭირის თავზე მოხვევით შეეცდებიან აფხაზეთის დაცლას აფხაზებისაგან, ისევე, როგორც სააკაშვილმა დაცალა საქართველო ქართველებისაგან. ორიოდ სიტყვას კიდევ ვიტყვი მათზე – მე ჭეშმარიტად მეცოდება ეს ერი, რომელსაც მევახშეობითა და ვაჭრობით ნაშოვნი დიდძალი ფულის გარდა არაფერი გააჩნია და ამ ფულით ცდილობს ტერიტორიების, კულტურისა და ავტორიტეტის ყიდვას. მე ახლა ორი წერილი მიდევს სომხურ ვერაგობაზე – **"რას წერდნენ ჟამთააღმწერლები კრწანისის"** ომზე და **"ბაგრამიანის ბატალიონის დანაშაულებანი – დროს, ბოდიში მოიხადონ! ჩვენი შემწყნარებლობა სიბრიყვეში გადაიზარდა".** რა ვქნა, ისტორიული სიმართლე ერთია და მას ვერსად დავემალებით, და მეც ალბათ მალე გამოვაქვეყნებ ამ წერილებს. ამიტომ, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ საქართველოს სომხური ხელისუფლება ყოველნაირად ცდილობს ჩაჭრას ქართულ-აფხაზური ურთიერთობები, რათა დევნილების დაბრუნებით იქ შეთესლილ სომხებს დისკომფორტი არ შეუქმნან. თანაც, დევნილთა საკითხის მოგვარებით ისინი ვეღარ მიიღებენ მათ დასახმარებლად საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოყოფილ მილიონობით თანხებს, რომელთა დიდი წილი ჩინოვნიკთა ჯიბეებში ილექება. ახლა, როგორ ფიქრობთ, მათ გულზე ეხატებათ აფხაზებთან სიტუაციის დარეგულირება?

**– აფხაზებთან ძალიან ბევრი რამ გვაქვს დაგროვილი, ტკივილიც, სითბოც, ნოსტალგიაც, პრეტენზიებიც, თქვენ ცოტა არ იყოს უცნაური რაკურსი შეარჩიეთ მათთან დიალოგისთვის.**

– დიალოგი დიალოგია. მთავარია შეხვედრის მიზეზი წარმოიქმნას და ორმხრივი სურვილი გაჩნდეს, თორემ საკითხს მნიშვნელობა არა აქვს, თუ, რა თქმა უნდა, შეხვედრის მიზანი კონკრეტულად არ ეწინააღმდეგება რომელიმე მხრის ინტერესებს. ყველაფრის გადალახვა შეიძლება, თუ ორმხრივი სურვილი და მიტევების განცდა არსებობს. ჩემი თაობის ბავშვებს, რომელთაც მამები დიდ სამამულო ომში გაკარგეს, ვერასოდეს წარმოგვედგინა, რომ გერმანელებთან მეგობრობა გვექნებოდა. ან ამერიკელებისა და იაპონელების ერთად ყოფნა არ არის მრავლისმეტყველი, რომელთაც ერთმანეთის სისხლის ოკეანეები დააყენეს? დრო მართლაც ყველაფრის მკურნალია და თუ ქართულ აფხაზურ ომში დაზარალებული ორშვილშეწირული მშობლები ერთმანეთთან შეხვედრის გზებს ეძებენ, რათა ერთმანეთს ხვედრი შეუმსუბუქონ, ჩვენ რატომ არ უნდა გავმართოთ დიალოგი იმ აფხაზებთან, რომელთაც დასაკარგად არ ვემეტებით? მართლაც აფხაზებისა და ქართველების დაუძინებელი მტერი უნდა იყო, რომ ამგვარ შეხვედრებს ხელი შეუშალო, რაც მასობრივი შერიგების წინაპირობად შეიძლება იქცეს!

**– რა რეაქცია მოყვა ამ შეხვედრებს საზოგადოების, ან თუნდაც იგივე ოფიციოზის მხრიდან?**

– სიმართლე გითხრათ, ოფიციოზის მხრიდან კიდევ ერთ შემოყეფებას ველოდი იმის თაობაზე, რომ ჩვენ რუსული ინტერესების გამტარებლები ვართ, მაგრამ, თუ რუსი დაინტერესებულია ჩვენი შეხვედრებით, მადლობის მეტი მის მიმართ არაფერი მეთქმის. მაგრამ, ოფიციოზის მხრიდან ჩვენს აფხაზურ ვოიაჟს არავითარი გამოხმაურება არ მოჰყოლია. ალბათ ხინჯი ვერაფერი მოგვიძებნეს, თორემ ასეთ სითამამეს ნამდვილად არ გვაპატიებდნენ. სავარაუდოა, რომ თავადაც დაიღალნენ საკუთარი სიცრუის მტკიცებით იმის თაობაზე, რომ რუსებმა საბოლოოდ წაგვართვეს აფხაზეთი. როცა ამგვარ მტკიცებებს ვისმენ, წამსვე გამახსენდება ცნობილი რუსი სახელმწიფო მოღვაწის ევგენი პრიმაკოვის იუბილეზე ვლადიმერ პუტინის მიერ ნათქვამი სიტყვები: **"თუ ვინმეს ჰგონია, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხის გადაწყეტა შეუძლებელია, ძალიან სცდებაო."** პუტინი კი ის კაცი არ გახლავთ, რომელიც სააკაშვილივით დაუფიქრებლად და გაუაზრებლად ამბობდეს რამეს! ახლა გეკითხებით, რატომ უნდა ვერწმუნო საქართველოს მაოხარ და ამომგდებ მიხეილ სააკაშვილს და არ ვერწმუნო იმ ვლადიმერ პუტინს, რომელიც ყველაფერს აკეთებს საკუთარი სამშობლოს ასაღორძინებლად?

**– ყველაზე მეტად რა დაგამახსოვრდათ, რას გაუსვამდით ხაზს, როგორც თქვენი შეხვედრის უმთავრეს და ხელშესახებ შედეგს?**

დამამახსოვრდა ის სითბო, რაც აფხაზმა მასპინძლებმა გამოიჩინეს ჩვენს მიმართ. ყოველნაირად იგრძნობოდა, რომ ისინი დანატრებული იყვნენ ჩვენთან ურთიერთობას. მე უკვე ვწერდი იმის თაობაზე, რომ აფხაზმა მასპინძლებმა, საველე პირობებში, ისეთი დიდებული სუფრა გაგვიშალეს, რომ გაოცებას ვერ ვმალავდით. იგრძნობოდა, რომ, ისინი დიდი ხანი ემზადებოდნენ ამ შეხვედრისათვის. ასეთ დახვედრას მხოლოდ ნანატრ სტუმრებს უწყობენ. ამიტომაც იყო ჩვენი შეხვედრა ასეთი გულითადი. სასმისმა თავისი გაიტანა, მალე ისე დავთბით და იმდენად გულახდილად წარმოვთქვამდით ომახიან სადღეგრძელოებს, თითქოს წინა დღით დაწყებულ სუფრას ვაგრძელებდით. ვიხსენებდით წარსულის ბედნიერ დღეებს, აფხაზეთში გატარებულ დროს, სოხუმის, ბიჭვინთისა და თბილისის შეხვედრებს, შერეულ ქორწილებს, ადამიანებს, რომლებიც უკვე ჩვენს გვერდით აღარ არიან... ყურადღებით მისმენდნენ მასპინძლები, როცა საქართველოს განახევრებულ ისტორიაზე ვსაუბრობდი, გულისტკივილით მოვუთხრობდი, რომ საქართველოს ისტორიას მიტმასნილი ლეონტი მროველისა და სხვა სომეხი არამზადების წყალობით ჩვენი ქვეყნის მატიანე მხოლოდ **"ნახევარისტორიაა"**, რადგან მასში საერთოდ არ არის ასახული კოლხეთის მდიდარი წარსული. სწორედ სუფრასთან, ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე, ყველამ გამოთქვა აზრი იმის თაობაზე, რომ სამეგრელო არის არა მხოლოდ საქართველოს ხერხემალი, არამედ ის ძალაც, რომელსაც ძალუძს შეინარჩუნოს ქართულ-აფხაზური ისტორიული მეგობრულ-ნათესაური ურთიერთობები. ღვინო საკმაოდ მოგვერია, რამაც კიდევ უფრო გაგვიმძაფრა ერთმანეთის მონატრებისა და ერთმანეთის წინაშე ჩადენილი დანაშაულის მონანიების განცდა. ასეთი რამის გათამაშება არ შეიძლება. შეიძლება პირფერულად შეეგებო სტუმარს, მაგრამ სიმთვრალე მაინც გათქმევინებს სიმართლეს. ჩვენი სიმართლე კი გახლდათ ის მძიმე ჟამი, როცა ჩვენი მამები, ძმები და შვილები დაუნდობლად ხოცავდნენ ერთმანეთს, ვცდილობდით მხოლოდ მომავლის იმედზე გვესაუბრა, რომელიც კვლავ ჩვენი ერთად ყოფნის ოცნებად არის ქცეული! განა ტყუილია ის, რომ სიტყვა **"აფხაზი"** საქართველოში ყოველთვის ასოცირდებოდა ვაჟკაცობასთან, პრინციპულობასთან, ზრდილობასთან, სტუმართმოყვარეობასა და უტყუარ თანადგომასთან. არ არსებობს ქართველ შემოქმედთა მიერ შექმნილი ნაწარმოები, სადაც აფხაზი ადამიანი უარყოფით გმირად იქნება წარმოდგენილი. მართლაც დიდი იყო შთაგონების ძალა! და ეს შთაგონება არ უნდა წაიშალოს, ჩვენი მომავალი თაობები კარგად უნდა იცნობდნენ ჩვენ ტკივილიან წარსულს, რათა კვლავ ერთად იმეგობრონ სასიკეთოდ მოსულ ხალხთან და კვლავ ერთად შეეგებონ მომხვდურ მტერს! სწორედ ამის შემეცნება გახლდათ ჩვენი შეხვედრის ძირითადი მიზანი!

**– თუ გეგმავთ და რა ფორმით ამ ურთიერთობების გაღრმავებას და თქვენი აზრით მეგრულ ენაზე, კოლხურ კულტურაზე აქცენტირება ხომ არ გამოიწვევს საზოგადოების იმ ნაწილის „შეშფოთებას" ვისაც დღედაღამ ყველაფერში სეპარატიზმი „ელანდება"?!**

– დიახ, გადავწყვიტეთ, რომ ახლო მომავალში კონფერენცია ჩავატაროთ გალში, რომელიც მიეძღვნება საქართველოსა და აფხაზეთის მეგრულენოვანი მოსახლეობის კულტურისა და მეგრული ენის განვითარების საკითხებს და აქვე შევქმნით ორმხრივ არასამთავრობო ორგანიზაციას. რაც შეეხება **"სეპარატიზმს"**, ამ სისულელეს მე უკვე დიდი ხანია ყური შევაჩვიე. კონკრეტულად მე ვერაფერს მაბრალებენ, რადგან იციან, რომ თბილისში დავიბადე და გავიზარდე, და რომც დამაბრალონ, **"მგლის შიშით ცხვარი არავის გაუწყვეტია".** შევარდნაძესა და სააკაშვილზე დიდი სეპარატისტი მე არავინ მინახავს. სწორედ მათ დაშალეს და დაანგრიეს საქართველო, რომლის ხერხემალს ყოველთვის წარმოადგენდა და დღესაც წარმოადგენს სამეგრელო. რაც შეეხება ჩვენი შეხვედრის მიზანს და შედეგებს და **"სეპარატიზმისადმი"** კრთომას, ამაზე შესანიშნავად გასცა პასუხი შეხვედრის მონაწილემ, ჟურნალისტმა ბატონმა ლადო ქირიამ: **"...შეიძლება მავანმა ამ შემოთავაზებაში მზაკვრული სულისკვეთება დაინახოს – თუ როგორ უნდათ რუსებსა და აფხაზებს მეგრული ჩამოაცილონ ქართულს, გათიშონ ყოველივე მეგრული საერთო ქართული ცნობიერებიდან და ა.შ. დანამდვილებით შემიძლია ვთქვა: ასეთი რამის დაშვება მიუღებელია. ჩვენ აფხაზურ მხარეს განვუმარტეთ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ბრძოლა მეგრული ენის შენარჩუნებისა და განვითარებისათვის მოხდება მხოლოდ და მხოლოდ ერთიან ქართულ სივრცეში, ხოლო რაც შეეხება აფხაზებს, თუ რატომ ამახვილებენ განსაკუთრებულ ყურადღებას მხოლოდ მეგრულზე და არა ქართულზე, ეს მათი სურვილია და ვერ შევედავებით. ჩვენ კი, მათი ეს შემოთავაზება ხელიდან არ უნდა გავუშვათ, რადგან აფხაზეთში თანდათანობით იკარგება ყოველივე ქართული – მეგრული კულტურის, ფოლკლორის, ენის შენარჩუნება და განვითარება იგივეა, რაც ქართული კულტურის, ფოლკლორის და ენის შენარჩუნება და განვითარება...".**

ასე რომ, ადამიანების ერთმანეთისაკენ სწრაფვა სეპარატიზმი არაა და რაც არ უნდა ეცადოს ჩვენი მტერი, ქართველები და აფხაზები დასავიწყებლად ერთმანეთს ვერასოდეს ვერ გავიმეტებთ...

ესაუბრა **ლეილა მიროტაძე**
გაზეთი
"საქართველო და მსოფლიო"

ილორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აბა, მუშტი-კრივში მნახე, ვინა ვარ...

პარლამენტარ აკაკი ბობოხიძეს რომ ვუყურებ, ერთი უნიჭო ბოლშევიკი ქართველი პოეტი კალე ბობოხიძე მახსენდება, რომელიც მის ტანამედროვეთა შორის ცნობილი იყო თავისი უტიფრობითა და დიდი პოეტის წრესგადასული ამბიციით, იმიტომ, რომ საკუთარ **"შემოქმედებას"** ლამის გალაქტიონ ტაბიძის სიმაღლეებს უტოლებდა.

მეტი მკრეხელობა და თავგასულობა რა გინდათ!

საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ყველა წესიერ ბობოხიძესთან დიდ ბოდიშს მოვიხდი, მაგრამ არ შეიძლება არ დავეთანხმო დიდ მეცნიერთა დასკვნებს გვარში გენების მომავალი თაობებისათვის მყარად გადაცემის თაობაზე.

აი, ლექსი-ფუნაგორია, რომელიც მისმა თანამედროვე პოეტებმა მიუძღვნეს პოეზიას მიტმასნილ მაუზერიან და შავტყაპუჭიან **"შემოქმედ კალეს"**:

**პოეზიის მაღალ ხიდზე**
**მიდის კალე ბობოხიძე,**
**მიდის კალე, მისდევს ქალებს,**
**კალეს ძაან უკანკალებს,**
**ის, რაც ძაან უყვართ ქალებს,**
**რაც რომ კალეს უკანკალებს,**
**უკან მოხვდეს თვითონ კალეს!**

დღეს **„პოეტი"** კალე ბობოხიძე თითქმის აღარავის ახსოვს, თუ, რა თქმა უნდა, მისი რომელიმე თავხედი მოგვარე არ შეგვახსენებს თავისი უხამსი გამოხტომებით. რაც შეეხება ამ სახალისო ფუნაგორიას. საქართველოში ძნელად თუ მოიძებნება ადამიანი, რომელმაც იგი ზეპირად არ იცოდეს. ამიტომ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ **„დიდი შემოქმედი"** კალე ბობოხიძე **"უკვდავი"** გახადა არა მისმა ნაცოდვილარმა **"შემოქმედებამ"**, არამედ მასზე შექმნილმა ფუნაგორიამ.

ალბათ აკაკი ბობოხიძეც მისი აღვირახსნილობის გამო შერჩება საქართველოს უმოკლეს ისტორიას, რადგან პარლამენტში რაიმე ღირებული მას ნამდვილად არაფერი შეუქმნია, თუ არ ჩავთვლით მონურად ხელის აწევას ქართ ული სულის საწინააღმდეგო კანონების დამტკიცებისას!

როგორც იტყვიან, აკაკი ბობოხიძის რანგისა და სულისკვეთების მქონე ადამიანებისათვის, ესეც საქმეა!

მოკლედ, ბობოხიძეების საგვარეულოს არ დაელიათ მოძალადეები, არც პოეზიაში და არც პოლიტიკაში. ამის აშკარა დასტური გახლავთ ორიოდ კვირის წინ პარლამენტარ აკაკი ბობოხიძის მიერ მოწყობილი მართლაც გულისამრევი სცენა, როცა საქართველოს პარლამენტში პარლამენტარ პეტრე მამრაძეს, სრული ჭეშმარიტების გაჟღერებისას, ეს არაკაცი მიუვარდა და ხელი გაარტყა. უკან შემძრომი და უტიფარი პოლიტიკოსის მეტს რას შეხვდები საქართველოს პარლამენტსა თუ ხელისუფლებაში, მაგრამ, ბობოხიძის ეს უზნეო საქციელი მართლაც ამოვარდნილი იყო როგორც პარლამენტარიზმის პრინციპებიდან, ასევე ადამიანობის ყოველგვარი ნორმიდან.

როგორც ცნობილია, ხმის ამაღლებას და ფიზიკურ ძალას, საკუთარი **„აზრის განსამტკიცებლად"**, ყველა შემთხვევაში, მხოლოდ მკლავმაგარი, ზნედაბალი და გონებაჩლუნგი ადამიანები იყენებენ ოპონენტთა წინააღმდეგ, რადგან მათ საფუძვლიანი კონცეპტუალური ოპონირებისათვის გონებრივი შესაძლებლობები არ ყოფნით. მართლაც გონებაჩლუნგი ან ზნედაცემული ადამიანი უნდა იყო, რომ ეჭვის ქვეშ დააყენო პეტრე მამრაძის მიერ გაჟღერებული აზრი აგვისტოს ომის სააკაშვილისა და მისი დანაშაულებრივი გარემოცვის მიერ დაწყების თაობაზე. მაგ დალოცვილს, ერთხელ მაინც წაეკითხა ტალიავინის კომისიის დასკვნა, სადაც კონკრეტულადაა არგუმენტირებული ქართველ **"ნაციონალთა"** და მათი ნეტარი ბელადის დანაშაულებრივი ინიციატივა 2008 წლის აგვისტოს ომის დაწყების საქმეში. სწორედ მაშინ დარწმუნდებოდა, რომ რეალურად სწორედ მიხეილ სააკაშვილმა მიართვა ლანგრით აფხაზეთისა და სამაჩაბლოს აღიარების შესაძლებლობა რუსეთს! ახლა ის დროა, რომ კალე... ბოდიში, კაკო ბობოხიძე ტალიავინს მიუხტეს საცემად – **"ჩვენს მამასა და მარჩენალს ეს რა აკადრეო, 2008 წლის აგვისტოს ომი ჩვენ კი არა, რუსებმა დაიწყეს ვლადიმერ პუტინის მეთაურობითო..."**

და რაც მთავარია, მონანიებისა და ბოდიშის მოხდის ნაცვლად აკაკი ბობოხიძემ ტრიბუნიდან მჭექარედ დაიმუქრა, რომ ვინც აგვისტოს ომის დაწყებას სააკაშვილს დააბრალებს, ყველას ფიზიკურად გავუსწორდებიო!

ამ ავადსახსენებელი პროვოკაციული ომის დაწყებაში კი, როგორც ცნობილია, ტალიავინთან ერთად რუსეთის ხელისუფალნიც სდებენ ბრალს სააკაშვილს!

ასეთ შემთხვევაში, ვლადიმერ პუტინზე გაწევას და მასთან ჩხუბს კი აკაკი ბობოხიძეს ნამდვილად არ ვურჩევ, რადგან პუტინი საბრძოლო ხელოვნების შავი ქამრის მფლობელია და ისე დაუსიებს თავპირს მისნაირ გათავხედებულ მოძალადეს, რომ ბობოხიძე შეიძლება ოჯახის წევრებმაც კი ვერ იცნონ!

ახი და ალალი კი იქნება, მასზე!

ახლა, რაც შეეხება კაკო ბობოხიძის საქციელის მოქალაქეობრივი თვალთახედვიდან შეფასებას!

დასამალი არ გახლავთ (არც დიდად საამაყო, მაგრამ რაც იყო, იმის უარყოფა მკრეხელობა იქნება თუნდაც იმ ჩვენი „მოჩხუბარი" თანატოლების ხსოვნის წინაშე, რომლებიც დღეს ჩვენს გვერდით აღარ არიან), რომ ჩვენს ახალგაზრდობაში გართობის ერთ-ერთ **„საშუალებას"** ქუჩაში ხელჩართული უბოროტო ჩხუბი წარმოადგენდა, რა თქმა უნდა, ყოველგვარი იარაღის, უბრალო ჯოხის გამოყენების გარეშეც კი. დავდგებოდით ერთმანეთის პირისპირ და ჩხუბიც იწყებოდა **"ცხვირიდან სისხლის გამოდენამდე"**, თუ მანამდე რომელიმე მხარე არ აღიარებდა დამარცხებას. მაგრამ ჩხუბი იმდენად სამართლიანი და ყოველი წესის კეთილშობილური დაცვით მიმდინარეობდა, რომ წაგებული არამც და არამც დამცირებული და შეურაცხყოფილი არ რჩებოდა. ყველაზე არაკაცურ საქციელად კი ითვლებოდა ის, როცა ადამიანს მაშინ გაარტყამდი ხელს, როცა იგი შენ არ გიყურებდა და მზად არ იყო შენი დარტყმის მოსაგერიებლად.

როგორც გახსოვთ, აკაკი ბობოხიძემ სწორედ მაშინ გაარტყა ხელი პეტრე მამრაძეს, როცა ეს უკანასკნელი თავხედი მოჩხუბარისაკენ არ იხედებოდა.

ამიტომ, აკაკი ბობოხიძისნაირ არსებებს რომ ვაკვირდები, ვრწმუნდები, რომ მათ ვერც ოჯახში ვერ ისწავლეს ყოფაქცევა, ვერც სკოლაში, ვერც საზოგადოებაში და ვერც ქუჩაში. ისინი უფრო სინჯარაში გამოყვანილ იმ ბიოლოგიურ სხეულებად ყალიბდებიან, რომლებსაც მონური მორჩილების ინსტინქტით ყოველნაირი უკადრისის კადრება ძალუძთ!

კიდევ ერთხელ გადაიკითხეთ ზემოთ მოყვანილი ლექსი და დარწმუნდებით, რომ მართლაც – **"კვიცი გვარზე ხტის"**!

მაგრამ, მალე ყველაფერი თავის ადგილზე დადგება და მკაცრი პასუხი მოეთხოვება საქართველოს ხელისუფლებაში მოკალათებულ მკვლელებს და ბობოხიძისნაირ მოძალადეებს, მათ მიერ ჩადენილი ავკაცობისათვის!

**"ილორის" პრესსამსახური**

## ჩელა! (ახალი ვარიანტი)

მუჭო მოკო გოცქუნი
ჩქიმი მინჯე, ჩქიმი ჩელა,
სქანდა დღას ვადომძახინუ
სი იგირე, სი ჩერჩელა.
სი ჩერჩელა რექუ ვარი
მოხანდერექ ალიქერქუ,
მარძგან კილე რექუ ჩქიმი
შხვას მუ უჩქუ მაჯინესუ.
კისერ ირო შემულ გაფუ
ჯაშ უღუში გინადგუმა,
ჩქიმ მოხვარე ხვალე სი რექ
სი ღორონთიშ გონარჩქინა.
ირკოც ართო ოხვარუქუ
სქანდა მარდი დღას ვეგინე,
ირო ოღალც უზინდუა
ქიანაში გიგანტირე.
სი რექ ჩქიმი მინჯე ხვალე
ჩქიმი ჯიმა, ჩქიმი სქუა,
გაჭირება ვამღუდასი
უღუს დღასი ვაგისქუა.

**როზმერ გოგენია,**
**ზუგდიდი**

## გონს მოდი

ჟამი გვიტევს, დრო კი ბრუნავს
ერი გმინავს – გხედავ მდუმარს,
რა კაცი ხარ, ერის წყლული
თუ არ გადევს გულზე წყლულად!
ჭიქით ხელში მედგრად ბდღვინავ,
სამშობლოსა ქვასაც წურავ,
საქართველო გოდებს, ოხრავს,
რად არ გესმის, ნუთუ ყრუ ხარ?!
არ გაკლია სახლი, კარი,
ფული, ძღვენი და ქონება.
სამშობლოს ძარცვა-გლეჯაა
შენი ჭკუა და გონება?!
ეგ სიმდიდრე გაბრმავებს და
არ გადარდებს სხვისი ბედი,
კუჭს რომ გულზე აუფროსებ,
რას გიკეთებს ნეტა მკერდი?!
მთელს მსოფლიოს განაგებდა,
ვინ მიაღწევს იმის დონეს,
იცი, სიკვდილის წინ უთქვამს
ალექსანდრე მაკედონელს:
"მკვდარს ხელები მომიჩანდეს,
გადაშლილი კუბოს გარეთ,
ამ ქვეყნიდან არა მიმაქვს,
რა სიმდიდრეც თავს მაყარეთ..."
რატომ ღორობ, უბედურო,
შენ რომ შეგრჩეს, ვის რა შერჩათ,
ნუთუ ვერ გრძნობ, რომ უტოვებ
ულევ ცოდვას შვილებს ბეჩავთ!
შვილის ყელს რომ გადაცდება,
ლუკმა-პური ან წამალი,
მხოლოდ მაშინ შეერგება,
გარჯის თუა და ალალი.
ჭკუას მოდი, ნუ წარწყდები,
ცხონებისთვის გზა გაქვს ერთი –
ცოდვას თუ მოინანიებ,
დაგიფარავს მაშინ ღმერთი!

**ჯემალ ჯიქია**

# ქობულეთის თავისუფალი ტურისტული ზონა ისევ თავისუფალია!

გასული წლის ნოემბერში საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა იმ 8 კომპანიის ვინაობა, რომლებსაც ქობულეთში, ფიჭვნარის ტერიტორიაზე, სასტუმროების მშენებლობა უნდა დაეწყოთ. მთავრობის გადაწყვეტილებით, ინვესტორებს მშენებლობისთვის 15-თვიანი ვადა მიეცათ, რომელიც მომავალი წლის მაისში იწურება. ამასთან, ხელშეკრულების თანახმად, ინვესტორი ვალდებულია, მისი გაფორმებიდან 4 თვის ვადაში სასტუმროს შენობას საძირკველი ჩაუყაროს. ეს ვადა მიმდინარე წლის ივნისის ბოლოს ამოიწურა, თუმცა გეგმით გათვალისწინებული 30 სასტუმროდან ამ დრომდე მხოლოდ 3-ის მშენებლობაა დაწყებული.

ქობულეთში, ზღვიდან 140 მ-ის დაშორებით, ფიჭვნარის ტერიტორიაზე, ახალი სასტუმროების მშენებლობისთვის მთავრობამ პოტენციურ ინვესტორებს განსხვავებული პირობები შესთავაზა. სამშენებლო მიწის ნაკვეთები სიმბოლურ ფასად გაიყიდა, ხოლო დამტკიცებული საპროექტო-სამშენებლო დოკუმენტაცია დამკვეთს უსასყიდლოდ გადაეცა. ტერიტორია საინჟინრო-კომუნალური ქსელებითა და სათანადო ინფრასტრუქტურით იქნება უზრუნველყოფილი. თავის მხრივ, ინვესტორი ვალდებულია, ხელშეკრულების გაფორმებიდან 4 თვის ვადაში სასტუმროს საძირკველი ჩაუყაროს, ამის შემდგომ 6 თვის განმავლობაში შენობის კონსტრუქცია ააგოს, შემდგომი 5 თვის განმავლობაში კი სასტუმრო კლიენტების მისაღებად მოამზადოს.

როგორც საქინფორმმა გაარკვია, რამდენიმე კომპანიამ საერთოდ უარი თქვა პროექტის განხორციელებაზე, თუმცა ამ დრომდე გაურკვეველი რჩება, რატომ არ დაიწყეს ინვესტორებმა სასტუმროების შენება. ერთ-ერთ მიზეზად წლევანდელი ჩაგდებული სეზონი დასახელდა – მიუხედავად ხელისუფლების მტკიცებისა, ზღვისპირა ქალაქებში უკმაყოფილებას არ მალავდნენ იმ მაღალი გადასახადების გამო, რაც მათ მთავრობამ დაუწესა. მომატებული ფასები საცხოვრებელ ფართებზე აისახა, რამაც დამსვენებლების სხვა საკურორტო ქვეყნებში წასვლა განაპირობა.

ამრიგად, ხელისუფლების მტკიცების მიუხედავად, სეზონი რომ ჩავარდა, აშკარაა და ამას არც ადგილობრივი მოსახლეობა მალავს.

საქინფორმი ბათუმის ერთ-ერთ მოსახლეს ესუბრა, რომელმაც ვინაობის გამჟღავნებას **„მომავალში პრობლემების შექმნის"** გამო თავი აარიდა. **„ფასების ზრდა მაღალმა გადასახადებმა განაპირობა. საკუთარ სახლში რომ დამსვენებელი მიიღო, ამაშიც ფული უნდა იხადო. ჩვენ ვეწინააღმდეგებოდით ფასის მომატებას, რადგან ამან დამსვენებლის ნაკლებობა გამოიწვია, თუმცა თავს ზემოთ ძალა არ იყო მას შემდეგ, რაც ბევრ ჩემს მეზობელს და, მათ შორის, მეც პრობლემები შეგვექმნა. დაბალი ფასის გამო დამსვენებელი ჩვენს კოტეჯებში რჩებოდა, რის გამოც სასტუმროები გარკვეულ ზარალზე წავიდნენ, ამიტომ გადასახადები მოგვიმატეს და იძულებული გავხდით, ჩვენც აგვეწია ფასი, რის შედეგადაც სეზონი ჩავარდა"**, – განუცხადა საქინფორმს ბათუმის მკვიდრმა.

შესაბამისი კითხვებით ვეცადეთ, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსთვის მიგვემართა, თუმცა აღმოჩნდა, რომ ამ საკითხზე პასუხი არავის აქვს და ამიტომ აჭარის მთავრობაში გადაგვამისამართეს.

**„ხომ არ ჯობდა, ამ თემაზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრისთვის მიგემართათ?! ჩვენ ინფორმაციას არ ვფლობთ"**, – აცხადებენ ეკონომიკის სამინისტროში.

საქინფორმი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრ ვაჟა ბოლქვაძეს დაუკავშირდა, თუმცა ამჯერადაც უშედეგოდ. **„მე არ ვფლობ ამ საკითხზე არანაირ ინფორმაციას და ძალიან გთხოვთ, სხვასთან დარეკეთ"**, – განაცხადა ბოლქვაძემ.

როგორც ჩანს, ჩვენს კითხვებზე პასუხი არცერთ სახელმწიფო უწყებას არ აქვს ან, ალბათ, აქვს და მის გასაჯაროებას თავს არიდებს, რადგან ეს პასუხი მმართველი პარტიის პიარკამპანიის ჩარჩოში ნამდვილად არ თავსდება.

**საქინფორმი**



## გაზეთ "ილორის" რედაქციას

მთელი სულითა და გულით, ვულოცავ, როგორც რედაქციის თანამშრომლებს, ასევე მთელ ქართველ და არაქართველ ხალხს, გაზეთ "ილორის" მეორასე ნომრის გამოსვლას. დაე, XXI საუკუნეში თავის თანამოძმეებთან ერთად, იბერიის გადასარჩენად ემძლავროს მის მახვილს!

თქვენი გაზეთი ის დედოზარია, რომელიც საგანგაშოდ არისხებს და ჭკუასუსტობამდე დასულ ინდიფერენტიზმიდან ყოველი ქართველის გამოყვანას რომ ლამობს...

გაზეთ „ილორის" ორასი ნომრით გამოფხიზლებული ერთეულები – მალე ასეულებად იქცევიან. ხვალ-ზეგ ეს ასეულები ათასეულებად და ბოლოს და ბოლოს შეიძლება ამ კოშმარული ზმანებიდან მთელი ქვეყანაც გამოფხიზლდეს.

ესაა გაზეთ "ილორის" უდიდესი მისია, თვით წმიდა გიორგისგან შთაგონებული აზრი, თავგანწირული ბრძოლა დიდ გასაჭირში მყოფი სამშობლოს გადასარჩენად.

ძვირფასო მეგობრებო! გულითადად გილოცავთ თქვენი ლამაზი გაზეთის მე-200 ნომრის გამოსვლას. გისურვებთ ჩვეულ შემართებას, სულიერ სიმტკიცეს და უფალს ვთხოვ მკითხველი მოგიმრავლოთ, რაც ჩვენი ერისა და ქვეყნის გადამთიელთა მარწუხებისაგან დახსნისა და გადარჩენის პირდაპირი საწინდარია.

პატივისცემით,

**ტარიელ გაგნიძე**

არასამთავრობო ორგანიზაცია
"ისტორიული მემკვიდრეობა"-ს
თავმჯდომარე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# "ვალმოხდილი აღმსარებელი ამბროსი"



**საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ამბროსის ცხოვრება და მოღვაწეობა. პუბლიკაცია ხორციელდება საქართველოს საპატრიარქოს ჭყონდიდის ეპარქიის მთავარეპისკოპოსის მეუფე პეტრეს თანადგომით. მიძღვნილი პატრიარქ ამბროსის დაბადების 150 წლისთავისადმი.**

*„1995 წლის 18-19 სექტემბერს სვეტიცხოვლის საპატრიარქოს ტაძარში შედგა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გაფართოებული საეკლესიო კრება, რომელიც გახსნა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ. პატრიარქმა კრების მონაწილეებსამცნო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის ისტორიული გადაწყვეტილება ერისა და ეკლესიის წინაშე დამსახურებისათვის უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი შერაცხილ იქნა წმინდანთა დასში "ამბროსი აღმსარებლის" სახელით და მისი ხსენების დღედ დაწესდა 16 (29) მარტი".*

1899 წელს ბესარიონი ბერად აღიკვეცა და მას ამბროსი ეწოდა. ამბროსის **„ქართველთა პარტიის"** ყველა წევრთან მეგობრობა აკავშირებდა. იზიარებდა მათ იდეებს. თანაუგრძნობდა ზოგჯერ აშკარადაც, რის გამოც საიდუმლო პოლიციამ საქმის მოკვლევა დაიწყო. ბესარიონის სასწავლებელში გამგზავრების მიუხედავად კავშირს არ გაუწყვეტია **„ქართველთა პარტიასთან"**. მან **„სამურზაყანულის"** ფსევდონიმით გაზეთში გამოქვეყნდა მწვავე წერილი საპასუხოდ ვინმე კ. მაჭავარიანისა, რომელმაც **„ჩერნომორსკიი ვესტნიკ"**-ში დასტამბა წერილების სერია **„აქვთ კი უფლება სამურზაყანოელს, საკუთარ თავს მეგრელები უწოდონ"**. ამის საპასუხოდ 1899 წლის 6 მაისს იმავე გაზეთში აბროსი ხელია აქვეყნებს წერილს **„ხმა სამურზაყანოელებისა"**. ავტორი ისტორიული წყაროების მოშველიებით ასაბუთებდა, რომ **"თანამედროვე სოხუმის ოლქი მდ. ფსოუმდე მეგრელებითაა დასახლებული, დისკუსია დაქირავებულ პროვოკატორ კ. მაჭავარიანისა უსაფუძვლოა."**

თითქმის ორი თვე მიმდინარეობდა დისკუსია მაჭავარიანსა და ხელაიას შორის. ეს უკანასკნელი ამტკიცებდა, რომ **„მე-18 საუკუნამდე, თურქების ბატონობის ჟამს ქართული კათედრა დახურეს, სამურზაყანო ეკლესიურად ცაიშის ეპარქიის (სამეგრელო) შეუერთდა. სწორედ ასეთ დროს მოხდა იქ რუსეთის ხელისუფლების შემოსვლა, სამურზაყანოელები, რომ ნამდვილად ქართული ტომის ხალხია, ამაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია... ისინი ლაპარაკობენ მეგრულად და არა აფხაზურად, ამას როგორც წერენ და ფიქრობენ ზოგიერთები."**

ყაზანში ხელაიას მოღვაწეობის შესახებ, ი. ვართაგვა წერს **„როცა ჩამოვიდა თითქმის ვერ მეტყველებდა გამართულად, მაგრამ ეს არ იყო მხოლოდ გარეგნული შთაბეჭდილება...**

**"...ჩემსა და სერგოს შორის გაცხარებული კამათი კვლავინდებურად გაგრძელდა. ჩვენდა სასიხარულოდ ასეთ კამათს მესამე მონაწილე პირი გაუჩნდა ბესარიონი. იგი პრინციპულად იზიარებდა „ივერიელთა" პოზიციას, მაგრამ ჩემსა და სერგოს უკიდურესობამდის დაყვანილ კამათს თავისი ობუექტურობით ანელებდა. თითქმის ყოველდღე გაზეთების მიღების შემდეგ მე და სერგო შევდიოდით ბესარიონის პატარა ოთახში (მას მისცეს ცალკე ოთახში) ვკითხულობთ გაზეთებს და ვმსჯელობთ. ბესარიონის აზრს ჩვენ დიდად ვაფასებდით და ამისთვის ხანდახან ზოგიერთ საკითხში შეთანხმებასაც ვაღწევდით".**

არა მხოლოდ ქართველი, არამედ არაქართველი სტუდენტები რჩევას ეკითხებოდნენ ბესარიონს. მეგობრობდნენ მასთან.

გაიხარებდა, მაშინ, როცა ოჩამჩირიდან ბარათს მიიღებდა, რომელიც შვილებისა და ახლობლების ამბავს აუწყებდა. აშკარად ჩანდა, რომ მშობლებმა შვილის სიყვარული შვილიშვილებზე გადაიტანეს. შვილის ხატებას პატარა ანიში ხედავდნენ. მერჩულების ოჯახმა ტკივილიანი განსაცდელი გამოიარა, მაგრამ მზე მათთვის არ დაბნელებულა. სულის უკუნეთი შვილისშვილებმა გაუნათეს.

არდადაგებზე ბესარიონი ჩამოვიდა სოხუმსა და ოჩამჩირაში. შვილებთან და გულთბილ ახლობლებთან ურთიერთობამ, კესარიას საფლავზე მისვლამ, თავისებურად იმოქმედა.

სოხუმი უკვე იცვლიდა სახეს.

***

ყაზანში სწავლის პერიოდში ამბროსიმ არაერთი საგაზეთო წერილი გამოაქვეყნა. განსაკუთრებით აფხაზეთში ქრისტიანობის დაცვისა და ეროვნული სულისკვეთების დასაცავად.

სწავლების ბოლო წელი განსაკუთრებულ მონდომებასა და ძალისხმევას მოითხოვდა. საჭირო იყო საკანდიდატო თემის შერჩევა და დამუშავება.

დამამთავრებელი კურსის სტუდენტებისთვის, დაფაზე წინასწარ აკრავდნენ თემებს. სტუდენტები თავიანთი სურვილით ირჩევდნენ მათგან ერთს, შემდეგ უთანხმებდნენ პედაგოგს და მათთან ხშირი კონსულტაციებით, პირველწყაროებზე დაყრდნობით წერდნენ.

ეს იყო დამღლელი, მაგრამ ნიჭისა და შესაძლებლობების გამოვლენის საშუალება.

ამბროსიმ განყენებული თემის დამუშავება გადაწყვიტა. შეარჩია დასათაურება **„ქრისტიანობის ბრძოლა ისლამთან საქართველოში"**. მთელი ისტორიის მანძილზე მართლაც ისლამისტები სასტიკ ხერხებს იყენებდნენ საქრთველოში, რომ სარწმუნოება შეეცვალა მოსახლეობას, მაგრამ საბედნიეროდ ამას ვერ მიაღწიეს. თემის მაღალ დონეზე შესრულება ადვილი არ იყო, უნდა შერჩეულიყო ლიტერატურა და ისტორიული ფაქტები, რითაც მდიდარია ერის წარსული.

საკუთარი ჩანაფიქრის შესახებ ბესარიონმა მოახსენა პროფესორ მალაკს.

– მე ამ თემას არ ვიცნობ საფუძვლიანად, მაგრამ იმედია გულმოდგინედ მიუდგები – უთხრა მალაკმა.

– დიახ, პროფესორო, უკვე კარგა ხანია ამაზე ვფიქრობ და ლიტერატურაც ნაწილობრივ შევარჩიე. საქართველოს უმეტეს წილი მუსულმანი მტერი ებრძოდა. ებრძოდა პატარა ერს, გარშემორტყმულს არა ქრისტიანი მოსახლეობით. მიუხედავად ყველაფრისა ჩემმა ხალხმა მართლმადიდებლობა შეინარჩუნა არა შიშველი ომით ორ სარწმუნოებას შორის, არამედ ქართველთა სარწმუნოებრივი სიმტკიცით. თქვენ ანატოლი ტარასის ძევ იცნობთ შამილის თეოკრატული იმამისტი მუსლიმანური სახელმწიფოს შექმნის იდეას. ის ქადაგებდა ჰაზავათობის ანუ საღმრთო ომს... სუფიზმის, შარიათის დაცვას. ფანატიკოსთა ლაშქრობით ააოხრა ცნობილი ალექსანდრე ჭავჭავაძის მამული საქართველოში, წაასხა ტყვეები, ითხოვდა გამოსასყიდს, მანამდე კი იყო ირანელთა, თურქთა მრავლობითი ცდა ზეწოლისა, მაგრამ ამაოდ.

– ჩემთვის უკვე გასაგებია რისი წარმოჩენა გსურთ. მოდით თქვენ იმუშავეთ ამ თემაზე, მე გულდასმით დაგეხმარებით – შევთანხმდით?

– გმადლობთ!

დამამთავრებელი კურსის სტუდენტი ენერგიას არ იშურებდა, თემა კარგი და მეცნიერულ საფუძვლებზე შექმნა.

წერდა, ზოგიერთ ადგილებს გულდასმით მრავალჯერ კითხულობდა და ასწორებდა.

პროფესორი მალოვის მითითებით 700 გვერდიანი თემა 7 ნაწილად დაიყო. ლამაზი კალიგრაფიით რუსულად შედგენილი ნაშრომის თავსართი მიუთითებდა თემის დასახელებასა და რომ მისი ავტორი იყო ყაზანის სასულიერო აკადემიის მე-7 კურსის სტუდენტი მღვდელმონაზონი ამბროსი (ხელაია).

თემის დაცვის დღე დადგა.

რიგმა რომ მოუწია წარსდგა იგი კომისიის წინაშე.

თავაწეული თამამად, როგორც სჩვეოდა, დინჯად, გამოკვეთილი სიტყვებით დაიწყო თხრობა. კომისიის წევრებთაგან რამოდენიმეს კალამი ჰქონდა მომარჯვებული.

ჯერ თემის პირველი თავი მიმოიხილა „კავკასია განთქმულია მრავალენობრივობით, რის გამოც მას დაარქვეს **„ხალხთა ჭიანჭველას ფუღურო". ერთობლივი მრავალფეროვნება ბევრი მეცნიერისთვის იყო გამოცანა, რომელიც სათავეს უძველეს დროში იღებს.**

**დიდი მეცნიერი სტრაბონი აღნიშნავს, რომ კავკასიაში 70 ენაზე საუბრობენო. პლინიუსის თქმით რომაელებს ჰყავდათ 30 მთარგმნელი სხვადასხვა ენაზე. არაბი ისტორიკოსი ალ-აზარი კავკასიას უწოდებდა ენების გორას და ასე შემდეგ.**

**დისერტანტმა შემდგომ მიმოიხილა პატრიარქალური პერიოდი სქართველოში, თუ როგორ შემოვიდა ქრისტიანული სარწმუნოება; ჯერ დასავლეთ საქართველოში, რასაც ხელს უწყობდა შავი ზღვით ბერძნების ხშირი სტუმრობა. რამაც განაპირობა ზღვისპირეთში ბერძნული ახალშენების წარმოშობა.**

**შეეხო მირიან მეფის, ვახტანგ გორგასლის, დავითის, თამარის დროს თუ როგორ ვრცელდებოდა ქრისტიანობა და მტკიცდებოდა. გამოავლინა საქართველოს ისტორიის ღრმა ცოდნა. შემდეგ მოჰყავს მაგალითები თუ რა ბრძოლები გაიმართა სპარსეთსა და ბერძნებს შორის საქართველოს ხელში ჩასაგდებად, რა დროსაც სასტიკად ზარალდებოდა ქრისტიანობა. იმსხვრეოდა ტაძარ-მონასტრები და ამ ბრძოლას ჰქონდა სისტემატური ხასიათი.**

**„საქართველო, როგორც მდებარე ამ ორ მოქიშპე იმპერიას შორის, ხდება მათი ბრძოლის არენა"** – ასკვნის ავტორი.

თემის მომდევნო თავებში დაწვრილებითაა მოთხრობილი როგორ სურდათ, სპარსელებს, მონღოლებს, თურქებს და ჩრდილოელ კავკასიელებს საქართველოში გაევრცელებინათ ცეცხლთაყვანისმცემლობა. შემდგომ ისლამის დამკვიდრება. რა როლი შეასრულა ხალხმა, სულიერად და ფიზიკურად დამანგრეველი პროცესის შეჩერებისთვის. **„თვით მტკიცენი რწმენასა და საეკლესიო დადგენილებათა აღსრულებაში, სამღვდელოების წარმომადგენლები ცილობდნენ ხალხშიც განემტკიცებინათ სარწმუნოება... ეკლესია და სამღვდელოება წარმოადგენდნენ გამუდმებულ და მედგარ ოპოზიციას სპარს-ოსმალების წინააღმდეგ. ამისთვის იმ შავბნელ დროსაც კი, როდესაც დიდი იყო ძალა და გავლენა მაჰმადიანობისა საქართველოში, ხალხი დიდად მორწმუნე და მედგრად დამცველი იყო თავისი სარწმუნოებისა და ეკლესიისა. თვით სპარსეთის შაჰებიც კი იძულებულნი ხდებოდნენ ეღიარებინათ ეს თვისება ქართველებისა.**

**შაჰი ნადირი მიმართავს თავის ამალას: ნუ განარისხებთ ქართველებს, სამხედრო ნიჭითა და დიდებით განთქმულთ, გამოვლილთ იმნაირ სამხედრო ქარიშხლებს, რომელიც არყევდა მათ სახელმწიფოს, მაგრამ, არა მათ სარწმუნოებას."**

**„უკუღმართი ბედისწერის ჟამს ქრისტიანობამ, ანუ სარწმუნოებამ ითამაშა გადმწყვეტი როლი ბედკრული საქართველოს გადარჩენაში, მონოლითურად შეკვრაში. თავგანწირვის, ერთგულების გამოჩენაში."**

**„ეს იყო ტკივილიანი ფურცლები იმ პატარა ქვეყნისა, რომელსაც თავად უფალმა არგუნა საკუთარი წილხვედრი ალაგი".**

ერთსაათიანი თხრობა დასრულდა სიტყვებით:

**„ვინც ეკალს სთეს, ის ვარდს ვერ მოიმკის. რუსთაველს აქვს შესანიშნავი აფორიზმი „ბოროტსა სძლია კეთილმან არსება მისი გრძელია"... ჩვენმა ერმა იცის ტირილს სჯობს ბჭყალების გამოჩენა, რადგან ზოგჯერ თავდაცვისათვის ის საჭიროა. მაცხოვრისადმი საყვარული ქართველთა ჯვარი, რომელსაც პატარა ერი ამაყად ეზიდება".**

შთაბეჭდილება დიდი იყო, რასაც კომისიის წევრების ერთსულოვანი თანხმობა ადასტურებდა.

პროფესორი ანტონ მალოვი წამოდგა თურმე, ჩაახველა, აუდიტორიას კმაყოფილი იერით გადახედა და თქვა:

– მე არა მხოლოდ იმიტომ ვითხოვ სიტყვას, რომ მღვდელმონაზონი ამბროსის თემის ხელმძღვანელი ვარ და კმაყოფილი გახლავათ დღევანდელი დღდით. ავტორის მონდომება და ნიჭიერება თავისთავად ცხადია... მსურს პატივცემულო კომისიის წევრებს თავად მის ბრწყინვალებას, აკადემიის რექტორს მინდა ვუთხრა, რომ აღნიშნული თემა მღვდელმონაზონ ამბროსის ჩაეთვალოს მაგისტრის ხარისხად... გმადლობთ.

თქვა და რბილ სკამზე ისე დაჯდა, რომ კათედრაზე მდგომი ამბროსისათვის თვალი არ მოუშორებია.

არ მოელოდა ამგვარ აღიარებას და თანადგომას პროფესორისაგან. წამით დაიბნა, თუმცა მალევე მიხვდა რა ხდებოდა მის ირგვლივ და დაბალ ხმაზე თქვა.

– გმადლობთ. თუმცა მიმაჩნია, გარკვეული გადამუშავება თემას ესაჭიროება.

– ეს რთული ამოცანა არ არის – წამოიძახა კომისიის ერთმა წევრმა – არც დიდი დაბრკოლებაა თქვენთვის.

აკადემიის რექტორმა კომისიის წევრებს შეხედა. რომ შეემოწმებინა მათი განწყობა, მაგრამ უარყოფის ნატამალიც, რომ ვერ შეენიშნა, მაგიდაზე თითით დააკაკუნა და ყოველი შემთხვევისათვის იკითხა.

– იქნებ ვინმეს სურს განსხვავებული აზრის გამოთქმა! – გარკვეული პაუზის შემდეგ თქვა – თემას მაგისტრის ხარისხზე წარვადგენთ. მომეწონა, არ დავმალავ... მღვდელმონაზონი ამბროსი ამის ღირსია. თავად რას გვეტყვის?

კათედრაზე მდგომმა თავი წამოსწია და კმაყოფილმა მიუგო.

– მართალი გითხრათ, ამდენ მხარდაჭერას არ მოველოდი. ვმადლობ უფალს და თქვენ ამისთვის.... ვითხოვ დროს პასუხისათვის.

შემდგომი დღეები ამბროსი ფიქრობდა როგორ მოქცეულიყო. დარჩენილიყო ყაზანში, რომ გაეგრძელებინა თემის დამუშავება თუ პრაქტიკულ საქმიანობას შესდგომოდა.

გაზეთი **„ივერია"** ქართულ საზოგადოებას ამცნობს. **„როგორც ყაზანიდან გვატყობინებენ, წელს ყაზანის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში სწავლა დაუმთავრებია შემდეგ ქართველებს: მ. მირიანაშვილს საბეითლო ინსტიტუტში. გორგაძესა და მღვდელმონაზონ ამბროსის (ერისკაცობაში ხელაია) – სასულიერო აკადემიაში. მღვდელმონაზონს ამბროსის დაუწერია ჩინებული საკანდიდატო დისერტაცია „Борьба христианства с иссламом в Грузии". პროფესორ მალოვს უთხოვნია დისერტაციისათვის შეევსო ზოგიერთი თავი და წამოადგინა იგი მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად."**

გარკვეული მოსაზრებით, კავკასიის სამოსწავლეო ოლქის მზრუნველი და საქართველოს ეგზარხოსი წინასწარ განზრახვით არ აძლევდნენ სემინარია და აკადემია დამთავრებულებს თბილისში, ქუთაისსა და მსხვილ ქალაქებში სამუშაოს. მხოლოდ იშვიათად იღბლიანებს სწყალობდათ ბედი, მახლობელ ეკლესია-მონასტრებში დადგენა მიეღოთ.

ამბროსი იმ რიცხვში იყო, რომელსაც უფლის კეთილი სამსახური ჯერ სოჭში, შემდეგ კი სოხუმის საკათედრო ტაძარში მოუწია.

გაზეთი „ივერია" 1901 წ. 14 ივლისი.

**ბორის დავითაია**

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში*

# კოლხეთი – კაცობრიობის ცივილიზაციის აკვანი



იბერიადა იწყება კოლხეთით, კოლხეთშია ქართული და მსოფლიო ცივილიზაციის სათავე.
პროფ. *ლევან სანიკიძე*
"...დღეს მეცნიერების მიერ დადგენილი ყველა ხანა, ქვის ხანის გარდა, შექმნილი ყოფილა ზანანური ენის მატარებლის ხალხის ნამოღვაწარის საფუძველზე." – წერს *ბ. სოფია.*

ამერიკელი უფოლოგების აზრით, კაცობრიობამ **„ცხოვრება ისწავლა"** ძველი შუმერებისაგან, რომლებიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე 5500 წლის წინ ცხოვრობდნენ. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ მათ თიხის ფირფიტებზე ყველაფერი წერია ჩვენი წარმოშობის შესახებ და ყველაფერზე ამომწურავ ცნობებს ფლობდნენ. ამერიკელი მეცნიერთა აზრით შუმერთა ნახატებში ჩანს ობიექტი, რომელიც უცხოპლანეტელთა ხომალდია და, ეს უცხოპლანეტელები მართავდნენ შუმერებს.

ამ ნახატ-ასოებისგან გაირკვა, რომ შუმერებს თურმე ყველაფერი **„აუნაკის"** კულტურისგან ისწავლეს და მთელ მსოფლიოს გაუზიარეს. **„ანუ ნაკი"** ციდან დაშვებულს ნიშნავს და სწორედ ქალაქ ერედუში ციდან დაეშვა პირველი სამეფო ხელისუფლება.

სწორედ იმ პერიოდში 5500 წლის წინ და უფრო ადრეც, – წერს ბ.სოფია, – აღნიშნულ ტერიტორიებზე მეგრულ-ლაზურ (ქართულ) ენაზე მოლაპარაკე ხალხები ცხოვრობდნენ. ამას ბევრი სხვა მეცნიერიც ამტკიცებს. სწორედ უძველეს ქალაქ ურისთან ახლოს მდებარეობს მსოფლიოს უძველესი ძეგლი, მთვარის ღმერთის ნანას (მეგრელთა ღმერთი) ტაძარი, რომელიც აგებულია ჩვენ წელთა აღრიცხვამდე ოცი საუკუნით ადრე.

* * *

უკანასკნელ პერიოდში ცნობილმა უცხოელმა მეცნიერებმა (ასევე ცნობილია – ინტერნეტით) გამოაქვეყნეს მასალები სათაურით: **„უცნობი ქართველური ენა და მესოპოტამიაში ქართული დინასტიის მმართველობის 600 წლისთავი"**. ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი იური მოსენკისი წერს: **„ძველი აღმოსავლეთის ისტორიაში ცნობილია კასიტების (კოსების, კისების) ტომი. ამ ტომის სახელწოდებას ნიკო მარი უკავშირებდა ქართულ კაცი, მეგრულ-ჭანურ კასი, ბასკურ კისონ (წესით კიზონ) „კაცი"-სთან, აქ შეიძლება დაემატოს კიდევ სიტყვა კისონ ძველი აკვიგანიური წარწერებიდანაც (გასკონია)."**

კასიტური ენიდან დარჩა სულ ასამდე სიტყვა მაგრამ შედარება ქართველურთან და ბასკურთან გვაძლევს მნიშვნელოვან შედეგებს. ი. მოსენკისი ასკვნის: **„შეიძლება გარკვევით ვივარაუდოთ, რომ კასიტური ენა კიდევ ერთი უძველესი ენაა ქართველური ოჯახისა. მის მატარებელთა დინასტია მართავდა ბაბილონს XVIII საუკუნის შუაწლებიდან XII საუკუნის შუაწლებამდე ძველი წელთაღრიცხვით."**

აქედან და სხვა მრავალი მასალიდან, წყაროებიდან გამომდინარე, კეთდება უტყუარი ლოგიკური დასკვნა: ისევე როგორც სხვა გარკვეული ტერიტორიები, მესოპოტამია, ბაბილონი, ოთხი ათასი და უფრო დიდი ხნით ადრე კოლხურად იმართებოდა და მმართველობა ხდებოდა კოლხურ ენაზე.

ასევე მსოფლიოს მკვლევარებმა, არქეოლოგებმა, უკანასკნელ პერიოდში მოახდინეს (აგრეთვე ინტერნეტით) მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის აღმოჩენები. აქ, აღსანიშნავია ალექსანდრე ვოლკოვის ნაშრომი **„ჭიპლარის მთის სამლოცველოს გამოცანები"**.

1995 წელს თურქეთის სამხრეთ აღმოსავლეთით, გიობეკლი-ტეპეს მიდამოებში დაიწყო მსოფლიოში უძველესი სამლოცველოს გათხრები. იგი აგებული იყო ნეოლითის ეპოქაში. ვერავინ წარმოიდგენდა, რომ მონადირეები და **„ველურები ველურებს"** შორის – აგებდნენ ტაძრებს. განსაკუთრებით წარმოუდგენელია იქ აღმოჩენილი ძველებური სიმბოლოები, რომლებიც ძალიან გვანან დამწერლობას. მაგრამ მეცნიერები გაკვირვებულნი არიან, როგორ შეიძლებოდა 11 ათასი წლის წინ დამწერლობა ყოფილიყო?!

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სამლოცველო ტაძარი არქეოლოგებისათვის შენახული იყო იდეალურ მდგომარეობაში.

გიბეკლი-ტეპე ეს არის 15 მეტრამდე სიმაღლისა და დაახლოებით 300 მ. დიამეტრის შიშველი ბორცვი, რომელიც მდებარეობს თურქეთის სამხრეთ აღმოსავლეთით ტიგროსისა და ევფრატის სათავეებში. გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული (ხელმძღვანელი კლაუს შმიდტი) ექსპედიციის მონაწილეები გათხრებს შეუდგნენ 1995 წ. და აი, პირველი მოულოდნელობა – ნიადაგის თხელი ფენის ქვეშ იმალებოდა ქვის საუკუნე. გათხრების დაწყებისთანავე არქეოლოგებმა აღმოაჩინეს კედლები და კირქვის T-სებრი სვეტები. მათი ზედაპირი შემკობილი იყო რელიეფებით, რომლებზეც გამოსახული იყვნენ ცხოველები. იქ შეიქმნა ქვის საუკუნის **„მთელი ზოოპარკი"**. იმ ეპოქაში მსგავსი სილამაზისა და დახვეწილობის არაფერი არსებულა. ძეგლები მიეკუთვნებოდნენ ნეოლითის ადრეულ პერიოდს – ჩვ.წ.აღ-მდე დაახლოებით X ათასწლეულს. მაგრამ არქეოლოგიური მონაპოვრები მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება. გათხარეს ოთხი წრიული ნაგებობა, რომელთა კედლების გასწვრივ და ცენტრში აღმართული იყო თითქმის 4 ათეული მონოლითური სვეტი, რომელიც იწონიდა 20 ტ-მდე.

როგორც მკვლევარები აღნიშნავენ ყველაზე მსხვილი – ცენტრალური მონოლითები, მოგვაგონებენ სტოუნჰენჯის ქვის ფილებს – მაგრამ ისინი 6 ათასი წლით ხნიერია.

მეცნიერების შეფასებით, მიწაში ჩამარხულია კიდევ ორი ასეული ქვის სვეტი (ერთნახევარი ათეული ნაგებობა), ალბათ, ასევე შემკობილი რელიეფებით. მათ შორის შეიძლება აღმოჩნდეს უფრო შთამბეჭდავი ზომების ლოდები. ასე, ქვის სამტეხლოში ნაპოვნია დაუმთავრებელი მონოლითი 7 მეტრის სიმაღლისა და წონით 50 ტ.

როგორც არქეოლოგები ვარაუდობდნენ, აქ იყო ნეოლითის ეპოქის მსხვილი სამლოცველო, რომელიც მეცნიერებს აიძულებს ხელახლა გადაწერონ ადრეული ისტორიის მნიშვნელოვანი თავები. ჯერ აქამდე, არასოდეს მეცნიერებს არ უპოვიათ იმ ეპოქაში აღმართული სამლოცველოები, მაშინ, როცა ჩვენმა წინაპრებმა არ იცოდნენ არც მიწათმოქმედება და არც მესაქონლეობა, ითვლება რომ ნაგებობების დახვეწილი არქიტექტურა წარმოიშვა გაცილებით გვიან, როცა ადამიანმა დაიწყო გადასვლა ბინადრულ ცხოვრებაზე, – წერს ა. ვოლკოვი.

გიობეკლი-ტეპეში გაკეთებული აღმოჩენები ადასტურებენ, რომ ამ ტერიტორიებზე ადამიანები უკვე თანდათან გადადიოდნენ ბინადრულ ცხოვრებაზე, ალბათ, ისეთი საცხოვრებელი ადგილების შერჩევით, სადაც ღმერთები იყვნენ მეგობრულები, წყალობდნენ მათ.

კლაუს შმიდტის აზრით, ათასობით წლის შემდეგ წარმოიქმნება ნამდვილი სახელმწიფო, სადაც მმართველი იქნება მეფე, რომელიც თავს გამოაცხადებს ღმერთად. ასეთი არქიტექტურული კომპლექსის მშენებლობა, მიუთითებს ა.ვოლკოვი, აგრეთვე გვიჩვენებდა, რომ საზოგადოებაში მოხდა შრომის გადანაწილება. ნაგებობების განსაკუთრებულმა ანალიზმა დაარწმუნა მეცნიერები, რომ აქ მუშაობდნენ გამოცდილი ქვის მთლელები და კალატოზები – ადამიანები, რომლებიც დიდი ხნის მანძილზე დაკავებული იყვნენ ერთი და იგივე სამუშაოთი.

**„მხოლოდ ნადირობით,** – კ. შმიდტის აზრით – **ამდენი ადამიანი ვერ გამოიკვებებოდა." ადგილობრივ მაცხოვრებლებს უხდებოდათ, ალბათ, საკვები მცენარეების დამუშავება და დაჭერილი ცხოველების შენახვა – ასე იქმნებოდა სოფლის მეურნეობა.**

**მათ ალბათ მოუხდათ თავისი ცხოვრების წესის შეცვლა და სავების შეგროვებიდან მის მოყვანაზე გადასვლა. დროთა განმავლობაში ასეთივე „ველურებმა" ანატოლიაში დააარსეს პლანეტის ერთ-ერთი უძველესი ქალაქი – ჩატალგუიუკ".**

გეომეტრიული და ცხოველების ფიგურები უფრო მეტია, ვიდრე ორნამენტი. შესაძლებელია მათი გრაფიკული კომბინაციების უკან იმალება სიტყვები და ფრაზები. განსაჯეთ თავად: უზარმაზარი სვეტები, და მათზე გაკეთებულია სხვადასხვა ნიშნები: H, შემობრუნებული 90 გრადუსით, ოვალით, წრე, ჰორიზონტალური და ვერტიკალური. ჩვენი აზრით, უამრავი უტყუარი წყაროებით, აღნიშნულ ეპოქაში ან უახოლეს ახლო პერიოდში, კოლხებს ჰქონდა მსოფლიოში პირველი სახელმწიფოებრივი გაერთიანება, და ისინი დაწინაურებული რომ არ ყოფილიყვნენ, კარგად ორგანიზებული გაერთიანება არ ჰქონოდათ, ასეთ გრანდიოზულ სამლოცველო-ტაძრებს ვერ გააშენებდნენ (სხვა ხალხებს იმ ეპოქაში, ასეთი მშენებლობის წარმოება არ შეეძლოთ).

მთვარე, ჰორიზონტალური თამასა, მათ გვერდით – ძალიან ძველი სტილიზებული **„ალეფები"**: ნიშნები, რომლებშიც შეიცნობა ხარის თავები, მელიებისა და ცხვრების, დაგრაგნილი გველის, ობობის ფიგურები, – აღნიშნავს კ. შმიდტი.

აი ერთ-ერთი ფრაზის მაგალითი, რომელიც შედგენილია მსგავსი პიკტოგრამიდან. 33-ე სვეტზე ნიშნები აგებულია ჯაჭვურად: აქ ორჯერ გვხვდება დაგრაგნილი გველის, ობობისა და პატარა ცხვრის გარემოცვაში. **„ეს მოხატულობაზე მეტია,** – მიიჩნევს კ. შმიდტი. – **ეტყობა წარწერა შეიცავს მხოლოდ იმ ხალხისათვის გასაგებ რაღაც გზავნილს".**

როგორც ჩანს საქმე გვაქვს ინფორმაციის კოდირების უძველეს სისტემასთან. მეცნიერები ერიდებიან საუბარს დამწერლობის შესახებ, რადგანაც ეს ამსხვრევს ადამიანური კულტურის ჩამოყალიბების შესახებ დამკვიდრებულ წარმოდგენებს და მეტყველებს მხოლოდ იმაზე, რომ **„გიობეკლი-ტეპეს მშენებლები შეტყობინების შესადგენად და სხვა ადამიანებისთვის გადასაცემად სარგებლობდნენ რთული სიმბოლიკით"** (კ.შმიდტი). ამ სიტყვებიდანაც კარგად ჩანს, რომ დამწერლობასთან გვაქვს საქმე.

**„თუმცა საეჭვოა, რომ უახლოეს მომავალში საიმედოდ იქნას განმარტებული გიობეკლი-ტეპეს სიმბოლიკა",** – აღიარებს გერმანელი არქეოლოგი.

2006 წელს გამოცემული წიგნი **„ისინი აშენებდნენ პირველ ტაძრებს"**, ავტორმა შეძლო. **„მხოლოდ იმის აღნიშვნა, რომ ადამიანები, რომლებიც ცხოვრობდნენ გიობეკლიტეპეში ფლობდნენ მრავალფეროვანი ლექსიკის დიდ მარაგს, ეს, აშკარად მიგვანიშნებს კოლხური დამწერლობის ნიმუშებზე, რომლის მსგავსი 4 ათასი წლის წინანდელი „კოლხური ოქროდამწერლობა" გაშიფრა გია კვაშილავამ. ეს ახალი ისტორიული აღმოჩენა 11 ათასი წლის წინანდელი, უთუვოდ, კოლხური დამწერლობა, ახალი კვაშილავების გამშიფვრელ ხელებს ელოდება, რაც აძლევდა მათ ისეთი შეტყობინების შედგენის შესაძლებლობას, რომელიც, როგორც ჩანს, სცილდებოდა შემდგომში დამკვიდრებულ წარმოდგენებს."** – ამბობს ა. ვოლკოვი.

გიობეკლი-ტეპე ჭეშმარიტად განსაკუთრებული ადგილია. აქ ნეოლითის ხანის ადამიანმა პირველად გამოამჟღავნა თავისი ნიჭის მთელი სიძლიერე. აქ 11 ათასი წლის წინ გახდა ცხადი, რომ ადამიანი უაღრესად ნიჭიერია და მისი ტალანტები განსხვავებულ სფეროებში ვლინდება (ა. ავოლკოვი).

ახ.წ. აღ-მდე 9600-8800წ.წ. აღნიშნული ტერიტორიების ახლოს არსებობს დასახელებები: ნევალი-ჩორი, კაიიონიუ, ხალანჩემი, ჯერფ-ელ-ახმარ, ტელკვარამელი და ჩეიკჰასან. ზოგიერთი დასახლებაში გათხრებისას ნაპოვნია გიოკბელი-ტეპეში გამოყენებული ნიშნების გამოსახულებები: მინიატურული კურდღელი (ან მელა?) და გველები ქვაზე და სხვ.

სამი ათასი წლის შემდეგ, ახ.წ.აღ-მდე 6500 წლისათვის საბი-აბიადეს და სხვა დასახლების მაცხოვრებლები ლუქავდნენ თავიანთ განძსა და სურსათ-სანოვაგეს ბეჭდებით, რომლებზეც გამოსახული იყო ასო „M" მსგავსი სამი ზიგზაგისებურ ხაზით. კლაუს შმიდტის აზრით ეს სიმბოლო – ობობის თავისებური სტილიზებური გამოსახულება, ჩვენთვის ცნობილია გიობეკლი-ტეპედან. გვხვდება სხვა სამახსოვრო სიმბოლოც: მრავალფეხა, გველი, ხარი, ტახი. **„მე ვიტყოდი, პირველი, რაც გავიფიქრე: ამ ბეჭედზე ჩვენ კვლავ ვხედავთ კ. შმიდტმა კარგად იცის, რომ აღნიშნული წარწერის გაშიფვრა-წაკითხვა ურთულესი საქმეა, მაგრამ კარგად ხედავს, რომ დამწერლობიასთან გვაქვს საქმე. ისიც უნდა ვთქვათ, რომ უძველესი კოლხეთის სამფლობელო იყო, არამარტო აღნიშნული და მიმდებარე ადგილები, არამედ დღევანდელი თურქეთის მთელი ტერიტორია და ამდენად კოლხეთის ტერიტორიაზე კოლხები ცხოვრობდნენ და რა თქმა უნდა კოლხურ ენაზე ლაპარაკობდნენ და წერდნენ. ისიც ცნობილია, რომ კოლხებს დამწერლობა წარღვნამდელი ეპოქამდე ჰქონდათ".** გიობეკლი-ტეპეს იკონოგრაფია აღიარა შმიდტმა – წერს ა. ვოლკოვი (აქ გარკვევით ჩანს, რომ კ. შმიდტი დამწერლობაზე ლაპარაკობს – კ.შ.).

როგორც ჰაროლდ ჰაუპტმანი, გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტიდან, გერმანული ჟურნალის Bild der Wissenshaft ფურცლებზე წერს: **„მე ვფიქრობ, რომ გიობეკლი-ტეპეში უკვე მაშინ ფორმირებული იყო წარმოდგენები, რომელთაც შემდგომში ასახვა ჰპოვეს შუმერულ კულტურაში. ცხადია, შუმერული კულტურის წინა პერიოდის კულტურა მეგრულ-ლაზური კულტურა იყო".**

ქვის საუკუნის ადამიანები ამბობს ა.ვოლკოვი, – არ იყვნენ ბუნების უძლური მონები. მათ ისწავლეს მისი დარტყმების ატანა, დაპირისპირება. მხოლოდ მაშინ, როცა ადამიანმა დაიწყო მიწის დამუშავება, იგი კვლავ გახდა ბუნების მონა, მისი კლიმატური კაპრიზების მძევალი.

*(გაგრძელება იქნება)*



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბატონო ვანო, პოლიციაში ჭინჭრაქებმა ჩაიბუდეს!



**„ზოგსა კაცსა კაცი ჰქვია, ზოგსა კაცსა – კაცუნაო...“**

*(სპექტაკლიდან „ჭინჭრაქა“)*

ეს ზღაპარი არ გეგონოთ, თუმცა აქაც არიან ჭინჭრაქა, დევები და არჩილი... ეს – ზღაპრის მსგავსი სინამდვილეა, ხოლო ზღაპრულ პერსონაჟთა სახელების მიღმა რეალური ადამიანები იმალებიან. მაშ ასე, დავიწყოთ.

იყო და არა იყო რა, იდგა 2011 წელი. ვერ იყო ყველაფერი რიგზე საქართველოს სამეფოში, მაგრამ პოლიციის რეფორმა – შედგა. **„პოლიცია არის არა რეპრესიული მექანიზმი, არამედ სერვისი ხალხის სამსახურში!“** – ასე ეუბნება უცხოელ ჟურნალისტებს საქართველოს შს მინისტრი ვანო მერაბიშვილი – ავტორი მთავარი (თუ არა ერთადერთი!) რეფორმისა საქართველოში – საზოგადოების მენტალიტეტში, რომელშიც პოლიციელი მტრიდან გადაიქცა დამცველად.

თუმცა, როგორც ცნობილია, აშენება ძნელია, დანგრევა კი – ადვილი, კარგისათვის შექების დამსახურება ძნელია, ცუდისთვის კი ძაგება – ადვილი, ერთ კოვზ ძმარსაც ხომ შეუძლია მთელ ქვევრში ღვინის დაძმარება... **„ვარდების რევოლუციის“** შემდეგ ძალოვანი სტრუქტურების ცნობილი კანონსაწინააღმდეგო ქმედებები, დროდადრო, თუ სრულიად არ აქარწყლებდა ქართული პოლიციის რეფორმირებისთვის გაწეულ შრომას, სახელს მას ძლიერ უტეხდა (კონკრეტულ ფაქტებს არ ჩამოვთვლით – ისინი საყოველთაოდ ცნობილი და ტრაგიკულია, ზოგმა კი სტრასბურგსაც მიაღწია).

ერთი დრო ეს ტალღა ოდნავ ჩაცხრა, მაგრამ ახლა შეიმჩნევა მისი ახალი აზვირთება. ხშირად გვაწვდიან ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ პოლიციელმა უფლებამოსილების გადამეტება ისევ დაიწყო და სამართალდამცველიდან სამართალდამრღვევად გადაიქცა. და, თუნდაც, ეს ადამიანთა სიცოცხლეს არ ემუქრებოდეს, ჩვენ ვალდებულნი ვართ, დროულად ვთქვათ ამ შემთხვევების შესახებ, რათა არა მარტო საზოგადოება დავიცვათ პოლიციელთა თვითნებობისგან, არამედ თავად პოლიციაც დავიცვათ სახელის გამტეხი კოლეგებისაგან!

საქმე ისაა, რომ მას შემდეგ, რაც ართუ დიდი ხნის წინათ საქართველოს კანონმდებლობამ ფორმიან ადამიანებს ორმაგი იმუნიტეტი მიანიჭა, ხელშეუხებლობით გათამამებულმა ზოგიერთმა პოლიციელმა თავი საბოლოო ინსტანციის ჭეშმარიტებად წარმოიდგინა და ცინიზმით ლახავს ადამიანთა უფლებებს, თანაც (რაც ყველაზე დიდი საშინელებაა!) ამას აშკარა სიამოვნებით აკეთებს. ამით დაცვის პოლიციის თანამშრომლებიც სცოდავენ, მაგრამ ყველაზე ხშირად – პატრულის ინსპექტორები, არადა, პატრული საქართველოში პოლიციის რეფორმის მთავარი სიმბოლოა.

**„მადლობა პატრულს!“** – ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ ლამაზ ფორმებში გამოწყობილი, მოწესრიგებული, თავაზიანი ჭაბუკებისა და გოგონების ქებით ვერ ვძღებოდით, რომლებიც ყოველ წამს მზად არიან ჩვენს დასახმარებლად, რომელთა წყალობით დღეს ქუჩაში ავტომანქანებს აღარ ვკეტავთ, აღარ გვეშინია მობილური ტელეფონების მოპარვის და როცა ჩვენი შვილები შინ მოსვლას აგვიანებენ.

მაგრამ დღეს საქართველოში საზოგადოებასა და პატრულს შორის განხეთქილება თუ ჯერ კიდევ არა, საგრძნობი ბზარი უკვე გაჩნდა: **„ნებისმიერი მიზეზით და უმიზეზოდაც გვაჯარიმებენ!“** – ყოველდღიურად სულ უფრო ხმამაღლა დრტვინავენ უკმაყოფილო მოქალაქეები. **„ჯარიმების გეგმა აქვთ, ურიცხვი შოუებისაგან დაცარიელებული ხაზინა შესავსებია, არჩევნები ხომ კარზეა მომდგარი და ხელისუფლებაში დასარჩენად ფული სჭირდებათ!“** – პასუხობენ **„ბოროტი ენები“**.

(2011 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მუხლში **„სხვა შემოსავალი“** მართლაც არის პუნქტი – 90 მილიონი ლარი, რომლის შევსებას საქართველოს მთავრობა საჯარიმო სანქციების სახით იმედოვნებს. საინტერესოა, როგორ შეიძლება წინასწარ ასეთი სიზუსტით გამოთვალო კანონდარღვევათა შესაძლო რაოდენობა და ჯარიმების შედეგად მიღებული თანხა?! და თანაც, ის კანონში ჩადო, როგორიცაა სახელმწიფო ბიუჯეტი...)

**„რას ამბობთ,** – ედავებიან **„ყოვლისმცოდნეები“, – ყოველი გამოწერილი ჯარიმისთვის საპატრულო პოლიციელის ხელფასს პროცენტი ემატება!“** ასეთი საუბრები ძალზე დამთრგუნველია, მაგრამ ჩვენ გვსურს, საქართველოს დედაქალაქსა და სხვა ქალაქ-სოფლებში თავი საკუთარ სახლში, და არა – როგორც უცხო ქვეყანაში ვიგრძნოთ და არ ვემალოთ ჩვენზე მონადირე პოლიციელებს – **„გაი“**-სა და **„პპს“**-ის ღირსეულ შთამომავლებს!

ამ პუბლიკაციაში მხოლოდ ერთ – ყველაზე **„უწყინარ“**, მაგრამ დამახასიათებელ მაგალითს მოვიყვანთ: მძღოლმა (მას პირობითად არჩილი დავარქვათ) ბენზინგასამართი სადგურიდან გამოსვლისას უსაფრთხოების ღვედი იმ მომენტში შეიკრა, როდესაც ავტომობილი უკვე გზის სავალ ნაწილზე იმყოფებოდა. საპირისპირო მიმართულებით მოძრავმა პატრულმა ეს შორიდანვე შენიშნა, მკვეთრად მოაბრუნა მანქანა და ხსენებულ ავტომობილს ისე გამოედევნა, როგორც პოლიციურ ტრილერებში, ოღონდ – ფარულად, სიგნალის გარეშე (ალბათ, იმის იმედით, რომ მოძრაობისას მძღოლი რაიმე უფრო ძვირად დასჯად დარღვევას ჩაიდენდა!).

მაგრამ გარკვეული ხნის შემდეგ არჩილმა უკანა ხედვის სარკეში შენიშნა **„კუდში ადევნებული“** საპატრულო ეკიპაჟი და მიზეზის გასაგებად მანქანა თვითონ გააჩერა. ავტომობილთან მისულმა საპატრულო პოლიციელმა (რომელმაც თავი არ წარუდგინა, რაც უკვე მანკიერ ტრადიციად იქცა!) მას საბუთები მოსთხოვა და შეკითხვაზე – კი მაგრამ, რაშია საქმე? – უპასუხა, რომ ის უსაფრთხოების ღვედების გამოუყენებლობისთვის არის დაკავებული.

კიდევ ერთხელ მივაქცევთ მკითხველის ყურადღებას: არჩილმა უსაფრთხოების ღვედი ბენზინგასამართიდან გამოსვლისას შეიკრა და პატრულის მიერ გაჩერების მომენტში შეკრული ჰქონდა (ისევე, როგორც მის მგზავრს – ქალაქის სტუმარს, ერთ-ერთი დასავლური გაზეთის კორესპონდენტს, რომელმაც, როგორც ნებისმიერმა უცხოელმა, ავტომობილში ჩაჯდომისთანავე ინსტინქტურად შეიკრა ღვედი).

**განვაგრძოთ**: პოლიციელი-ინკოგნიტო საპატრულო ავტომობილიდან დიდხანს არ ბრუნდებოდა – დაახლოებით, 15 წუთი... არჩილის მგზავრს (უცხოელ ჟურნალისტ ქალს) ნერვიულობა დაეტყო: რა მოხდა, რატომ დაგვაკავა პოლიციამ, თანაც, ამდენი ხნით?! მაგრამ არჩილი ვერაფერს პასუხობდა – როგორც კი ავტომობილის კარს აღებდა, უკან მდგომი პატრულის ავტომანქანიდან მეგაფონით მრისხანე შეძახილი ისმოდა: **„მანქანიდან არ გადმოხვიდეთ!“**

ბოლოს და ბოლოს, პატრულის ავტომობილიდან ინკოგნიტო-პოლიციელის მეწყვილე გადმოვიდა და არჩილის ავტომანქანისკენ გაემართა. პატრულ-ინსპექტორმა, გვარად ჩინჩრიკი (ასეა მითითებული საჯარიმო ქვითარზე), არჩილს 40 ლარის ჯარიმის ქვითარი გაუწოდა და საბუთები დაუბრუნა, მათ შორის – მოწმობა, რომელიც ადასტურებს, რომ დაჯარიმებული არის საქართველოს სამხედრო ძალების ვეტერანი, მე-2 ჯგუფის ომის ინვალიდი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული ყველა უფლებითა და შეღავათით სარგებლობს. **„არც ეს გაითვალისწინეთ?“** – არჩილმა ინსპექტორ ჩინჩრიკს შეკითხვა ძალიან ჩუმად დაუსვა: დღისით-მზისით ასეთი აღმაშფოთებელი უსამართლობისაგან გაოგნებულმა, უფრორე კი – იმისათვის, რომ უცხოელ ჟურნალისტს, რომელმაც საქართველოში ყოფნისას ცოტაოდენი ქართული ისწავლა, გამგზავრების წინ დადებითი შთაბეჭდილება არ წახდენოდა... **„არ გავითვალისწინე!** – ნიშნისმოგებით უპასუხა ჩინჩრიკმა, – **მე მოქმედი ოფიცერი ვარ და სამხრეებს ვატარებ!“** – გაუგებარია, რატომ გაუსვა ხაზი მან. თუმცა, გასაგებია, რატომაც: პოლიციელს ალბათ უნდოდა, ვეტერანზე თავისი ძალაუფლება ეჩვენებინა და მისთვის გული ეტკინა, მაგრამ არა მგონია, მიზნისთვის მიეღწია. არჩილმა ხომ საკუთარი მეგობრების სიკვდილი ნახა, რომლებმაც მის ხელში დალიეს სული, და ღმერთმა დაიფაროს ახალგაზრდა ჩინჩრიკი, ცხოვრებაში თუნდაც ამისი მეათედი გადაიტანოს!..

**შეკითხვა**: განა ოფიცერი ჩინჩრიკი და მისი მეწყვილე იმ პოლიციის წარმომადგენლები არიან, რომლითაც ორი კვირის წინათ პრეზიდენტი სააკაშვილი გაეროს მაღალი ტრიბუნიდან ამაყობდა?! განა იმ ქვეყნებში, რომლებსაც საქართველო ძალიან ცდილობს, დაემსგავსოს, თავიანთ ვეტერანებს ასე ექცევიან?! განა ის საპატრულო ეკიპაჟი ხალხს ისე ემსახურება, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრ მერაბიშვილს სურს? განა სახიფათო არ არის, ძალაუფლება მისცე უფროსი ლეიტენანტი ჩინჩრიკისა და მისი მეწყვილის მსგავს ადამიანებს? წარმოგიდგენიათ, რა საქმეებს დაატრიალებენ ეს **„ჭანჭიკები“,** როცა დიდ ვარსკვლავებს – თანამდებობებს მიაღწევენ?! იქნებ შსს-ში საკადრო ცვლებისა და პატრულის სრული კომპიუტერიზაციის დაწყებისას მინისტრმა მერაბიშვილმა მის მიერ მართული ძალოვანი სტრუქტურის ქვედა რგოლებში არსებული სერიოზული პრობლემებიც გაითვალისწინოს? თუ ამ პრობლემებს ახალი შს მინისტრი მიხედავს? რადგან, გავრცელებულ ხმებს თუ დავუჯერებთ, ბატონ მერაბიშვილს, კვლავაც მინისტრის რანგში, მალე წესრიგის დამყარება სხვა ძალოვან უწყებაში – საქართველოს თავდაცვის სამინისტროში მოუწევს. (თუ ბატონ მერაბიშვილს მართლაც გადაიყვანენ საქართველოს თავდაცვის მინისტრად, სადაც ბოლო ხანებში მკვლელობები და თვითმკვლელობები გახშირდა, ალბათ, ღირს, რომ ქართულ არმიაში პირად შემადგენლობასთან აღმზრდელობითი მუშაობის ოფიცრების ინსტიტუტის დაბრუნებაზე იფიქროს).

პატივცემულო მკითხველო! როგორც იცით, ყველა წამალს აქვს თავისი ინსტრუქცია, მაგრამ, გარდა ამისა, არსებობენ ექიმები, იმიტომ, რომ შეუძლებელია ავადმყოფთა ინდივიდუალური თავისებურებებისა და დაავადების სახესხვაობათა გათვალისწინება. არსებობს კანონი, მაგრამ არის კიდევ სასამართლო, იმიტომ, რომ შეუძლებელია ცხოვრება, მთელი მისი მრავალფეროვნებით, კოდექსის **„პროკრუსტეს სარეცელზე“** დაატიო. არსებობს სათვალთვალო კამერები, მაგრამ არსებობენ საპატრულო პოლიციელებიც – რობოტები კი არა, ცოცხალი ადამიანები! არის კანონის სიტყვა, და კანონის სულისკვეთება – შინაგან საქმეთა მრავალნაცადმა მინისტრმა ყველაზე უკეთ უწყის, რომ სურვილის შემთხვევაში ნებისმიერი კანონი შეიძლება აბსურდად გადააქციო! როგორც ამ კონკრეტულ შემთხვევაში: არჩილი არ მალავს, რომ უსაფრთხოების ღვედი მაშინ შეიკრა, როცა ავტომობილი უკვე მოძრაობდა. მაგრამ რა პრინციპით მიიჩნევა ის, რასაც საპატრულო პოლიციელი (არა ღმერთი, არამედ უბრალო მოკვდავი) ამბობს, აპრიორი საბოლოო განაჩენად, ხოლო მძღოლის ნათქვამი – სიცრუედ?! არსებობს კი რეალური მექანიზმი, რომლითაც მძღოლს თავისი სიმართლის დამტკიცება შეუძლია? ანდა რატომ უნდა ამტკიცოს – იქნებ სწორედ პოლიციელმა უნდა დაუმტკიცოს მძღოლს, რომ ის დამნაშავეა, და ამისათვის უდავო მტკიცებულებები წარუდგინოს?!

ამ კითხვაზე პასუხის მისაღებად არჩილმა ქალაქის საპატრულო სამსახურში – **„022“**-ში დარეკა: **„რა თქმა უნდა, შეგიძლიათ მოხვიდეთ და საჩივარი დაწეროთ, მაგრამ არ გირჩევთ... მხოლოდ დროს დაკარგავთ, იმიტომ, რომ პატრული-ინსპექტორი მართალია – ღვედი მანამდე უნდა შეგეკრათ, სანამ მოძრაობას დაიწყებდით!“** – ახალგაზრდა ქალის ხმით უპასუხა მორიგე დისპეტჩერმა. საწყენია, და მთავარი აქ 40 ლარი როდია, თუმცა საქართველოში პოლიციელის ხელფასი ნებისმიერ პენსიას ბევრად აღემატება, რომლის ნახევარსაც სწორედ ეს 40 ლარი შეადგენს...

ბატონო მინისტრო! მერწმუნეთ – საქინფორმში ამ ბოლო ხანებში ბევრად უფრო საგანგაშო ინფორმაცია შემოდის, ვიდრე ზემოაღნიშნული **„უწყინარი“** ფაქტი! ამბობენ, რომ შსს-ში ეფექტიანად მუშაობს დამსჯელი ორგანო – გენერალური ინსპექცია, მაგრამ იქნებ სამინისტროში აღმზრდელობითი ორგანო – პირად შემადგენლობასთან მუშაობის დეპარტამენტი, დაგებრუნებინათ? იმ ადამიანთა აღზრდაში დაშვებული ნაკლოვანებები, რომლებიც მერე პოლიციელები გახდნენ, შემდგომში შესაძლოა, სრულიად მახინჯი, საზოგადოებისთვის საშიში ფორმებით გამოვლინდეს!

დარწმუნებული ვარ, პატრულ-ინსპექტორ ჩინჩრიკსა და მის მეწყვილეს არ უნახავთ გუგა ნახუცრიშვილის პიესის მიხედვით მიხეილ თუმანიშვილის მიერ დადგმული სპექტაკლი **„ჭინჭრაქა“,** რომლის პრემიერა 1963 წელს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის მცირე სცენაზე შედგა. შეგახსენებთ, იმ სპექტაკლში, რომელიც თეატრალური ხელოვნების მსოფლიო საგანძურს მიეკუთვნება, ლეგენდარული ქართველი მსახიობები თამაშობდნენ – გოგი გეგეჭკორი, რამაზ ჩხიკვაძე, სერგო ზაქარიაძე, ეროსი მანჯგალაძე, კახი კავსაძე, მედეა ჩახავა, ზინა კვერენჩხილაძე, კარლო საკანდელიძე, ბელა მირიანაშვილი, რეზო ჩხაიძე, სალომე ყანჩელი, გიგოლა თალაკვაძე, ელდარ სახლთხუციშვილი და ნანა ფაჩუაშვილი. იცით, რატომ?! იმიტომ, რომ იმ სულაც არასაბავშვო ზღაპარში ლაპარაკია არა ცხოველებსა და ზღაპრულ დევებზე, არამედ ადამიანებზე, რომლებიც ცხოველებივით და ურჩხულებივით იქცევიან! მაშ, ხომ არ გადაიქცევიან დღეს ჩვენი პოლიციელები დევებად?! თუმცა, თუ 2004 წლიდან დღემდე მომხდარ ყველა გახმაურებულ ფაქტს გავიხსენებთ, შესაძლოა, დავასკვნათ, რომ ზოგიერთმა მათგანმა ამგვარი მუტაცია უკვე დიდი ხანია, განიცადა...

თანამოქალაქენო! ყოველი ჩვენგანი, ვინც პოლიციის მხრიდან ნებისმიერ დარღვევას შეეუგება და არ განაცხადებს, ამაში დამნაშავე ნაწილობრივ თვითონ იქნება! ამით ჩვენ, პრაქტიკულად, ვაქეზებთ სხვადასხვა ჯურის **„ჭინჭრაქების“** კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს! ყველა, ვინც პოლიციელთა დარღვევებს ფარავს, ქართული პოლიციის მეგობრები კი არა, მტრები არიან! ისინი თავიანთი მონური პოზიციითა და მოქალაქეობრივი გულგრილობით ხელს უწყობენ რეფორმირებული პოლიციის დაცემას შევარდნაძისდროინდელ დანაშაულებრივ-კორუმპირებულ მილიციამდე!

კოლეგებო! როდესაც სკანდალურ პუბლიკაციებს წერთ პოლიტიკურ პოლიციაზე – კუდ-ზე, სოდ-ზე, დაზვერვაზე თუ კონტრდაზვერვაზე (სტრუქტურებზე, რომლებიც ყველა დროსა და ნებისმიერი ხელისუფლების ხელში ამ ხელისუფლების მორჩილი იარაღი იყვნენ), ნუ დაივიწყებთ პატრულს – უსაფრთხოებისა და მშვიდი ცხოვრების გარანტს საქართველოს ყველა მოქალაქისათვის, პოლიტიკური ორიენტაციის, რელიგიური, ეთნიკური თუ სხვა კუთვნილების მიუხედავად. ამისათვის ქართველი ხალხი თავის პოლიციას წელიწადში 320 მილიონ დოლარს უხდის (2011 წლის ბიუჯეტის 8%).

**„საქინფორმი“** ამიერიდან მუდმივად გააშუქებს სხვადასხვაგვარ – თუნდაც ნაკლებად სკანდალურ და **„გაყიდვად“** კანონდარღვევებს, აგრეთვე, ობიექტურად გაცნობებთ შსს-ის ხელმძღვანელობის მიერ მათი აღმოფხვრისათვის მიღებული ზომების შესახებ. მოგვწერეთ – საკონტაქტო ინფორმაცია მითითებულია ჩვენს საიტზე **www.saqinform.ge** (იხ. **„ჩვენ შესახებ“** და **„კონტაქტი“**), აგრეთვე, გაგვიზიარეთ თქვენი მოსაზრებები პუბლიკაციათა კომენტარებში.

ბატონო მინისტრო! რაც კი შეეხება პატრულის კომპიუტერიზაციას – მართვის მოწმობის გარეშე მგზავრობის ნებართვას, რომელიც ზემოთ გაკვრით ვახსენეთ და რომლის ანონსი ა.წ. 30 სექტემბერს ტელევიზიით პირადად წარმოადგინეთ, ჩვენს მკითხველებს ამასთან დაკავშირებით უკვე გაუჩნდათ შეკითხვები:

1) მოგეხსენებათ, რომ თუნდაც ყველაზე მოწინავე ინტერნეტპროვაიდერების ქართულ ინტერნეტმომსახურებას ჯერჯერობით სრულყოფილს ვერ დაარქმევ (და, საერთოდ, არსებობს კი მსოფლიოში 100-პროცენტიანი ინტერნეტკავშირი?!). თუკი უსადენო ინტერნეტი, რომლის მეშვეობითაც საპატრულო პოლიციელების პორტატული ან ბორტკომპიუტერები შსს-ის მონაცემთა ცენტრალურ ბაზას უკავშირდება, ტექნიკური მიზეზებით მწყობრიდან გამოვა, ასეთ შემთხვევებში როგორ მოხდება მძღოლის ვინაობის იდენტიფიცირება? გახსოვთ, 2008 წლის აგვისტოში როგორ **„გაამართლეს“** ჩვენი სამხედროების იმედი ფიჭური კავშირგაბმულობის კერძო კომპანიებმა, მათ შორის – „**Geocell**“-მა, რომელიც დღესაც მონოპოლიურად უზრუნველყოფს პატრულის კავშირს?

2) გამორიცხულია კი შეცდომები პატრულ-ინსპექტორისთვის ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მძღოლების მიერ დასახელებული ქართული და არაქართული (ხშირად – არცთუ მარტივი!) გვარ-სახელების კომპიუტერში ლათინურად შეყვანისას? რას ითვალისწინებს ამ შემთხვევაში ინსტრუქცია – პოლიციელმა ფანჯრიდან უნდა მიაწოდოს კომპიუტერი მძღოლს, რათა მან თვითონ აკრიფოს საკუთარი მონაცემები, თუ მძღოლი უნდა გადმოვიდეს ავტომობილიდან და გადაჯდეს პატრულის ავტომობილში, სადაც დამონტაჟებულია ბორტკომპიუტერი?

3) რას ითვალისწინებს ინსტრუქცია, თუკი პატრულ-ინსპექტორს მოეჩვენება, რომ კომპიუტერის მონიტორზე გამოჩენილი ფოტო იდენტიფიცირებად მოქალაქეს არ ჰგავს? ადამიანის გარეგნობა ხომ მართლაც შეიძლება ბუნებრივი მიზეზებით (ასაკი, სხვანაირი ვარცხნილობა, სათვალე), ავადმყოფობის ან უბედური შემთხვევის შედეგად შეიცვალოს? არადა, გარდა ამისა, არსებობენ ტყუპები, **„ორეულები“** ანდა, უბრალოდ, ერთმანეთის მსგავსი ადამიანები – როგორ მოიქცევა ამ შემთხვევებში პატრული-ინსპექტორი?

4) თუკი მართვის მოწმობის ტარება სავალდებულო აღარ არის, მაშ რატომ უნდა ვიქონიოთ ავტომანქანის ტექპასპორტი? მინდობილობები დიდი ხნის წინათ გააუქმეთ და ტექპასპორტში შესაძლოა ნებისმიერი გვარი ეწეროს, რომელსაც მძღოლთან არანაირი კავშირი არ აქვს, მით უმეტეს, რომ ავტომობილის იდენტიფიცირებისთვის ტექპასპორტი საჭირო არ არის – მასზე ფირფიტაა VI -კოდით და, გარდა ამისა, ძარა და ძრავაც ცალ-ცალკეა მარკირებული;

5) თუკი საქართველოს შსს-ის ინტერნეტპროვაიდერის სერვერი ტექნიკური მიზეზით მწყობრიდან გამოვა, ანდა, როგორც 2008 წლის აგვისტოში, ომის მერე მოხდა, საქართველოს ინტერნეტქსელებზე ჰაკერული კიბერთავდასხმა განხორციელდება, ან შსს-ის მონაცემთა ცენტრალური ბანკის დომენს ახალი კომპიუტერული ვირუსი დააზიანებს, ხომ არ გამოიწვევს ეს კომპიუტერიზებული პატრულის და მთელი რეფორმირებული ქართული პოლიციის სრულ პარალიზებას? ბატონო მინისტრო, გაითვალისწინეთ ყველა ფორსმაჟორული ან რუტინული **„მინორული“** გარემოებები, როცა გააფართოეს ინტერნეტხელმისაწვდომობა შსს-ის ცენტრალურ მონაცემთა ბაზასთან? და თუ ამით ისარგებლებენ დამნაშავეები?! ოღონდ არ თქვათ, რომ დღეს, „**WikiLeaks**“-ის ეპოქაში, როცა ტეხავენ **„ცე-რე-უ“**-სა და პენტაგონის მონაცემთა ბაზებს, მსგავსი რამ შეუძლებელია – გუშინ, როგორც იცით, თვით პრეზიდენტ სააკაშვილის გვერდიც კი **„გატეხეს“** **Facebook**-ში!

6) რა დაუჯდებათ ქართველ გადასახადის გადამხდელებს პოლიციის სრული კომპიუტერიზაცია და ხომ არ არის უფრო მარტივი, რომ მძღოლმა უწინდებურად იქონიოს თან პატარა პლასტიკური **ID**-მოწმობა – მართვის მოწმობა? როგორც ცნობილია, პოლიციელები დასავლეთის ბევრ მოწინავე ქვეყანაშიც კი არ პატრულირებენ კომპიუტერებით. ისინი, როგორც ყველა ოპერმუშაკი, რაციებით არიან აღჭურვილი, რომლებითაც თავიანთ სპეცსიხშირეზე მუშაობენ და მონაცემთა ცენტრალურ ბანკს უკავშირდებიან, საიდანაც საჭირო ინფორმაციას ელვის სისწრაფით დისპეტჩერისგან იღებენ.

7) კომპიუტერები სკოლებში, კომპიუტერები პატრულში – ბატონო მინისტრო, ხომ არ გექმნებათ შთაბეჭდილება, რომ ამ რაოდენობის კომპიუტერების გაყიდვით ვიღაცას ძალიან ბევრი ფული აშოვნინეს?

**საქინფორმის მთავარი რედაქტორი**

**არნო ხიდირბეგიშვილი**

# მსოფლიოს დიდი ფეხბურთელები

მას შემდეგ, რაც მე-19 საუკუნეში ინგლისელებმა აღადგინეს სპორტის უძველესი სახეობა, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში იბადებოდნენ დიდი ფეხბურთელები, რომლებიც ქმნიდნენ მთელ ეპოქას და მათი მიღწევები ოქროს ასოებით იწერებოდა პლანეტის სპორტულ ისტორიაში. ისინი გვხიბლავდნენ თავიანი საფეხბურთო საშემსრულებლო ოსტატობით. ეს ხდებოდა მაშინ, როცა ფეხბურთი ის-ის იყო იდგამდა ფეხს მსოფლიოში და ჯერ კიდევ არსად არ იყო აშენებული, არამც თუ გიგანტური, არამედ ათასმაყურებლიანი სტადიონებიც კი. მაგრამ სწორედ მათმა ოსტატობამ დაუდო სათავე სპორტის ამ ულამაზეს სახეობას, რომელსაც დღეს ლამის მთელი მსოფლიო ეთაყვანება. მას შემდეგ უამრავი დიდი ფეხბურთელი მოევლინა სამყაროს, მაგრამ ჩვენი რუბრიკა მაინც წინ აყენებს იმ დიდი სპორტსმენების ხსოვნას, რომელთაც მსოფლიოს განახლებული სახით უძღვნეს ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე დიდი ხნით ადრე ჩინეთში შობილი სანახაობრივი სპორტი – ფეხბურთი! მალე დაინტერესებულ პირთა ვიწრო წრეში აღიარებული ეს სანახაობა მასიურ ღონისძიებად იქცა, რამაც წარმოქმნა შესაბამისი სპორტული ბაზების აშენების აუცილებლობა. სწორედ წარსულის დიდი ფეხბურთელების დამსახურებაა, რომ გვაქვს შესანიშნავი სპორტული კომპლექსები "მარაკანა", "აცტეკა", "ნოუ კამპი", "სანტიაგო ბერნაბეუ", "ლუჟნიკები", "ოლიმპიაშტადიონი", "ჰემპდენ პარკი" და სხვა და სხვა. სწორედ ამ სპორტულ "მონსტრებს" ავსებენ პირთამდე დღევანდელი ფეხბურთის "გრანდები", რომლებიც მონდომებითა და წარმატებით აგრძელებენ თავიანთი დიდი წინაპრების საქმეებს.
ამ რუბრიკით ჩვენ გაგაცნობთ მსოფლიოს ფეხბურთის პიონერებსაც და იმ დიდ თანამედროვე ფეხბურთელებსაც, რომლებიც ქმნიან მსოფლიო ფეხბურთის ისტორიას.

## რომარიო და სოუზა ფარია

დაიბადა 1966 წლის 29 იანვარს, ბრაზილიაში.

თამაშობდა საფეხბურთო კლუბებში **"ვასკუ და გამა"** (ბრაზილია), **პსვ "ეინდჰოვენი"** (ჰოლანდია), **"ბარსელონა"** (ესპანეთი), **"ფლამენგო"** (ბრაზილია), **"ვალენსია"** (ესპანეთი), **"ფლამენგო", "ვასკუ და გამა"** (ბრაზილია).

ყველა წინაპირობა არსებობს იმის ასაღიარებლად, რომ რომარიო მეოცე საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი იყო. მან თავისი ბრწყინვალე კარიერა ბრაზილიის საფეხბურთო კლუბ **"ვასკუ და გამაში"** დაიწყო, მაგრამ საფეხბურთო კარიერასთან ერთად დაიწყო ამ სპორტსმენთან დაკავშირებული სკანდალების სერია. პირველი გახმაურებული სკანდალი გახლდათ ის, რომ რომარიო მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე ბრაზილიის ახალგაზრდული ნაკრებიდან გამოაძევეს სპორტული რეჟიმის დარღვევის გამო. შესანიშნავად იასპარეზა რა 1988 წელს სეულის ოლიმპიურ თამაშებზე, რომარიოს ევროპული ფეხბურთის **"მამებმა"** დაადგეს თვალი და იგი **"ეინდჰოვენმა"** შეიძინა. მას უკვე აქ შეექმნა სერიოზული პრობლემები გუნდის მწვრთნელებთან და კოლეგა ფეხბურთელებთან, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია რომარიოსათვის, რომ ჰოლანდიის ჩემპიონატებში ხუთ სეზონში მონაწილეობისას 98 გოლი გაეტანა. 1994 წელს რომარიო სამ მილიონ ფუნტ სტერლინგად შეიძინა ესპანეთის კლუბმა **"ბარსელონამ"**, მალე კი იგი ბრაზილიის ნაკრებში გამოიძახეს 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე მონაწილეობის მისაღებად. ამ ჩემპიონატში ბრაზილია მსოფლიო ჩემპიონი გახდა, რომარიომ კი ხუთი გოლი გაიტანა. მსოფლიო ჩემპიონატის დასრულების შემდეგ რომარიო კვლავ მშობლიურ ბრაზილიას დაუბრუნდა და **"ფლამენგოში"** თამაშობდა, აქტიური საფრეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ კი მწვრთნელობას მოჰკიდა ხელი.

## რონალდო ლუის ნაზარიო დე ლიმა

დაიბადა 1976 წლის 22 სექტემბერს, ბრაზილიაში.

თამაშობდა საფეხბურთო კლუბებში **"სან კრისტოვაო", "კრუზეირო"** (ბრაზილია), **პსვ "ეინდჰოვენი"** (ჰოლანდია), **"ბარსელონა"** (ესპანეთი), **"ინტერი"** (იტალია).

ფეხბურთის სპეციალისტები ერთხმად აღიარებდნენ, რომ ოთხმოცდაათიანი წლების ევროპულ ფეხბურთში არავინ ისე არ იმსახურებდა გულშემატკივრების სიყვარულსა და იქცევდა პრესის ყურადღებას, როგორსაც რონალდო. 1996-1997 წლებში, იგი, ფიფას ვერსიის შესაბამისად, აღიარებული იყო ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად. ლეგენდარული ბრაზილიელი ფეხბურთელები ზიკო და ტოსტაო რონალდოს ახალგაზრდა პელესაც კი ადარებდნენ. რონალდო რიო-დე ჟანეიროს ღარიბულ უბანში მცხოვრებ ოჯახში გაიზარდა. მან ვერ გაიარა საგამოცდო შემოწმება **"ფლამენგოში"** და ჩაირიცხა ნაკლებად ცნობილ კლუბ **"სან კრისტოვაო"**-ში, სადაც იგი ცნობილმა ბრაზილიელმა ფეხბურთელმა, ბრაზილიის სამოცდაათიანი წლების ნაკრების ვარსკვლავმა ჟაირზინიომ შეამჩნია. ფეხბურთის ვეტერანმა ამ დამწყებ სპორტსმენში პერსპექტიული თავდამსხმელი შეამჩნია და მისი რეკომენდაციით რონალდო ქალაქ ბელუ-ორიზონტეს გუნდმა **"კრუზეირომ"** შეიძინა. პირველივე სეზონში რონალდომ 54 მატჩში 54 გოლი გაიტანა და ამის შემდეგ გადავიდა ჰოლანდიის **პსვ "ეინდჰოვენ"**-ში. 1996 წელს კი რონალდო ესპანეთის **"ბარსელონამ"** შეიძინა 12,9 მილიონ ფუნტ სტერლინგად. თავისი პირველივე სეზონი რონალდომ ესპანური ფეხბურთის ბომბარდირის ტიტულით დაასრულა – 34 გატანილი გოლით. 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატი რონალდომ სათადარიგოთა სკამზე გაატარა, მაგრამ 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე კვლავ გაიბრწყინა 4 გატანილი გოლით. მიუხედავად იმისა, რომ შეუძლოდ გრძნობდა თავს, ფინალში მაინც გამოვიდა, რომელიც ბრაზილიამ მასპინძლებთან დათმო.

## ენცო ფრანჩესკოლი

დაიბადა 1961 წლის 12 ნოემბერს ურუგვაიში.

თამაშობდა კლუბებში **"უონდერერსი"** (ურუგვაი), **"რივერ პლეიტი"** (არგენტინა), **"მატრა რესინგი", "მარსელი"** (საფრანგეთი), **"კალიარი", "ტორინო"** (იტალია), **"რივერ პლეიტი"** (არგენტინა).

ენცო ფრანჩესკოლი **"დიდი ურუგვაული"** ფეხბურთის ღირსეულ წარმომადგენელთა საქმის ერთგული გამგრძელებელია. სწორედ 1920-1950-იან წლებში არნახულ სიმაღლემდე აღორძინდა ურუგვაული ფეხბურთი და ამ პატარა ქვეყნის გუნდი ორჯერ გახდა მსოფლიო ჩემპიონი. შემდეგ ფეხბურთის ტრადიციები გააგრძელეს დიდმა სკიაფინომ, გონსალვესმა და როჩამ, ბოლოს კი დიდებულ ურუგვაელ ფეხბურთელთა პლეადაში ღირსეული ადგილი დაიკავა ენცო ფრანჩესკოლიმ. ენცომ ჯერ კიდევ სიყმაწვილისას დაიწყო თამაში ურუგვაის ნაკლებად ცნობილ გუნდ **"უონდერერსში"**, სადაც მან მალევე მიიპყრო ფეხბურთის სპეციალისტების ყურადღება და მალე ენცომ არგენტინის **"რივერ პლეიტში"** გააგრძელა თამაში. ამ დროს მისი შეძენა ურუგვაის გუნდებს **"პენიაროლსა"** და **"ნაციონალსაც"** სურდათ, მაგრამ არგენტინელებმა დიდი ფული გადაიხადეს და აუქციონიც მოიგეს. სწორედ ამ გუნდში მოიპოვა ენცო ფრანჩესკოლიმ არგენტინის საუკეთესო ბომბარდირის ტიტული და იგი გამოაცხადეს სამხრეთ ამერიკის წლის საუკეთესო ფეხბურთელად. 1986 წელს ფრანჩესკოლი საფრანგეთის **"რესინგმა"** შეიძინა. მართალია, ფრანჩესკოლიმ სამი სეზონის განმავლობაში 32 გოლი გაიტანა, მაგრამ მაინც ვერ შესძლო **"რესინგის"** დახსნა ფინანსური კრახის ბასრი ბრჭყალებისაგან. შემდეგ ეს ფეხბურთელი **"მარსელში"** გადაბარგდა, და იტალიაშიც ითამაშა. საბოლოოდ იგი არგენტინის **"რივერ პლეიტს"** დაუბრუნდა და იქ დაამთავრა თავისი ბრწყინვალე საფეხბურთო კარიერა.

გიორგი ჯალაღანია

# იუმორი

* * *

დაქალი ეუბნება დაქალს:
– მაპატიე, რომ შენს ქორწილში ვერ მოვედი. მაგრამ, შემდეგ ქორწილში აუცილებლად მოვალ...

* * *

კონსერვატორიაში, მისაღებ გამოცდებზე აბუთურიენტი ეკითხება გამომცდელს:
– მაპატიეთ, მაგრამ მსურს ვიცოდე სიმართლე: ჩემი ხმა არაფრად არ ვარგა?
– რატომ, იგი ძალიან გამოდგება ხანძრის დროს, ან ძარცვისას!

* * *

ახალგაზრდა ქალი მიდის მკითხავთან:
– ხუთი წლის წინ თქვენ მიწინასწარმეტყველეთ, რომ მეყოლებოდა ქმარი და ხუთი შვილი. აი, ხუთი შვილი უკვე მყავს!
– შესანიშნავია!
– ახლა კი მოვედი იმის გასაგებად, თუ როდის მეყოლება ქმარი...

* * *

ამაზონიის ჯუნგლებში ტურისტი ხედავს, როგორ მიჰყავს ადგილობრივ ინდიელს ყელზე ქვაშებმული ქალი მდინარისაკენ.
– მდააა, აქ ძალიან გამარტივებული ყოფილა განქორწინების პროცედურა.

* * *

სტაჟიორი მედდა განყოფილების უფროსთან მიდის:
– სხვა პაციენტს ვერ მომცემთ, ეს უკვე მოკვდა...

## კლიენტები ბანკის წინააღმდეგ

ზუგდიდში, **„ლაზიკა კაპიტალის"** ოფისის შენობასთან, კრედიტორების აქცია გაიმართა. ბანკს პრეტენზიით 30-მდე მომხმარებელმა მიმართა. აქციის მონაწილეები ბანკისგან 2008-2010 წლებში გაცემული სესხების ჩამოწერას ითხოვდნენ. მათი განცხადებით, ბანკმა სესხები არაკანონიერად გასცა, რის გამოც უნდა ჩამოიწეროს.

დაზარალებულები თაღლითური გარიგების მსხვერპლნი აღმოჩნდნენ. ხელისუფლებასთან დაახლოებულმა ბიზნესმენმა მანანა მიქავამ დასაქმების პირობით მოსახლეობას – 400-მდე მომხმარებელს, სესხები გამოატანინა, სულ – 1 მლნ 201 ათასი ლარი. საქმეში ბანკის კრედიტოფიცერი სოსო ზარქუაც მონაწილეობდა. ორივე მათგანი თაღლითობისთვისაა გასამართლებული.

**„ლაზიკა კაპიტალის"** კლიენტების საქმე სასამართლომდე მივიდა, რამდენიმე მათგანს ქონება უკვე ჩამოერთვა, არაერთი საქმე კი განსახილველადაა შესული.

ბანკის იურისტ არველოდ ბეჭვაიას განცხადებით, ორგანიზაცია კანონის ფარგლებში მოქმედებს და მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილებების შემდეგ ახდენს იძულებით აღსრულებას. როგორც იურისტი აცხადებს, **„ლაზიკა კაპიტალისგან"** თანხები მომხმარებლებმა თავად გაიტანეს და გარეთ რა მოხდა, ეს ბანკის პრობლემა არ არის.

საქინფორმი

## დევნილების ფართომასშტაბიანი გამოსახლება იგეგმება

როგორც საქინფორმს სანდო წყარომ აცნობა, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო დევნილების გამოსახლებას, არც მეტი, არც ნაკლები, 180 ობიექტიდან გეგმავს. წყაროს ინფორმაციით, გამოსახლების პროცესი ეტაპობრივად წარიმართება, რათა ამას დევნილთა მხრიდან ერთიანი პროტესტი არ მოჰყვეს.

საკითხის დეტალების გასარკვევად საქინფორმი ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დაუკავშირდა, თუმცა, როგორც ხშირ შემთხვევაში ხდება ხოლმე, სუბელიანის უწყება ამჯერადაც დუმს და აღნიშნულზე არანაირ კომენტარს არ აკეთებს.

სამინისტროს დუმილი კი გავრცელებულ ინფორმაციას უფრო საფუძვლიანს ხდის. **„გამოსასახლებელი ობიექტების სია არსებობს, მით უმეტეს, რომ დაკანონების პროცესი ისევ შეჩერებულია, რა თქმა უნდა, სამინისტრო ყოველივე ამას უარყოფს, მაგრამ ფაქტია ის, რომ სია ნამდვილად არსებობს"**, – განუცხადა საქინფორმს წყარომ.

საქინფორმი



## მეგრული კულტურის. ფოლკლორის, ენის შენარჩუნება და განვითარება იგივე ქართული კულტურის, ფოლკლორის და ენის შენარჩუნებაა

**(დამატებითი განმარტება)**

ყველა ენას სჭირდება დაცვა და განვითარება, მაგრამ ისეთ ენებს რომელთაც დამწერლობა არ გააჩნიათ, განსაკუთრებული ყურადღება სჭირდებათ, ასეთ ენათა რიცხვს მიეკუთვნება მეგრული ენა. სახალხო მოძრაობა **„სამეგრელო"** დაარსების პირველი დღიდან ზრუნავს მეგრული ენის, მეგრული კულტურის შენარჩუნებისა და განვითარებისათვის.

**"ილორის"** წინა ნომრებში ჩვენ უკვე ვწერდით იმის თაობაზე, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე, სადაც თვრამეტ წელზე მეტია ქართული იურისდიქცია არ ვრცელდება, ყოველივე ქართული და მათ შორის მეგრულიც რთული პრობლემების ანუ გაქრობის წინაშე დგას, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, აფხაზური მხრიდან წამოვიდა შემოთავაზება აფხაზეთში მეგრული ენის შენარჩუნებისა და განვითარებაზე. ამ დღეებში გალის სამენოვანი გაზეთის (აფხაზური, მეგრული, რუსული) **„გალ"**-ის რედაქტორის ნუგზარ სალაყაიას (ეროვნებით აფხაზის) მოწვევით გაზეთ **„ილორის"** რედაქტორი **როლანდ ჯალაღანია**, ენათმეცნიერი **კუკური ფიფია**, სახალხო მოძრაობა **„სამეგრელოს"** ზუგდიდის ოფისის ხელმძღვანელი **ზურაბ კვარაცხელია** და ამ სტრიქონების ავტორი, ენგურს გაღმა, სოფელ ჭუბურხინჯში შევხვდეთ ნუგზარ სალაყაიას და გაზეთ **„გალ"**-ის თანამშრომლებს. შედგა გულღია და გაულთბილი საუბარი. ნუგზარ სალაყაიას განცხადებით, აფხაზეთის ხელისუფლების ნებართვიდან გამომდინარე, სასურველი და აუცილებელია რომ მეგრული ენა აფხაზეთის ტერიტორიაზე როგორმე შენარჩუნდეს და განვითარდეს, არ დაიკარგოს ეს უძველესი და უმდიდრესი ენა, ამისათვის კი მან გვთხოვა თანადგომა და დახმარება. კერძოდ – დაიწეროს წიგნები და სახელმძღვანელოები მეგრულ ენაზე და მივაწოდოთ ისინი აფხაზეთის მოსახლეობას. ასევე მეგრული კულტურის, ფოლკლორის, ენის განვითარების მიზნით მოწვეულ იქნეს საერთაშორისო კონფერენცია.

შეიძლება მავანმა ამ შემოთავაზებაში მზაკვრული სულისკვეთება დაინახოს – თუ როგორ უნდათ რუსებსა და აფხაზებს მეგრული ჩამოაცილონ ქართულს, გათიშონ ყოველივე მეგრული საერთო ქართული ცნობიერებიდან და ა.შ. დანამდვილებით შემიძლია ვთქვა: ასეთი რამის დაშვება მიუღებელია. ჩვენ აფხაზურ მხარეს განვუმარტეთ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ბრძოლა მეგრული ენის შენარჩუნებისა და განვითარებისათვის მოხდება მხოლოდ და მხოლოდ ერთიან ქართულ სივრცეში, ხოლო რაც შეეხება აფხაზებს, თუ რატომ ამახვილებენ განსაკუთრებულ ყურადღებას მხოლოდ მეგრულზე და არა ქართულზე, ეს მათი სურვილია და ვერ შევედავებით. ჩვენ კი, მათი ეს შემოთავაზება ხელიდან არ უნდა გავუშვათ, რადგან აფხაზეთში თანდათანობით იკარგება ყოველივე ქართული – მეგრული კულტურის, ფოლკლორის, ენის შენარჩუნება და განვითარება იგივეა, რაც ქართული კულტურის, ფოლკლორის და ენის შენარჩუნება და განვითარება.

ლადო ქირია,
ჟურნალისტი

ISSN 1987-8966 ილორი
9771987896009
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი:
თბილისი,
ბაქრაძის ქუჩა №6
მე-4 სართული
სარეგ. №01018002930
234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
სარედაქციო საბჭო: ზაურ გახარია, თემურ ქორიძე, თენგიზ კუბლაშვილი, კლიმენტი შელია, გივი სომხიშვილი, ანზორ შონია, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე
WWW.saqinform.ge